

178  
1971/3



# საგჭოთა სამართალი

საქართველოს კვ. ხელოვნებათა და მხატვრობის ინსტიტუტი

1971

4



# საბჭოთა სამართალი

## № 4

ივლისი—აგვისტო

1971 წელი

ბათუმის XVIII წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის საინსტრუქტორთა, პროკურატორთა და  
უმაღლესი სასამართლოს ორგანო  
ორთვიური ჟურნალი

### ზინაარსი

#### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და პროფილაქტიკა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გენერალური ხაზი . . . . .	3
საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაებზე . . . . .	10
ქართული საბჭოთა მილიციის მუშაებზე . . . . .	11
საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა 50 წლისთავი . . . . .	13
ქართული საბჭოთა მილიციის 50 წლისთავი . . . . .	14
ე. შევარდნაძე — 50 წელი ხალხის სამსახურში . . . . .	16
ვ. ბენიძე — უშიშროების ორგანოების ბრძოლა სპეკულაციის, მეჭრთამეობის და თანამ- დებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ 1921—1924 წწ. . . . .	29
ო. კიკვიძე — რევრესის ცნების განსაზღვრისათვის . . . . .	34
თ. შავგულიძე — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის გამო- ყენების ფსიქოლოგიური კრიტერიუმი . . . . .	38
ო. გამყრელიძე — ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი . . . . .	47
მ. უგრეხელიძე — წინდახედულების ნორმის დარღვევა და შედეგი გაუფრთხილებლო- ბით დელიქტებში . . . . .	56
ნ. უგრეხელიძე — სიტუაციის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ხა- რისხის განსაზღვრისათვის . . . . .	63
ა. ფალიაშვილი — ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნისა და ექსპერტ-ფსიქიატრის კომპეტენციის ფარგლების შესახებ . . . . .	67
გ. მოსესიანი — მოსამართლეთა წარდგინებების საკანონმდებლო რეგლამენტაციისათვის . . . . .	74
ნ. ქებაძე — ბრძოლა სოციალისტური ქონების გატაცების წინააღმდეგ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში . . . . .	80
ინფორმაცია . . . . .	86
ნეკროლოგი . . . . .	96

11904



## СОДЕРЖАНИЕ

### **В ЦЕНТРАЛЬНОМ КОМИТЕТЕ КП ГРУЗИИ**

Предупреждение и профилактика правонарушений — Генеральная линия в борьбе с преступностью	3
Работникам органов госбезопасности Грузинской ССР	10
Работникам Грузинской Советской милиции	11
Пятидесятилетие органов госбезопасности Грузинской ССР	13
Пятидесятилетие Грузинской Советской милиции	14
<b>Э. Шеварднадзе</b> — 50 лет Грузинской Советской милиции	16
<b>В. Бенидзе</b> — Борьба органов госбезопасности Грузии против спекуляции, взяточничества и должностных преступлений в 1921—1924 гг.	29
<b>О. Киквидзе</b> — К определению понятия регресса	34
<b>Т. Шавгулидзе</b> — Психологический критерий использования статьи 106 УК ГССР	38
<b>О. Гамквелидзе</b> — Некоторые вопросы квалификации групповых преступ- лений	47
<b>М. Угрехелидзе</b> — Нарушение нормы предосторожности и последствие в деликтах неосторожности	56
<b>Н. Угрехелидзе</b> — Значение ситуации для определения степени уголовной ответственности	63
<b>А. Палиашвили</b> — Назначение психиатрической экспертизы и пределы компетенции эксперта-психиатра	67
<b>Г. Мосесян</b> — О законодательной регламентации представлении судей	74
<b>П. Кебадзе</b> — Борьба против хищений социалистической собственности в системе потребительской кооперации	80
Информация	86
Некролог	96

### სარედაქციო კოლეგია

შეკვ. № 3674  
ტირაჟი 21.150  
შე 02168

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშ-  
ვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი,  
აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე,  
ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ს. ქაჯაია, ვ. ქვაჩიანაძე,  
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 82. ტელეფონი — 99-09-82

გადაეცა წარმოებას 15/IX-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-71 წ. ქალაქის  
ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 6, პირობითი საბეჭდი ფურცელი 8.4.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.



## სამართალდაცვითი თავიდან ასილება და პროფილაქტიკა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გენერალური ხაზი

ამ ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში მოპოვებული გარკვეული დადებითი შედეგები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, ადმინისტრაციული ორგანოები მეტი ყურადღებით ეკიდებიან სანიმუშო საზოგადოებრივ წესრიგის უზრუნველყოფის საკითხებს, შესამჩნევად გაიზარდა საზოგადოებრიობის აქტივობა ამ საქმეში.

ამასთან ერთად სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვის უზრუნველყოფის საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი, რის გამოც მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში დამნაშავეობის დონე კვლავ მაღალია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ანალიზი გაუკეთა ამ მუშაობას და გამოიტანა დასკვნა, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალ მნიშვნელოვან წარმატებებს შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ დამნაშავეობის თავიდან ასაცილებლად პროფილაქტიკური მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაძლიერების საფუძველზე. დანაშაულთა თავიდან აცილების საჭიროებას გვიკარნახებს მთელი ჩვენი ცხოვრების წესი, კომუნისტური მორალი, მისწრაფება ვიბრძოლოთ თვითელი ადამიანისათვის, არ დავუშვათ, რომ მას სერიოზული კონფლიქტი მოუვიდეს კანონთან, საზოგადოებასთან.

სამართლდარღვევების თავიდან აცილება და პროფილაქტიკა ჩვენი პარტიის, მთელი ჩვენი საზოგადოების გენერალური ხაზია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს განსაკუთრებული ძალით აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე.

ამის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა საკითხი „სამართლდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის მუშაობის გაძლიერება სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად“ და მიიღო უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დადგენილება.

ამ დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ მასში მოცემულია სამართლდარღვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული კომპლექსი, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ დარგში პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი თვისებრივი გაუმჯობესების საქმეში, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, ადმინისტრაციულ ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეაიარაღებს თანამედროვე ეტაპზე, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მეცნიერულად დასაბუთებული მართვის პრინციპების ინტენსიურად დანერგვის პირობებში პროფილაქტიკური მუშაობის კონკრეტული, მიზანდასახული პროგრამით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანო ჯერჯერო-

ბით სათანადოდ არ მუშაობს, რათა შეასრულოს სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნები, რომ ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას მუშაობა და მთავარი ყურადღება მიექცეს დამნაშავეობის თავიდან აცილებასა და პროფილაქტიკას, სამართალდარღვევების თავიდან აცილების ეფექტიან ღონისძიებათა ყოველდღიურ განხორციელებას. ბევრგან ეს მუშაობა წარმოებს არაგვემავსომიერად, ებიზოდურად, საფუძვლიანი ანალიზისა და გაანჯრებული სისტემის, გადამწყვეტ მიმართულებათა მკვეთრად განსაზღვრის გარეშე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ უნდა აღმოიფხვრას ყველაზე გავრცელებული მიზეზები და პირობები, რომლებიც იწვევენ სამართალდარღვევებს. მაგალითად, აშკარად არ ეთმობა სათანადო ყურადღება პროფილაქტიკური მუშაობის ისეთ დიდმნიშვნელოვან მიმართულებას, როგორც არის ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ.

ხშირად მუქთახორები ადგილობრივი საბჭოთა ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ კონტროლის გარეშე რჩებიან. საწარმოთა და დაწესებულებათა ცალკეული ხელმძღვანელები ყოველთვის არ უზრუნველყოფენ შესაბამისი სამუშაოთი მათთან მიმაგრებულ პირებს, არ უზრუნველნიან მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ბევრ ქალაქსა და რაიონში დამაკმაყოფილებლად არ სრულდება მოთხოვნები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აპრილის დადგენილებისა „გავაძლიეროთ ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწვეიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, დანაშაულის ჩადენის ყველაზე გავრცელებული პირობაა, ლოთობა. ამ დროს კი ძალზე ცოტა ყურადღება ექცევა ბრძოლას ლოთობის წინააღმდეგ — პროფილაქტიკური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. არ წარმოებს სათანადო საავიტაციო და ორგანიზატორული მუშაობა, საჭირო წესრიგი არ არის დამყარებული სპირტიანი სასმელების ვაჭრობაში. ხშირია შემთხვევები, როცა ალკოჰოლიან სასმელებს ყიდულობენ არასრულწლოვანი და ნასვამი პირები.

დამნაშავეობის წარმომშობი მიზეზების ანალიზი ცხადყოფს, რომ მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში პასიურად ეკიდებიან უკანონოდ შენახული იარაღის ჩამორთმევას, რეგისტრირებული იარაღისა და ტყვია-წამლის, განსაკუთრებით სანადირო და სპორტული იარაღის შენახვის წესების უმკაცრესად დაცვის უზრუნველყოფას. ამის შედეგად გავრცელებულია დანაშაული, რომელსაც სჩადიან ცეცხლსასაროლი და ცივი იარაღის გამოყენებით.

მილიციის ორგანოები, საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობა არ უზრუნველყოფენ სანადირო თოფების მფლობელთა ზუსტ აღრიცხვას, სუსტად უწევენ კონტროლს იარაღისა და ტყვია-წამლის შენახვას. იარაღის ზუსტი აღრიცხვა არ წარმოებს აგრეთვე არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებში, იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში, რომლებსაც ჰყავთ უწყებრივი დაცვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განსაკუთ-

რებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჯერ კიდევ ბევრი დანაშაული ხდება საყოფაცხოვრებო ნიადაგზე.

ბევრ ქალაქსა და რაიონში სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ და ქმედითს ღონისძიებებს არ ახორციელებენ ოჯახური, მეზობლური და სხვა საყოფაცხოვრებო კონფლიქტების აღმოსაფხვრელად. სათანადო მუშაობა არ წარმოებს იმ მოქალაქეებთან, რომლებიც ხშირად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. მხოლოდ ამით შეიძლება ავსხნათ ის ფაქტი, რომ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჯერ კიდევ ხშირია უმიძიმესი დანაშაული — მკვლელობა და მკვლელობის ცდა. ამ დროს კი დამნაშავეთა განზრახვები მეტ წილ შემთხვევებში ადრე ვლინდებოდა აშკარა მუქარის სახით, მაგრამ პარტიული, კომკავშირული და აღმინისტრაციული ორგანოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და საზოგადოებრიობა იშვიათად იყენებენ ამ დანაშაულის თავიდან აცილების რეალურ შესაძლებლობებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ სათანადო ყურადღება არ ეთმობა განმეორებითი დამნაშავეობის აღმოფხვრას, რაც აგრეთვე პროფილაქტიკური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

ცალკეული ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოები ზოგჯერ სათანადო ყურადღებით არ ეყიდებიან ნასამართლევი პირების შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის საკითხებს. შინაგან საქმეთა ზოგიერთი ორგანო ჯერჯერობით სუსტად ახორციელებს ადმინისტრაციულ ზედამხედველობას. თავისუფლების აღკვეთის ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს მუშაობა მსჯავრდადებულთა გამოსწორებისათვის, რის შედეგად რეციდივის დონე კვლავაც შედარებით მაღალია.

არის განმეორებითი სამართალდარღვევების შემთხვევები, ბევრ მათგანს ახალგაზრდები სჩადიან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ, ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის ორგანიზებული მუშაობა არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის. ამ დროს კი სწორედ ამ მუშაობაზეა ბევრად დამოკიდებული დამნაშავეობის აღმოფხვრის პრობლემის გადაჭრა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კომუნისმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებას შრომითს კოლექტივში, ქმედითი იდეურ-პოლიტიკური, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის პირობებში — როგორც სამართალდარღვევათა აღმოფხვრის გარანტიას. მაგრამ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში რამდენადმე შემცირდა საწარმოო კოლექტივების აქტივობა. გარკვეულ წილად ეს იმით აიხსნება, რომ საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეული ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები ხშირად თავიანთ საქმიანობაში იფარგლებიან მხოლოდ სამეურნეო საკითხების გადაწყვეტით და საჭირო ყურადღებას არ უთმობენ პოლიტიკურ-აღმზრდელლობით მუშაობას, განსაკუთრებით კოლექტივის თვითეული წევრის მართლმეგნების ამაღლებას, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას.

ხშირად დანაშაულებრივი გამოვლინების ხელშემწყობი პირობა ხდება

მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდების დასვენების ცუდი ორგანიზაცია. ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში გადაჭრილი არ არის თავისუფალი დროის რაციონალური ეფექტიანი გამოყენების პრობლემა.

იდეოლოგიურმა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, პრესამ, ტელევიზიამ, რადიომ, კინომ, შემოქმედებითმა კავშირებმა ჯეროვნად არ გაშალეს ბრძოლა პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ თანამედროვე პირობებში დამნაშავეობის წინააღმდეგ, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლა ეფექტიანად და რაციონალურად ვერ განხორციელდება, თუ გულმოდგინედ არ განვამტკიცეთ მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირი. რესპუბლიკის მეცნიერები კი საკმაოდ არ სწავლობენ დამნაშავეობის თავიდან აცილების პრობლემებს, იშვიათად აყენებენ მეცნიერულად ეფექტიან რეკომენდაციებს პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციის შესახებ, სუსტად უყეუებენ ანალიზს ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკულ გამოცდილებას ზოგადი და კონკრეტული პროფილაქტიკის დარგში.

მთლიანად პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ არის ყურადღების ცენტრში და რესპუბლიკის პროკურატურა, უმაღლესი სასამართლო, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და იუსტიციის სამინისტრო ამ მუშაობას არ ახორციელებენ მაღალ პროფესიულ დონეზე.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის წარმატებით მუშაობა გულისხმობს დამნაშავეობასთან ბრძოლის ყოველნაირად გაძლიერებას, კანონის თვითიული დარღვევის დროულად გამოვლენებისა და გახსნის უზრუნველყოფას, ჩადენილი ბოროტებისათვის დასჯის გარდუვალობის შესახებ ლენინური პრინციპის უთუო განხორციელებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ საჭიროა ძირეულად შეიცვალოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, სასწავლებლების დამოკიდებულება სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისადმი, ამასთან ეს უნდა მიიჩნიონ იდეურ-პოლიტიკური და სამეურნეო-ორგანიზატორული საქმიანობის განუყოფელ ნაწილად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაავალა ყველა ზომა მიიღონ საერთოდ სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და, კერძოდ, პროფილაქტიკური მუშაობის დარგში სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა ძირეულად გარდაიქმნას პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოებისა და

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა იმ მიზნით, რომ მათი მთავარი ძალები თავმოყრილი იყოს სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზანხე. ამასთან ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს პროფილაქტიკური მუშაობის მთავარ მიმართულებებს — მუქთანობის, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას, ახსნა-განმარტების მუშაობას, რომ მოსახლეობამ ნებაყოფლობით ჩააბაროს უკანონოდ შენახული იარაღი, ზუსტად დაცვას რეგისტრირებული იარაღის შენახვის წესები, გამოავლინონ და აღრიცხონ ერთმანეთთან მტრულად განწყობილი ოჯახები და პირნი, გაშალონ ეფექტიანი ბრძოლა სამართალდარღვევათა რეციდივის წინააღმდეგ, განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის მკვეთრად შემცირებას.

ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საჭიროდ მიაჩნია ადგილებზე სისტემატური და ღრმა ანალიზი გაუკეთონ დამნაშავეობის საქმეთა მდგომარეობას, ამ საფუძველზე შეიმუშაონ ეფექტიანი პროფილაქტიკური ღონისძიებანი, მიიჩნიონ ისინი რაიონის, ქალაქის, ცალკეული საწარმოს სოციალური განვითარების ორგანულ, შემადგენელ ნაწილად.

საჭიროა უზრუნველყოთ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების საქმეში. თვითეულ საწარმოში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციას უხდა გავუწიოთ მუდმივი კონტროლი, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ, უნდა ავამაღლოთ საწარმოების, დაწესებულებების, ხელმძღვანელების, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მშრომელთა კოლექტივებში სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად მუშაობის მდგომარეობისათვის. სოციალისტური შეჯობების შედეგების შეჯამებისა და საამქროების, უბნების, საწარმოების, დაწესებულებების საქმიანობის შეფასებისას გავითვალისწინოთ არა მარტო საწარმო-ეკონომიური მაჩვენებლები. არამედ სამართალდარღვევის საქმეთა მდგომარეობა, ის, თუ როგორ ეკიდებიან კოლექტივის წევრები საზოგადოებასა და ყოფაცხოვრებაში ქცევის წესების დაცვას. ამასთან მაქსიმალურად ავამაღლოთ პარტიული ჯგუფებისა და საამქროს პარტიული ორგანიზაციების აქტივობა, გავაძლიეროთ სხალხო რაზმებისადმი ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. 1971 წლის დამლევამდე მოვაწყოთ აქტივის სწავლება პროფილაქტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების საკითხებზე. გავაუმჯობესოთ „იუსტიციისა და სასამართლოს საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, მკვეთრად ავამაღლოთ მათი პასუხისმგებლობა პროფილაქტიკური მუშაობის მდგომარეობისათვის, სისტემატურად მოვისმინოთ ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშები განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

საჭიროა მთელი ძალები მოვახმაროთ „სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრიობის მობილიზაციის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის 17 ნოემბრის დადგენილების შესრულებისათვის მუშაობის ძირეულად გარდაქმნას.

პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა, საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღო-





ნისიძებანი, რათა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, მათმა აღმასკომებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გაშალონ ქმედითი პროფილაქტიკური მუშაობა.

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკვ ცენტრალურმა კომიტეტმა კულტურისა და განათლების სამინისტროებთან, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან, აღმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად უნდა შეისწავლონ მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის თავისუფალი დროისა და დასვენების ორგანიზაციის საკითხი და 1971 წლის დამლევამდე შეიმუშაონ წინადადებანი ამ მიმართულებით მუშაობის კარდინალურად გაუმჯობესების კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს ალკვ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან, განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, სხვა უწყებებთან და პარტიულ ორგანოებთან ერთად უნდა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი არასრულწლოვანთა და ახალგაზრდათა შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობასა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაავალა მიღწიონ იმას, რომ განუხრელად სრულდებოდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 21 იანვრის დადგენილება „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და სპირტიანი სასმელებით ვაჭრობაში წესრიგის დამყარების შესახებ“ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტს, საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობას დაევალებათ მოაწესრიგონ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებში და კავშირის წევრთა შორის ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენებისადმი კონტროლი და აღრიცხვა.

ადმინისტრაციული ორგანოების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიულ კრებებზე უნდა განიხილონ ეს დადგენილება და შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი დამნაშავეობის თავიდან აცილების დარგში მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას წინადადება მიეცათ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად შეიმუშაონ და მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინონ კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკაში დამნაშავეობისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების პრობლემებზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის სექტორს დაევალებათ აამაღლონ მეცნიერ თანამშრომელთა პროფესიული ოსტატობის დონე და გააუმჯობესონ კრიმინოლოგიის სპეციალობით ასპირანტთა მომზადება.

საქართველოს სსრ პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, იუსტიციის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძირეულად უნდა გარდაქმნან საქვეუწყებო ორგანოების მუშაობა. სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა

და პროფილაქტიკის შესახებ სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნების სულისკვეთებით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მათ გულმოდგინედ შეამოწმონ, თუ როგორ ხორციელდება საქვეუწყებო სისტემებში პროფილაქტიკური მუშაობა და როგორ სრულდება შესაბამისი ბრძანებანი. დამნაშავეობის მდგომარეობის, ღრმა ანალიზის საფუძველზე ყველგან გამოავლინონ მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მათს ჩადენას, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში სისტემატურად შეიტანონ თავიანთი რეკომენდაციები ცალკეულ ქალაქებში, რაიონებში, უწყებებში, ორგანიზაციებში პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ. შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ორგანოების თანამშრომელთა სისტემატური სწავლების ორგანიზაციისათვის, პროფილაქტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, ამაღლონ თანამშრომლობა პროფილაქტიკური მუშაობის განხორციელებისათვის, ზოლო მუშაკთა ატესტაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, თუ რა პროფილაქტიკური მუშაობა გასწიეს მათ, უზრუნველყონ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის რაციონალური და ეფექტიანი კოორდინაცია დამნაშავეობის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს დაავალა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი პროფილაქტიკური მუშაობის პრობაგანდის ქმედითობის გაძლიერებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის ბრძოლა არა მარტო ადმინისტრაციული ორგანოების, არამედ რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის ღვიძლი საქმეა. ამიტომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ ეს დადგენილება განიხილონ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში ჩააბან ყველა კომუნისტი, რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობა.

## საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, ყველა მშრომელთა სახელით მხურვალედ ულტრავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობა, პარტიულ კომიტეტს, ყველა თანამშრომელს საქართველოს საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების სახელოვან 50 წლისთავს.

საქართველოს სსრ რეგკომის გადაწყვეტილებით 1921 წელს შექმნილი საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოები უკვე 50 წელი დგანან ქართველი ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა სადარაჯოზე, არ იშურებენ ძალღონესა და სიცოცხლეს სოციალისტური საზოგადოების მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობას, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე შეპქონდათ წვლილი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ამჟამად ორ მსოფლიო სისტემას შორის მკვეთრად გამწვავებული ბრძოლის პირობებში, როცა იმპერიალიზმი აფართოებს ძირგამომთხრელ საქმიანობას სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა უნდა

გააძლიერონ ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვების წინააღმდეგ, აამაღლონ რევოლუციური სიფხიზლე, ჩეკისტური გაწვრთნილება და ოსტატობა, საიმედოდ დაიცვან კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა.

საქართველოს საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების ორმოცდაათი წლისთავი აღინიშნება უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმაგლობის ვითარებაში, რაც გამოიწვია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებმაც სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს დაუსახა ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

ამ ამოცანების წარმატებით შესრულების აუცილობელი პირობაა კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისადმი, მათი განუყრელი კავშირი ხალხთან, სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა და რევოლუციური სიფხიზლის ამაღლება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ საქართველოს ჩეკისტები პირნათლად შეასრულებენ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დაუსახა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს თქვენ ძნელ, პასუხსაგებ და კეთილშობილურ საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## ქართული საბჭოთა მილიციის მუშაკებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის ყველა მშრომელთა სახელით გულითადად გილოცავენ სახელოვან იუბილეს — ქართული საბჭოთა მილიციის შექმნის ორმოცდაათი წლისთავს.

შესანიშნავი საბრძოლო და შრომითი ტარდევებით არის აღსავსე საბჭოთა საქართველოს მილიციის მატთანე. სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე მისი თანამშრომლები საიმედოდ იცავდნენ პარტიის, სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს. მუდამ იჩენდნენ რა თავდადებას, მამაცობასა და გმირობას, მათ მშრომელთა უდიდესი სიყვარული და მხარდაჭერა დაიმსახურეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პირველ წლებში, მწვავე კლასობრივი ბრძოლის მძიმე პირობებში მილიცია ასრულებდა რთულ ამოცანას კონტრრევოლუციურ დაჯგუფებათა ნაშთების ლიკვიდაციისათვის. უღიმობლად იბრძოდა რა ბანდიტების, მესაბოტაჟეების, კულაკების წინააღმდეგ, ქართული მილიცია აქტიურად უწყობდა ხელს ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეს.

პირველი ხუთწლიდების მანძილზე საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია იმ მოწინავე მებრძოლთა რიგებში იმყოფებოდა, ვინც ახორციელებდა პარტიის პოლიტიკას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. ასრულებდნენ რა უაღრესად პასუხსაგებ ამოცანას — იბრძოდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა წინააღმდეგ და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, მილიციის მუშაკები აქტიურად მონაწილეობდნენ დიად სოციალისტურ გარდაქ-

მნათა პროცესში, გვიჩვენებდნენ სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის მაგალითს.

მკაცრი განსაცდელი ხვდა წილად მილიციას დიდი სამამულო ომის პერიოდში. ამ მრისხანე წლებში მისი მუშაკები მუდამ ფრონტისა და ზურგის ყველაზე რთულ უბნებზე იმყოფებოდნენ. სამარადისო დიდებით შემოსეს თავიანთი სახელი გმირებმა, ქართული მილიციის აღზრდილებმა, რომლებიც ვაკეცურად ებრძოდნენ მტერს, მთელი ხალხის მადლობა დაიმსახურა მილიციის საქმიანობამ რესპუბლიკაში წესრიგის დამყარებისათვის.

ომისშემდგომ წლებში საქართველოს მილიციის მუშაკებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

დღეს მილიციის წინაშე დგას ახალი, პასუხსაგები და საპატიო ამოცანები. ჩვენი დროის საქართველოს მილიცია საიმედოდ მებრძოლი რაზმია, რომელიც განუხრელად ახორციელებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას. მისი მუშაკები მტკიცედ მიჰყვებიან პარტიის მიზნობებს, თანმიმდევრულად აძლიერებენ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკისათვის მუშაობის ეფექტიანობას, დაუცხრომლად იღწვიან რესპუბლიკაში დამნაშავეობის აღმოფხვრისა და ოპერატიული ვითარების გაჯანსაღებისათვის, მთელ თავიანთ ძალღონეს, მთელ თავიანთ უნარს ახმარენ ხალხის ინტერესების გამარჯვების საქმეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ მილიციის მუშაკები კვლავ მტკიცედ



დაიცავენ სოციალისტურ კანონიერებას, მართლწესრიგს და ხალხთან კავშირის დაუცხრომლად გაფართოებისა და განმტკიცების მეოხებით პირნათლად შეასრულებენ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXIV ყრილობამ დაუსახა

საბჭოთა მილიციას.

სახელი და დიდება ქართულ საბჭოთა მილიციას — სოციალისტური მართლწესრიგის საიმედო გუშაგს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საპარტველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი  
 საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი  
 საპარტველოს სსრ მინისტრთა საბჭო



## საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა 50 წლისთავი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ **მ. გოგიჩაიშვილი**, **ა. ინაური**, **ო. ლოლაშვილი**, **ვ. მუჯანაძე**, **ა. ჩურკინი**, **ნ. ცხაკაია**, **გ. ძოწენიძე**, **შ. ჭანუყვაძე**, **გ. ჯავახიშვილი**, **რ. მეტრეველი**, **თ. მოსაშვილი**, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, ქვეყნისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა, ჯარის ნაწილებისა და სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, ძველი ჩეკისტები. საზეიმო კრება გახსნა პარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ლოლაშვილმა**.

შლერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პიძნეზი.

საპატიო პრეზიდიუმში კრებამ ერთსულოვნად აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. გოგიჩაიშვილმა** წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტროთა საბჭოს მისალმება საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა მუშაკებისადმი.

მოხსენება — „50 წელი სახელმწიფო უშიშროების საღარაჯოზე“ — გააკეთა საქართველოს

სსრ მინისტროთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალ-პოლკოვნიკმა **ა. ინაურმა**.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქმეს სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების პოლიტსამართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა **ვ. ლეჟუბეკოვმა**, თბილისის კირთვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ამწყობმა ზეინკალმა, სოციალისტური შრომის გმირმა **შ. ფირცხალავამ**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ვ. კუპრაძემ**, აზერბაიჯანის სსრ მინისტროთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა **ვ. კრასილნიკოვმა**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ი. გამრკეკელმა**, სომხეთის სსრ მინისტროთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **მ. თარჯიმიანოვმა**, სსრ კავშირის მინისტროთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის კრასნოდარის მხარის სამმართველოს უფროსმა, გენერალ-მაიორმა **ს. სმოროდინსკიმ**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა **ე. შვეარდნაძემ**, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა **ლ. სენკოვმა**, გენერალ-მაიორმა **ბ. გერასკინმა**.

კრების მონაწილეებს მიესალმნენ პიძნეზები. კვლავ შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პიძნეზი.

საზეიმო კრება დახურულად ცხადდებოდასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

## ქართული საბჭოთა მილიციის 50 წლისთავი

28 ივნისს თბილისის ფილარმონიის სასახლეში გაიმართა საქართველოს საბჭოთა მილიციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კრება.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ **ა. ინაური**, **შ. კიკნაძე**, **ს. კურკოტკინი**, **ვ. მუჟაჟანაძე**, **ა. ჩურკინი**, **ნ. ცხაკაია**, **შ. ჭანუყვაძე**, **გ. ჭავჭავაძე**, **რ. მეტრეველი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ვ. ვადაძე-კორია**, **ა. ლაბაძე**, **ვ. სირაძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები **ზ. კვაჭაძე**, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. შილოკოვი**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **ე. შევარდნაძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრობაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **დ. გოგობია**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ა. კარანაძე**, სსრ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ვ. ნაიდნოვი**, მოკავშირე რესპუბლიკათა, მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების დელეგაციის წევრები, საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, პარტიული საბჭოთა პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, მილიციის ვეტერანები, თბილისის საზოგადოებრიობისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **გ. ანდრონიკაშვილმა**.

შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

საპატიო პრეზიდიუმში კრებამ ერთსულოვნად აირჩია სსრ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბურო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნ. ცხაკაია** წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

მისალმება საქართველოს საბჭოთა მილიციის მუშაკებისადმი.

მოხსენებით — „საქართველოს საბჭოთა მილიციის 50 წელი“ — გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **ე. შევარდნაძე**.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს თბილგვირაბმუშენის ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ა. დათაშვილმა**, ქალაქ მოსკოვის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა **ა. კოზლოვმა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. ინაურმა**, მოსკოვის საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა **ვ. ცეპკოვმა**, საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ი. გამრეკელმა**, უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ **პ. სავჩუკმა**, საქართველოს სსრ შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრმა პროფ. **მ. ლორთქიფანიძემ**, ქალაქ ლენინგრადის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა **ა. სოკოლოვმა**, აზერბაიჯანის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა **ა. გეილაროვმა**, სომხეთის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვ. დარბინიანმა**, სტავროპოლის სამხარეო აღმასკომის შინაგან საქმეთა უფროსმა **ი. ვისკუბენკომ**, ჩელიაბინსკის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა **თ. მარტინოვმა**.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ავრთვე მილიციის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, გადამდგარი პოლკოვნიკი **შ. რობაქიძე**, რომელმაც საქართველოს საბჭოთა მილიციის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს გადასცა სამახსოვრო წითელი დროშა. ეს დროშა საქართველოს მილიციის მეხუთე წლისთავის დღეს შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით

# ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგადი საკითხი

თ. გაგარელიძე

პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული მოქმედებული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება. ჯგუფს შეუძლია ისეთი დანაშაულის ჩადენა, რასაც ცალკეული პიროვნება ვერ მოახერხებს. რამდენიმე პირის გაერთიანება დანაშაულის ჩადენის მიზნით, მათი შეთანხმებული მოქმედება დიდ საფრთხეს ქმნის კანონით დაცული სიკეთისათვის. ამიტომ არის, რომ მოქმედი კანონმდებლობით ჯგუფური დანაშაულისათვის გაძლიერებული პასუხისმგებლობა დაწესებული. 1958 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტი) პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება „დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ“. ზოგ შემთხვევაში ჯგუფის ნიშანი შემადგენლობის კონსტრუქციულ ელემენტს წარმოადგენს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში (ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში) გვხვდება შემადგენლობები, რომლებიც ითვალისწინებენ დანაშაულის ჩადენას ჯგუფის მიერ, თანაც ზოგიერთი დანაშაული ისეა აღწერილი კანონში, რომ იგი არ შეიძლება განხორციელდეს ერთპიროვნულად, ერთი დამნაშავის მიერ. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლით ისჯება ორგანიზებული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა; 78-ე მუხლში აღწერილი ბანდიტიზმი გულისხმობს შეიარაღებული ბანდის ორგანიზებას. აგრეთვე ასეთ ბანდაში ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობას, მე-80 მუხლით დაწესებულია სასჯელი მასობრივ არეულობათა ორგანიზებისათვის; 206<sup>3</sup> მუხლით ისჯება ორგანიზება ან აქტიური მონაწილეობა ჯგუფურ მოქმედებაში, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და სხვ.

ზოგჯერ კანონმდებელი ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას მაკვალიფიცირებელ ნიშნად თვლის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლის II ნაწილი), უფრო ხშირად კი მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით (სსკ მმ 150, ნაწ. II, 151, ნაწ. II, 152, ნაწ. II პ. 1 და სხვ.).

ჯგუფური დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ჯგუფის წევრად. სახელდობრ, იბადება კითხვა: შედგება ჯგუფი მხოლოდ თანამსრულებლებისაგან, თუ ის უფრო ფართო ცნებაა და გულისხმობს აგრეთვე თანამონაწილეობასაც ვიწრო აზრით? ჯერ განვიხილოთ ის დელიქტები, სადაც „ჯგუფი“ შემადგენლობის კონსტრუქციული ნიშანია. ამ დელიქტების თავისებურება, როგორც



უკვე ითქვა, მდგომარეობს იმაში, რომ მათი ერთპიროვნული განხორციელება შეუძლებელია. მაგალითად, 73-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა გულისხმობს „**ორგანიზაციულ საქმიანობას**“, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ. სიტყვა „ორგანიზაციული“ მიგვითითებს, რომ ადგილი აქვს რამდენიმე პირის გაერთიანებას ერთი საერთო მიზნისათვის. ამიტომ ამ დანაშაულის დამთავრებისათვის საკმარისია რაღაცდენი პირის მიერ ისეთი ორგანიზაციული საქმიანობის დაწყება, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ. ბანდიტიზმი (მ. 78) დამთავრებულ დანაშაულად შაშინ ჩაითვლება, როდესაც შეიქმნება შეიარაღებული ბანდა, თუნდაც მის წევრებს ჯერ არცერთი თავდასხმა არ მოეხდინოთ. რაკი კანონის თანახმად შეიარაღებული ბანდების ორგანიზება თავისთავად უკვე არის *delictum sui generis*, ამიტომ ყოველი პირი, რომელიც ამ ჯგუფის შექმნაში მონაწილეობდა ან შექმნილი ჯგუფის წევრი გახდა, ბუნებრივია, დანაშაულის ამსრულებელი იქნება.<sup>1</sup>

აქედან ცახდია, რომ ბანდის ორგანიზატორები და მისი მონაწილეები დანაშაულის თანამსრულებლები არიან. ამრიგად, იმ დელექტებში, სადაც „ჯგუფი“ შემადგენლობის კონსტრუქციული ნიშანია, ადგილი აქვს **აუცილებელ თანამსრულებლობას**.

თეორეტიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის გამო, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ჯგუფის წევრად, როცა ეს ნიშანი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ელემენტია. ავტორთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ასეთი ჯგუფის წევრებად ჩაითვლებიან მხოლოდ თანამსრულებლები, ე. ი. ის პირები რომლებმაც უშუალოდ შეასრულეს შემადგენლობის ობიექტური მხარე.<sup>2</sup> ზოგიერთს კი, პირიქით მიაჩნია, რომ ჯგუფი უფრო ფართოდ უნდა იქნას გაგებული, მაგალითად, ვ. ორლოვის აზრით, როცა შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეთანხმების გარეშე, ჯგუფის ყოველი მონაწილე უნდა ასრულებდეს შემადგენლობას მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც. ერთი სიტყვით, ჯგუფის ყოველი წევრი ამ შემთხვევაში თანამსრულებელი უნდა იყოს. მაგრამ იმ შემადგენლობებში — განაგრძობს იგი — სადაც მაკვალიფიცირებელი ნიშანია დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ამ მაკვალიფიცირებელ ნიშანს უკვე სხვაგვარი მნიშვნელობა ეძლევა. დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით გულისხმობს, როგორც თანამსრულებლობას, ისე თანამონაწილეობას ვიწრო აზრით.<sup>3</sup>

ზოგიერთი ავტორის აზრით, პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი დანაშაული გულისხმობს არა მარტო იმ შემთხვევებს, როცა ჯგუფის ყოველი მონაწილე უშუალოდ ასრულებდა შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, არამედ იმ შემთხვევებსაც, როდესაც ცალკეულ მონაწილეთა შორის ადგი-

<sup>1</sup> **М. И. Ковалев**, Соучастие в преступлении, Часть II, Свердловск, 1962, стр. 232; **Б. В. Харацишвили**, Вопросы мотива поведения преступника в Советском праве, Тбилиси, 1963, стр. 107.

<sup>2</sup> Научно-практический комментарий уголовного кодекса РСФСР, Изд. 2-е, М., 1964, стр. 211; **Р. Галиакбаров**, Юридическая природа группы лиц в уголовном праве, «Советская юстиция», 1970, № 20, стр. 22.

<sup>3</sup> **В. С. Орлов**, Виды и формы соучастия в преступлениях несовершеннолетних, Вестник московского университета, Право, 1970, № 1, стр. 40.

მილიციის სამართველოს გადასცა ფილიპე მახარაძემ. ამხ. რობაქიძისაგან დროშა მიიღო რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსმა ვ. ტრაპაიძემ, რომელმაც საქართველოს მილიციის ახალგაზრდა თაობის სახელით პირობა დადო, რომ თვალის ჩინივით გაუფრთხილდებიან მამათა სახელოვან ტრადიციებს, ვაჟკაცურად და თავდადებით ემსახურებიან ლენინური პარტიის და გმირი საბჭოთა ხალხის დიად საქმეს.

კრების მონაწილეებს მიესალმნენ ბიონერები.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა

**ნ. შჩოლოკოვმა** სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქვეყნის შინაგან საქმეთა ორგა-

ნობების მთელი პირადი შემადგენლობის სახელით კრების მონაწილეებს მიულოცა სახელოვანი იუბილე — საქართველოს საბჭოთა მილიციის ორმოცდაათი წლისთავი.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი პირადი შემადგენლობის წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი.

კვლავ უღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო კრება დახურულად ცხადდება.

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.



# 50 წელი ხალხის სამსახურში

მ. შვპარღნაძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის მესამე რანგის კომისარი

კომუნისმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მატინანეში მიმდინარე წელი შვეკა როგორც სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და მისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წელიწადი.

სამგზის ორდენოსანმა საბჭოთა საქართველომ, მთელმა ქართველმა ხალხმა რესპუბლიკისა და მისი კომპარტიის 50 წლისთავის ეროვნული დღესასწაულის შემდეგ, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა და ელფერი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლამ და მისმა ცნობილმა თბილისში წარმოთქმულმა სიტყვამ, — დიდი ზემოთ აღნიშნა საქართველოს საბჭოთა მილიციის სახელოვანი 50 წელი. ამ ზემოთ ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენი მილიცია არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ხორცი ხორცთავანი და სისხლი სისხლთავანი.

ქართული მილიციის ისტორია განუყოფელია საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის ისტორიისაგან, საბჭოთა საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების — პროკურატურის, სასამართლოს, იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროების, ადვოკატურისა და ქართული სამართლის ინსტიტუტების ისტორიისაგან. ეს დიალექტიკური კავშირი განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოების იმ ერთიანი ფრონტით, რომელიც შექმნილია რესპუბლიკაში ფართო საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირში დამნაშავეობის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში.

საქართველოს მილიციის მიერ განვლილი გზა — ეს არის გმირული შრომისა და ბრძოლის ნახევარსაუკუნოვანი გზა.

პარტიის ხელმძღვანელობით და მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოში პარტიული, ნამდვილად სახალხო მილიცია, რომელიც ორგანიზაციულად და პოლიტიკურად ბრძნულ ლენინურ პრინციპებზე იყო აშენებული.

ქართული საბჭოთა მილიცია იქმნებოდა რუსეთის სამი რევოლუციის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით და, მ. ი. კალინინის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა „საბჭოთა ხელისუფლების იდეების ბრწყინვალე გამტარებელს“, „საბჭოთა ხელისუფლების საარკეს“.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 20 აპრილის დეკრეტით გამოცხადდა რესპუბლიკის მუშურ-გლეხური წითელი მილიციის დაარსება. მის შექმნაში უშუალოდ მონაწილეობდნენ მგზნებარე ლენინელები სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბევრი სხვა გამოჩენილი ბოლშევიკი. მათი უშუალო ხელმძღვანელობით გატარებული ღონისძიებების შედეგად მილიციის დაკომპლექტების პრობლემა წარმატებით გადაიჭრა. მის



რიგებში სამუშაოდ გაიგზავნენ კომუნისტები და კომკავშირელები — საბჭოთა ხელისუფლების ერთგული ადამიანები, რომლებმაც გაიარეს სოციალიზმისათვის ბრძოლის რევოლუციური ჰეროიკით აღსავსე ცხოვრების გზა.

გმირულ ბრძოლასა და თავდადებულ შრომაში დაღვრილი სისხლითა და ოფლით იწერებოდა საქართველოს მილიციის ისტორიის დიდებული მატრიანე, იჭედებოდა მისი აწმყო და ისახებოდა კიდევ უფრო მშვენიერი მომავლის კონტურები. ბრძოლისა და შრომის ფრონტზე მილიციის ბევრმა მუშაკმა გამოავლინა გმირობა და მამაცობა, ბევრმა მათგანმა საკუთარი სიცოცხლე შესწირა ხალხის სამსახურს.


საქართველოს მილიციის ოქროს ფონდს ყველა ეტაპზე კადრები წარმოადგენენ, რომლებმაც მის რიგებს სახელი შორს გაუთქვეს მარად უჭკნობი საბრძოლო, შრომითი, რევოლუციური და ჩეკისტური ტრადიციებით. და ამ მოღვაწეობაში მილიციის წარმმართველი ძალა, მისი შთაგონების წყარო იყო და არის ჩვენი ხალხი და ჩვენი პარტია.

სოციალიზმისათვის ბრძოლის ქარცეცხლში, სახალხო მეურნეობის აღდგენის, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში საქართველოს მილიცია მტკიცდებოდა იდეურ-პოლიტიკურად და ორგანიზაციულად, ითვისებდა რევოლუციური გმირული წარსულისა და უძველესი ეროვნული კულტურის ტრადიციებს, რომლითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი და გადასცემდა მას როგორც რევოლუციურ ესტაფეტას თაობიდან თაობას. მაღლიერების გრძნობით იხსენებს ქართული მილიცია თავის ფუძემდებლებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა პირველ მინისტრს ბ. კვიციანიას, თბილისის მილიციის პირველ უფროსს უ. ჩხეიძეს, მილიციური მოძრაობის პიონერებს აფხაზეთში — ვ. ლაკობას, აჭარაში — ა. საჯიას, სამხრეთ ოსეთში — ნ. გადიეცს, რესპუბლიკის მილიციის თვალსაჩინო მშენებლებს პ. იაშვილს, ს. ხმალაძეს, ლ. სუხიაშვილს; ჩვენს თანამემამულეებს: ლეგენდარული კიკვიძის თანამებრძოლს ვ. მაჭარაშვილს, მოსკოვისა და საქართველოს მილიციის ერთ-ერთ ცნობილ მოღვაწეს ი. ვარძიელს და ბევრ სხვას.

11904

მეტად რთული ოპერატიული ვითარება იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა პოლიტიკური და კრიმინალური ბანდიტიზმი, შიშის ზარს სცემდა მშვიდობიან მოსახლეობას. ძარცვას და ყაჩაღობას, მკვლელობას დღისით-მზისით სჩადიდონენ ხალხის ფარული თუ აშკარა მტრები. მილიცია მუშურ-გლეხურ სამართლიანობას ცეცხლითა და მახვილით უკაფავდა გზას დი ხშირად თავისი საუკეთესო ადამიანების სიცოცხლესაც სწირავდა სამშობლოს მომავალს. ეს იყო მილიცია, რომელსაც ფრთას ასხამდა რევოლუციური ენთუზიაზმი და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ღრმა რწმენა. მრავალი საინტერესო და ამბილგვებელი ფაქტი მეტყველებს მილიციის მუშაკთა მაღალ მორალურ თვისებებზე, მათს სულიერ სიმტკიცეზე, სოციალისტური სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულზე.

არაერთი დოკუმენტი მოგვითხრობს იმაზე, რომ საბჭოთა საქართველოს მილიცია ფაქტიურად შიმშილობდა იმ წლებში. მას არ გააჩნდა არამც თუ ფორმის ტანსაცმელი, ის ნახევრად შიმველი იყო, ხშირად ერთ ფურცელ ქალღებზე ხუთი წითელი მილიციელი სწავლობდა წერა-კითხვას. კბილებამდე შეიარაღებული ისეთი ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ხშირად რამდენიმე ათეულ და ასეულ დამნაშავეს აერთიანებდნენ, საქართველოს მუშურ-გლეხურ წითელ მილიციას არ ჰყოფნიდა ტყვია-წამალი, მაგრამ მათ ჰქონ-



და ერთი იარაღი, რომელიც არ გააჩნდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა სამართლიანობის დამცველ სხვა ინსტიტუტს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში; ეს იარაღი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე რევოლუციური იდეები. საბჭოთა მილიციის შეიარაღებაში მაუზერისა და ნაგანის წინ დაყენებულ იქნა უძლეველი იარაღი: წიგნი! იმ ლეგენდარულმა წლებმა ლეგენდარული ადამიანები წარმოშვა.

არასდროს არ მიეცემა დავიწყებას მილიციელ მიხეილ ზარძის გმირობა, რომელიც 1922 წლის გაზაფხულზე თიანეთში, საბადურის ყელზე ექვს ყაჩაღთან ჭიდილში გამარჯვებული გამოვიდა.

როცა ამ შემთხვევაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ მოვიგონოთ შესანიშნავი რევოლუციონერისა და საზოგადო მოღვაწის ფილიპე მახარაძის სიტყვები: „მიხეილ ზარძის მოქმედება ჭეშმარიტი გმირობაა. რასაკვირველია, ასეთი ნილიციელები დიდად დასაფასებელნი არიან. ასეთების ჩრდილში ყოფნა არ შეიძლება. მისავით თავგანწირულნი ბევრი არიან. ზარძე გლებია, გლეხების წრიდან გამოსული. სწორედ გლეხური გრძნობა — სუფთა და რწმენით აღსავსე უკარნახებდა მას თავი გაეწირა. რწმენამ გაიმარჯვა — ერთმა პატიოსანმა ექვსი ბანდიტი დაამარცხა. ზარძე რომ არა, ვინ იცის ბანდიტები როგორ შეურაცხყოფდნენ ქალებს, დამორჩილებულ მამაკაცებს: ასეთი მილიციელის სახელი უნდა უყვდაყვაოთ, რომ მის მაგალითს სხვებმაც მიბაძონ“.

ეს სიტყვები ნათელი გამოხატულებაა იმ ზრუნვისა და მაღალი ნდობისა, რასაც ჩვენი პარტია და მთავრობა საბჭოთა მილიციის ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე იჩენდა მილიციის მუშაკებისადმი, რომლებიც უხილავ თუ ხილულ ფრონტზე თავგანწირულად იბრძოდნენ, თითქოს რევოლუციის ბარიკადებზე იდგნენ. ეს ბრძოლა მართლაც რომ რევოლუციის ბარიკადებზე დაწყებული ბრძოლის გაგრძელება იყო მშვიდობიან დღეებში.

ხალხის დაუძინებელ მტრებს — მენშევიკებს დამარცხების შემდეგაც ფარ-ხმალი უბრძოლველად არ დაუყრიათ. მათ მიერ წაქეზებული სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებისაგან შეკოწიწებული პოლიტიკური ბანდები პარპაშობდნენ საქართველოში. სპობდნენ ყველას და ყველაფერს. ვერაგობა, გაუგონარი სიძველე და სიძნევე თან ახლდა ბანდიტთა თარეშს. სისხლი და ცრემლი, მწუხარება და გლოვა მოჰქონდათ არამზადებს. მათ მხარს უჭერდა ემიგრანტული ცენტრები უცხოეთში, საქართველოს დამნაშავეთა სამყარო განგსტერულ კავშირს ამყარებდა საერთაშორისო ბანდიტურ ცენტრებთან კაპიტალისტურ ქვეყნებში.

1924 წლის აგვისტოს მენშევიკური ავანტიურის ჩახშობასა და ლიკვიდაციაში წითელი არმიის ნაწილებსა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მილიციის მთელი პირადი შემადგენლობა.

ვის მკერდშიაც კომუნისტის გული ძგერს, არ შეიძლება მთელი არსებით არ განიცდიდეს იმ ქარიშხლიან დღეებს, არ ესმოდეს ბრძოლის ყიყინით ანთებულთა უკანასკნელი გულისცემა, მათი ნაბიჯები, იმ ბრმა ტყვიების წივილი, რომლებმაც გზა გადაუღობეს ხალხის სამსახურის გზაზე, სამართლიანობის გზაზე გმირულად მჭროლავ რაინდებს — ქუთაისის მილიციის უფროსს ვაშაყმაძეს, სუფსის მილიციის უფროსს ჩხაიძეს, აბაშის მილიციის უფროსს ქორჩილავას, მილიციონერებს ბილანიშვილს, ტუხაშვილს, გომელაურს, ამირანიძეს, ფურცელაძეს, თოდუას და ბევრ სხვას. მათი სახელი ლეგიონია. ისინი დაიღუპნენ,

მაგრამ შთამომავლობამ, მადლიერმა ხალხმა უკვდავების ძეგლი აუგო ბედნიერი მომავლისათვის თავდადებულებს.

თვითეული ისტორიული ეპოქა, განვითარების ცალკეული ეტაპი წარმოშობდა ახალ-ახალ გმირებს. სწორედ ამ თვისებით არის ძლიერი მილიცია, რომელმაც ბევრი სახელოვანი გმირი ჩეკისტი, მამულისათვის თავდადებული შვილი მისცა ჩვენს ერს. იმათ შორის, ვისი მამაცობა და შეუდრეკელობა მტრებთან ბრძოლაში სიამაყის გრძნობით აღავსებდა ხალხს, იყვნენ უშიშარი ჩეკისტები, დამნაშავეობასთან ბრძოლის თვალსაჩინო ორგანიზატორები: შალვა კილურაძე, ყარამან მადრაძე, გრიგოლ თოფურია, ამბერკი ურუშაძე, ანდრო კოკოევი, გრიგოლ გვაძაბია და მრავალი სხვა.

გავიდა ნახევარი საუკუნე, გავა კიდევ ათეული და ასეული წლები, მაგრამ ჩვენი მადლიერი ხალხი, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა ყველა თაობა სიყვარულით მოიგონებს იმათ, ვინც თავისი ბოლომდეცხური სისპეტაკით, რევოლუციური შეუდრეკელობით მშრომელთა სამსახურისათვის დიდების არაერთი ფურცელი ჩაწერა ქართული მილიციის ისტორიაში, ჩვენი ერის ისტორიაში.

საქართველოს მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1921—25 წლებში ძირითადად შეძლეს დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა და საფუძველი ჩაუყარეს ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას. დაიწყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სიძნელებითა და ჰეროიკით აღსავსე ხანა.

ამ პერიოდში განსაკუთრებით სოფლად მკვეთრად გამოწვავდა კლასობრივი ბრძოლა. კულაკობა უსისხლოდ არ თმობდა თავის პოზიციებს, ანადგურებდა სახალხო დოვლათს. პარტიის აგარაული პოლიტიკის მტრები ცეცხლის აღში ხვედნენ ფერმებს, კოლმეურნეობების საწყობებს, მოწინავე კოლმეურნეთა საცხოვრებელ სახლებს, მწყობრიდან გამოჰყავდათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ვერაგულად უსწორდებოდნენ და ხვრეტდნენ სოფლის თავკაცებს, მოწინავე გლეხობას. ასე, მაგალითად, 1930 წლის 13 იანვარს ქალაქ ქუთაისის მახლობლად მდებარე სოფელ ივერეთში კულაკებმა ცეცხლი წაუკიდეს მოწინავე კოლმეურნის ი. ბოდოკიას სახლს. სახლთან ერთად დაიწვა საბჭოთა აქტივისტის სამი ვაჟიშვილი. იმავე წლის 17 იანვარს კულაკთა ბანდა თავს დაესხა კახეთის სოფლის არბოშოკის კოლმეურნეობის მწყემსებს და ოთხი კოლმეურნე სიცოცხლეს გამოასალმა.

ასე ართულებდნენ კულაკები ოპერატიულ ვითარებას რესპუბლიკაში.

ქართული მილიციის მთელი პირადი შემადგენლობა მსგავს ბანდებთან ბრძოლაში სასწაულებს ახდენდა. ბანდიტიზმის წინააღმდეგ ლაშქრობამ საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ბანდიტიზმთან ბრძოლის ოპერატიული განყოფილება, რომელსაც საქმის ცოდნით ხელმძღვანელობდა შინაგან უსწორებელი გრიგოლია. საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლაში ბევრი სახელოვანი ჩეკისტი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

კლასობრივ მტერთან და კულაკებთან ბრძოლის პარალელურად საქართველოს მილიცია ენერგიულ ღონისძიებას ახორციელებდა სისხლის სამართლის დანაშაულობათა აღსაკვეთად. განსაკუთრებით გამოწვავდა ბრძოლა სპეკუ-

ლანტების, სახალხო ქონების გამფლანგველ-გამტაცებლების წინააღმდეგ. მილიცია მამობრივად ზრუნავდა უზედამხედველო ბავშვებზე.

საქართველოს მილიცია აქტიურად იყო ჩაბმული სხუთწლებების ამოცანების ხორცმესხმაში. დიად სოციალისტურ გარდაქმნათა პროცესში იგი პოულობდა დროს მხარში ამოსდგომოდა ახალი ქვეყნის მშენებლებს, შეფობას უწევდა სახალხო მეურნეობის მშენებარე ობიექტებს. საკმარისია გავიხსენოთ ზაპისი და ტყებულის შახტები, ოფლით მოპოვებული ხელფასის დანაზოგით მილიცია ეხმარებოდა მშრომელებს ახალი ცხოვრების აშენებაში. ბოლშევიკური კოლექტიური თესვის პირველ გაზაფხულზე სოფლად მილიციამ გუთნისდებებზე ნაკლები ოფლი როდი დაღვარა, ყოველი ბუჩქიდან კულაკი ტყვიას უმიზნებდა კოლექტივიზაციის თავკაცებს. კულაკი არ თმობდა მიწას...

იმ ბოტოქარ წლებში, ზოგიერთი გადახრის მიუხედავად, მილიციის მუშაკთა უდიდესი უმრავლესობა კეთილსინდისიერად ემსახურებოდა პარტიას, ხალხს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეს. ამდღა მილიციის ავტორიტეტი. ფ. ე. ძერჟინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ცნება და წარმოდგენა მილიციაზე მოსახლეობაში მხოლოდ დირსებას, სამართლიანობას, კანონიერებას, თავაზიანობას, კულტურასა და უმწიკვლო ადამიანთა სხვა საუკეთესო თვისებებს უკავშირდებოდა.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა 673 ათასზე მეტი ქართველი ვაჟკაცი და ქალიშვილი, მათ შორის 200 ათასზე მეტმა თავი დასდო ბრძოლის ველზე, ხოლო 240 ათასი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით. იმ მრისხანე დღეებში ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი — საქართველოს მილიცია ყოველთვის თავის ხალხთან იყო. სამუდამოდ დარჩება ხალხის ხსოვნაში საქართველოს მილიციის მუშაკთა გმირობა და მამაცობა გამანადგურებელ ბატალიონებსა და პარტიზანულ რაზმებში, ფრონტზე და ზურგში.

თბილისის მილიციის აღზრდილს გალაქტიონ სამსონის ძე რაზმაძეს მტერთან ბრძოლაში გმირობისა და მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მატრიანეში სამუდამოდ შევიდა გენერალ-პოლკოვნიკ ა. ინაურის, საბჭოთა კავშირის გმირების, სამამულო ომის ვეტერანების გენერალ-ლეიტენანტის ვ. ჯანჯღავას, პოლკოვნიკების ლურსმანაშვილის, პირმისაშვილის და გურგენიძის, მილიციის მუშაკის ტრანოვსკის სანიშნუთა სამსახური ჩვენს სისტემაში.

სამამულო ომის წლებში საქართველოს მილიციამ დირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში უნარიანი საბრძოლო მოქმედებისა და გმირობისათვის 700-მდე მუშაკი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საქართველოს მილიციის საუკეთესო წარმომადგენლები ასრულებდნენ შთავრების ყველაზე საპასუხისმგებლო დავალებებს, მათ შორის საერთაშორისო ზასიათასას იალტაში, ყირიმში, პოტსდამში და სხვაგან. შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა ახლანდელი თაობა დიდი პატივისცემით იგონებს გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ კარანაძეს, მილიციის მესამე რანგის კომისრის კაპიტონ ნაჭყებიას და სხვათა მამულიშვილურ ღვაწლს.

ომის მძიმე წლებში საქართველოს მილიცია, ისევე როგორც მთელი საბჭოთა მილიცია, ვადაყვანილ იქნა სრულ ყაზარმულ მდგომარეობაზე. ფხიზლად და გმირულად აწარმოებდა იგი ბრძოლას სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამ-

ყაროსთან, დივერსანტებთან, ჯაშუშებთან, ბანდიტებთან, ომში წასულთა ადგილს იკავებდნენ მათი შვილები, ცოლები, დები. როდესაც ქ. თბილისის ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი დივიზიონის მთელი პირადი შემადგენლობა მოხალისედ წავიდა ფრონტზე, მათი ადგილი დაიკავეს ჩვენმა სახელოვანმა ქალებმა რომლებმაც სულ მოკლე ხანში ხალხის სიყვარული და მადლობა დაიმსახურეს.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ ქ. თბილისის მილიციის მუშაკთა ოჯახების წევრთა 1941 წლის 9 ოქტომბრით დათარიღებული მიმართვა რესპუბლიკის მილიციის მუშაკების ყველა ოჯახისადმი: „ჩვენ, ქ. თბილისის მილიციის მუშაკების ოჯახების წევრები, რომლებსაც გვამოძრავეს ერთი სურვილი — გერმანელთა ურდოების სწრაფი განადგურება, მოგიწოდებთ თქვენ — საქართველოს მილიციის მუშაკთა დედებს, ცოლებს, დებს და ქალიშვილებს, მაქსიმალური დახმარება გაუწიოთ ჩვენს ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს, ქმრებს, ძმებსა და დებს, რათა მათ შეძლონ ღირსეულად იდგნენ თავიანთ პოსტებზე და გმირულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, მათთან ერთად გამოეჭყედოთ მტერზე გამარჯვება, დავიცვათ ჩვენი სამშობლო უცხოელი გადამთიელებისაგან“...

ფრონტისა და ზურგის ასეთმა მონოლითურობამ განაპირობა მტერზე გამარჯვება.

ომისშემდგომ წლებში, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალიზმის საბაზოლოდ გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში პარტიისა და მთავრობის მოწოდებით მილიციის რიგებში მოვიდა სამშობლოსათვის ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი ათასობით ფრონტელი, მუშები და გლეხები, კომუნისტები და კომკავშირელები, გამოცდილი პროფესიონალი ჩეკისტები...

საქართველოს მილიციამ მტკიცედ აღმართა სამართლიანობის მახვილი ყველა იმ ანტისაზოგადოებრივი ელემენტების თავზე, ვინც ხელს უშლიდა მშრომელთა მშვიდობიან შრომას.

მას მოუხდა არა მარტო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება, დამნაშაგეობასთან ბრძოლა, არამედ მეტად ჰუმანური საქმის — ომის დროს დაკარგული ბავშვების, ომის გამო განშორებული მშობლებისა და ახლობლების მოძებნა. რამდენი ადამიანური მადლიერების გრძნობით არის აღსავსე, რა სახალხო სიყვარულით გარემოცულია მილიციის მუშაობა ამ ასპარეზზე. მილიონობით დედამ და მამამ იპოვნა დაკარგული შვილი... ეს მოღვაწეობა პოემებში, რომანებში და ეპოპებში ასახვის ღირსია...

იმათ შორის, ვინც აქტიურად იბრძოდა საზოგადოებრივი წესრიგისათვის ომისშემდგომ წლებში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მილიციის ვეტერანებს, რომელთა ბრძოლა და ცხოვრება ხალხისათვის თავდადებული შრომის მაგალითია. დღეს მადლიერების გრძნობით ვახსენებთ მილიციის მესამე რანგის კომისრის გიორგი შელიას, პოლკოვნიკების — ვალერიან თალაკვაძის, შალვა რობაქიძის, ამბროსი მარკოიშვილის და ბევრი სხვა ცნობილი ჩეკისტის მოღვაწეობას ჩვენს სისტემაში. მათი ვაჟყაცური შემართება, საქმისადმი სიყვარული ყოველთვის აღაფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს მილიციის მუშაკთა ახალ თაობებს.

საბჭოთა ეკვირის კომუნისტურის პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა დასაბამი მისცა ახალ ეტაპს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში. კანონზომიერია, რომ ეს გადაწყვეტილებები შემობრუნების პუნ-



ქტად იქცა საბჭოთა მილიციის ისტორიაშიც. მართლწესრიგის განმტკიცების დარგში პარტიის საპროგრამო მოთხოვნათა განსახორციელებლად ბოლო წლებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს მთელი რაგი დადგენილებები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასა და საბჭოთა ადამიანების მართლშეგნების კულტურის ამოღებაში. ამ დადგენილებების მიღების შემდეგ პარტია თითქმის ყოველწლიურად განიხილავს და განსაზღვრავს ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცების ამოცანებს.

შესაბამისი მუშაობა ხორციელდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიერ. აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია პარტიის იმ საპროგრამო მოთხოვნათა შესრულებისაკენ, რომელთა მიზანია ჩვენს საზოგადოებაში დანაშაულობათა აღმოფხვრა.

ოქტომბრის ისტორიული პლენუმით დაწყებულმა ახალმა ეტაპმა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ახალი ამოცანები დააყენა აგრეთვე მილიციის ორგანოების წინაშე. მთავარი შინაარსი ამ გარდაქმნებისა გამოიხატება ახლის, პროგრესულის უძლეველობის ცხოვრებისეული დიალექტიკური კანონით, რომლის კეთილნაყოფიერი გავლენა დღითიდღე ძლიერდება მილიციის ორგანოებში.

დამნაშავეობასთან ბრძოლის ახალი ამოცანები შესაბამისად მოითხოვდნენ შინაგან საქმეთა ორგანოების აპარატის უფრო სრულყოფილი, ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას, მათს აყვანას თანამედროვე ამოცანების დონეზე.

ამიტომ საჭირო იყო აღმდგარიყო თვისებრივად ახალი საკავშირო სამინისტრო და დაბრუნებოდა მას კანონიერი სახელწოდება. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა სტრუქტურა, სრულყოფილ იქნა შინაგან საქმეთა ადგილობრივი ორგანოების სისტემა. პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელებული ბრძოლა ჩვენს რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ თანდათანობით იქცევა საერთო პარტიულ, საერთო სახელმწიფოებრივ საქმედ. ამჟამად ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ თითქმის თვითეული დანაშაული სდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მსჯელობის საგანი; პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, პირველადი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველდღიურად სრულყოფენ დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლის რთულ პროცესს, სახავენ ქმედითს ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის. იდგეს არ არის საქართველოში არც ერთი პარტიული და საბჭოთა თავკაცი, რომელსაც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა თავის ღვიძლ საქმედ არ მიაჩნდეს.

პარტიისა და ხალხის ასეთმა ზრუნვამ ცხოველყოფილი გავლენა მოახდინა მილიციის საქმიანობაზე, მისი მუშაობის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე. ამ ზრუნვის შედეგად მილიციის რიგები შეივსო იდეურად გამოწრთობილი ახალგაზრდა მუშაკებით. ოფიცერთა უდიდეს უმრავლესობას მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. მილიციის რიგითი შემადგენლობა იხსება მხოლოდ საშუალო

სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდებით, რომლებმაც მოიხადეს სავალდებულო სამხედრო სამსახური და საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ მიღებული.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ მოიწონა პრაქტიკა, რომლითაც პარტიის ცენტრალური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მშრომელთა კოლექტივების რეკომენდაციებით შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ გზავნიან ბევრ ახალგაზრდა, ინიციატივიან კომუნისტსა და კომკავშირელს.

სწორედ პარტიისა და მთავრობის ასეთმა მამობრივმა ზრუნვამ მილიციისათვის განაპირობა ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩამოყალიბდა დამნაშავეობის საერთო დონის და მათ შორის განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა შემცირების თვალსაჩინო ტენდენცია.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე ამხ. ვ. პ. მყავანაძემ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობას.

საქართველოს მილიციას ბევრჯერ გამოუმჯდავნებია თავისი საუკეთესო საბრძოლო თვისებები, ორგანიზაციული საქმიანობის მაღალი ხელოვნება. სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმის ჩატარებისას მილიციის პირადმა შემადგენლობამ ბევრი ვაკეთა იმისათვის, რომ რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი ყოფილიყო და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი მაღალი ბრძოლისუნარიანობა, იდეურობა და მზადყოფნა პარტიისა და ხალხისადმი სამსახურისათვის. მილიციის თვითეული მუშაკისათვის საამაყოა ის ფაქტი, რომ მისი შრომა დიდად დააფასა პარტიამ, ხალხმა, რომელთა სახელით ამხ. ვ. პ. მყავანაძემ მაღლობა ვადაუნდა მთელ პირად შემადგენლობას იმ ისტორიულ დღეებში გაწეული მუშაობისათვის.

დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კომუნისტური პარტიის მამობრავი ზრუნვის შედეგად ძირეულად გარდაიქმნა ჩვენი რიგები, ხარისხობრივად გაუმჯობესდა, იდეურად და პოლიტიკურად კიდევ უფრო განმტკიცდა, კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანი და მაღალორგანიზებული გახდა. დღეს შინაგან საქმეთა ორგანოებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. მიუხედავად ამისა ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს ვასაკეთებელი. ჯერ კიდევ ვალში ვართ ხალხისა და პარტიის წინაშე, ბევრი დანაშაული არ არის გაქსნილი, ბევრი დამნაშავე დაუსჯელი დადის. ჩვენი ორგანოების პირადი შემადგენლობა შემდგომში ყველაფერს ვაკეთებს იმისათვის, რომ კეთილი ადამიანების მშვიდობიანი შრომა და დასვენება დაცული იყოს გარეშართა ხელყოფისაგან, რომ ყოველი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების მიმართ შეიქმნას შეუჩინებლობის ატმოსფერო. ამას გვავალდებს პარტია, ხალხი, ამას გვავალდებს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები. ამას მოითხოვს ჩადენილი დანაშაულისათვის დასჯის გარდუვალობის წმინდათაწმინდა ლენინური პრინციპი. ამ მოთხოვნათა შესასრულებლად დღეს მობილიზებულია ჩვენი სახელოვანი ქართული მილიცია, მისი თვითეული მუშაკი.

ჩვენს წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა შესრულების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს პრაქტიკულ მოღვაწეობაში ახალი თანამედროვე სტილისა და მეთოდების დანერგვა.

მილიციის ხარისხობრივმა გაუმჯობესებამ საშუალება მოგვცა საფუძვლიანად გარდაგვექმნა ორგანიზატორული საქმიანობა, მისი მოღვაწეობა დაგვეყენებინა მეცნიერულ საფუძველზე. შინაგან საქმეთა ორგანოებში დღითიდღე

უფრო მკვიდრდება მეცნიერება და ტექნიკა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპები, რომელთა ეფექტურად გამოყენების გარეშე შეუძლებელია პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა. მეცნიერებისა და ტექნიკისადმი ასეთი დამოკიდებულება გასაგებიც არის. დღეს ხომ მილიცია დაკომპლექტებულია იურისტებით, პედაგოგებით, ეკონომისტებით, ინჟინრებით, ფსიქოლოგებით, რომელთაც ანალიზის, განზოგადების უნარი შესწევთ, კონკრეტულ ფაქტებში ხედავენ საერთო მოვლენებს. ეს არის დიდად განვითარებული კონტიგენტი მუშაკებისა, რომლებსაც მეცნიერული ინფორმაციის ბაზაზე შეუძლიათ საქმის სამსახურში ჩააყენონ უახლესი რაბერტული ტექნიკა, ეფექტურად გამოიყენონ მართვის ურთულესი სისტემები.

ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეტაპზე დამნაშავეობასთან ბრძოლა მიმდინარეობს სოლიდარულ მეცნიერულ-ტექნიკურ ბაზაზე, მოითხოვს მაქსიმალურ მობილიზებას, ჩვენი ძალებისა და საშუალებების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებას. მილიციის მთელი ორგანიზატორული საქმიანობა შენდება ასლებურად. უმჯობესდება მილიციის მუშაობის კოორდინაცია შინაგან საქმეთა ორგანოების სხვა სამსახურებთან, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან, საზოგადოებრიობასთან.

მართლაც, ბევრია ვაკეთებული და ბევრიც კეთდება. მაგრამ შემდგომისათვის საჭიროა უფრო მეტის ვაკეთება. საქმე ეხება თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებას. მთელი ჩვენი მუშაობა მიმართულია პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ეფექტურობის ამაღლებისაკენ. ჩვენ გვინდა ეს მუშაობა ისე წარვმართოთ, რომ თვითეული მუშაკი, კოლექტივი გულით, მთელი სინდისით გრძნობდეს პასუხისმგებლობას არა მარტო მისი უშუალო უფროსის წინაშე, არამედ პარტიისა და ხალხის წინაშე, ჩვენი სამშობლოს წინაშე. არა ვიწრო უწყებრივი, არამედ ფართო დიალექტიკური მიდგომა ჩვენს წინაშე მდგომი საკითხებისადმი — აი, რა არის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ჩვენი მოღვაწეობისა ამ სფეროში დღევანდელ ეტაპზე. დღის წესრიგში დგას საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების წინააღმდეგ უღმობელი ბრძოლა. დღეს, როდესაც ჩვენი საქმიანობა ემყარება შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება მილიციის მუშაკების პროფესიული ოსტატობის სრულყოფას. ჩვენს სინამდვილეში პროფესიული დაოსტატების ამაღლება პირველ რიგში გულისხმობს მუშაობის მაღალ კულტურას და მკაცრ სამხედრო დისციპლინას.

პარტიის XXIV ყრილობამ ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ სოციალისტური საერთო — ცხოვრების ნორმებიდან გადახვევა არავის არ ეპატიება და საჭიროა ეფექტური, პრინციპული ბრძოლა ასეთ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ჩვენი მუშაკების ერთგულება პარტიისა და ხალხის საქმისადმი უწინარეს ყოვლისა მოწმდება საბჭოთა კანონებისადმი ერთგულების კრიტერიუმით. იგი იყო და იქნება ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედი.

საბჭოთა კანონების დაცვა მკაცრდება მილიციის მუშაკების მიერ ადამიანებთან ცოცხალ, პრაქტიკულ ურთიერთობაში. შინაგან საქმეთა ორგანოებში ყოველდღიურად მოდიან განცხადებებითა და საჩივრებით ათასობით ადამიანები, მათ შორის ანტისაზოგადოებრივი ელემენტების, ცხოვრების პარაზიტებისა და ხორცმეტებისაგან ტრაგეშირებული და დაზარალებული საბჭოთა მოქალაქენი, მათი დედები, ძმები, დები... ისინი ეძებენ სიმართლეს, მოითხოვენ დამნაშავეს დასჯას.

საბჭოთა მილიციის მუშაკებს არა აქვთ მორალური უფლება გულგრილი იყვნენ მათ მიმართ. მოქალაქეებთან ურთიერთმოქმედებაში უნდა მყდვენდებოდეს ჩვენი მუშაკების გულისხმიერება, ადამიანისადმი სიყვარული, სხვა კეთილშობილური თვისებები. ჩვენ ვგონდა, რომ მილიციის მუშაკები იყვნენ სწორედ საუკეთესო ადამიანური თვისებების მატარებელი, რომ დამსახურებულად მოიპოვონ ხალხის სიყვარული და პატივისცემა. ჩვენ ვანსაკუთრებით ვაფასებთ ახალგაზრდობის შემობრუნებას მილიციისაკენ. მილიციისა და ახალგაზრდობის ურთიერთობის პრობლემები პირველ რიგში იმით არის საინტერესო, რომ დამნაშავეობის სრული ლიკვიდაციის საპროგრამო მოთხოვნის განხორციელებაში ახალგაზრდობა წარმოადგენს მთავარ ძალას. დამნაშავეობის წინააღმდეგ ხვალინდელი ბრძოლის პრობლემებს დიდად განსაზღვრავს ახალგაზრდობაში დამნაშავეობის დღევანდელი დონე, ახალგაზრდობის შეგნებაში მილიციის ავტორიტეტის დონე. სწორედ ამიტომ, მილიციის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ უბანს წარმოადგენს ახალგაზრდობაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს პრობლემათა პრობლემაა. ამიტომ მეცნიერულ დონეზე ვაყენებთ ახალგაზრდობაში დამნაშავეობის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების ლიკვიდაციის საკითხებს. ამ მხრივ ჩვენი ორგანოები საქართველოს კომკავშირის აქტიური დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით ბევრს აკეთებენ. ჩვენ მივესალმებით კომკავშირის ასეთ აქტივობას და იმედს გამოვთქვამთ, რომ ერთობლივი მუშაობა ამ მამულშიველიურ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის შემდგომშიც უფრო ნაყოფიერად გაგრძელდება.

ისტორიას ჩაბარდა ზოგიერთი შემთხვევა, როდესაც ცალკეული ახალგაზრდები მილიციისადმი ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილნი. დღეს მილიცია სწორედ ახალგაზრდობის ხარჯზე ავსებს თავის რიგებს და უმჯობესდება ხარისხობრივად, იარაღდება ყველა იმ კარგი თვისებით, რაც მან მოიპოვა 50 წლის მანძილზე და ახალგაზრდული ენერგიით ეძებს ახალ-ახალ, ჯერ კიდევ გაუყვალავ გზებს მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენ კვლავაც ვეცდებით განვაძტვიცოთ კავშირი ახალგაზრდობასთან, უფრო თავდადებათ ვიბრძოლოთ მისი უკეთესი მომავლისათვის.

იმ ლენინური დებულების ხორცშესხმის საუკეთესო დადასტურება, რომ მუშურ-გლეხური მილიცია — ეს სახალხო მილიციაა, არის დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად ადმინისტრაციული ორგანოებისა და ფართო საზოგადოებრიობის ერთიანი ფრონტის შექმნა ჩვენს რესპუბლიკაში, რის გარეშეც წარმოუდგენელია დღეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალური საკითხების წარმატებით გადაწყვეტა. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს საყოველთაოდ ცნობილი დებულებების — მილიციის ძალა ხალხთან კავშირშია — ჭეშმარიტებასა და ცხოველმყოფელობას.

დღეს, როგორც არასდროს, რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ წესრიგის დაცვისათვის ბრძოლის საქმეში. საქართველოს მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ მრავალ საგულისხმო წამოწყებას ჩაუყარეს საფუძველი. თბილისის საავიაციო და ჩარხსამშენებლო, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და ბევრი სხვა სამრეწველო საწარმოს მუშები გამოვიდნენ ინიციატივით — იცხოვრონ და იმრომონ მაღალკულტურულად, კომუნისტურად ისე, რომ არ იყოს სამართალდარღვევა. რესპუბლიკის ფარგლებს გაცდა ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირის მშრომელთა თაოსნობით შექ-



მნილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საბჭოს მუშაობის გამოცდილება. ამ და სხვა მრავალ წამოწყებას დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის მშრომელებმა და წარმატებით ახორციელდნენ ბრძოლას საქართველოში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლის საქმეში მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტური ფორმაა სახალხო რაზმეულთა ინსტიტუტი. ისინი მართლწესრიგისათვის ბრძოლაში შინაგან საქმეთა ორგანოების საიმედო დასაყრდენს წარმოადგენენ. თუმცა მათი მარგი ქმედების კოეფიციენტის გაზრდა უსაიაჟოდ შეიძლება და მილიციამ და ფართო საზოგადოებრიობამ უნდა გადაჭრან ეს პრობლემა.

ამ ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი ინტელიგენცია უფრო აქტიურად ჩაება საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლაში. დღეს არავის არ აკვირვებს ის გარემოება, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე მხარდამხარ შრომობენ აკადემიკოსი და მილიციელი, მსახიობი და ავტონსპექტორი, მწერალი და უბნის ინსპექტორი. მრავალმეტყველია ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობაში მონაწილეობს რესპუბლიკის 400-ზე მეტი გამოჩენილი მეცნიერი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწე, ნოვატორი, მუშა და მოწინავე კოლმეურნე.

მილიციის ავტორიტეტის ამაღლებაზე დიდ ზრუნვას იჩენს მშობლიური კომუნისტური პარტია, ჩვენი ხალხი. მილიციის მუშაობის პოპულარიზაციას ეწევა პრესა. რადიო, ტელევიზია. ეს საგრძნობ შედეგს იძლევა. საყურადღებოა, რომ ჩვენმა ცნობილმა პოეტებმა, კომპოზიტორებმა, ხელოვნების მუშაკებმა შექმნეს მილიციის მუშაობის ამსახველი კინოფილმები, სიმღერები, ლექსები, მხატვრული ტილოები. მილიციის პირადი შემადგენლობა მადლობას უხდის მათ ასეთი ზრუნვისათვის.

საზოგადოებასთან კავშირის შემდგომ განმტკიცებასა და მართლწესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის მისი საუკეთესო წარმომადგენლების წახალისების მიზნით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააწესა „საქართველოს სსრ საპატიო მილიციელის“ სამეკრდე ნიშანი, რომლითაც დაჯილდოვდებიან მილიციის მეგობრები, წესრიგის აქტიური დამცველები.

ამჟამათ კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის აქტიურმა მონაწილეობამ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში თავისი ნაყოფი გამოიღო. დღეს რესპუბლიკაში 2000-მდე დასახლებულ პუნქტში დანაშაული საერთოდ არ ხდება. ეს არის ჩვენი პროფილაქტიკური მუშაობის, ჩვენი გენერალური ხაზის სწორად გატარების ყველაზე თვალსაჩინო შედეგი. ჯერ კიდევ მარქსი აღნიშნავდა, რომ ჭკვიანი კანონმდებელი დანაშაულს აცილებს, რომ იძულებული არ იყოს ამის გამო დასჯითი ღონისძიება გაატაროს. ჩვენ ყოველდღიური პრაქტიკით ვამტკიცებთ ამ მარქსისტული მოძღვრებისადმი ერთგულებას.

როგორც ცნობილია, ლენინი ხაზს უსვამდა კანონიერებისა და კულტურულობის განუყოფელ კავშირს. იგი მოითხოვდა კანონიერებისათვის კულტურულად ბრძოლას, იძულებითი და დარწმუნებითი მეთოდების საზრიანად შეთავსებასა და გამოყენებას. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელ წლებში. განხორციელდა კულტურული ორწლედის კომპლექსური ღონისძიებები მილიციის ორგანოებში. რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებმა ღია წერილით მი-

მართეს საქართველოს მილიციის პირად შემადგენლობას მუშაობის კულტურის საკითხებზე, რასაც საქმით უპასუხეს საქართველოს მილიციის მუშაკებმა. მომავალში მეტი უნდა გაკეთდეს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მე-9 ხუთწლედანი გამოვაცხადოთ შინაგან საქმეთა ორგანოებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფისა და ჩვენი თანამშრომლების კულტურული დონის ამაღლების ხუთწლედად ამით ჩვენ მივალწვეთ იმას, რომ დიდი კულტურის მქონე ქართველ ხალხს ჰყავდეს მაღალკულტურული, დიდად განვითარებული საბჭოთა მილიცია.

ჩვენს სინამდვილეში ბევრია გაკეთებული იმისათვის, რომ მილიციის მუშაკების კულტურა აყვანილ იქნას „მოქალაქეებისადმი თავაზიანი და კულტურული მოპყრობის შესახებ“ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. ა. შჩოლოკოვის ბრძანების მოთხოვნებივითაა დონეზე. თანამედროვე პირობებში ლაპარაკია არა მარტო საბჭოთა მილიციელის ყოფაქცევის ეთიკის ამაღლებაზე, არამედ მილიციის მუშაკის მიერ სამსახურის შესრულების ესთეტიკაზეც. დიახ, დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ მილიციელის ესთეტიკის შესახებ, ზოროტზე კეთილის ძღვევის სამსახურის მაღალესთეტიკურ დონეზე დაყენების აუცილებლობის შესახებ.

ჩვენ გვინდა მოქალაქენი მილიციის მუშაკში ხედავდნენ ისეთ პიროვნებას, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, სისტემატურად იმაღლებს იდეურ-პოლიტიკურ, კულტურულ და პროფესიულ დონეს, ყველა ვითარებაში ამქდავენებს თავაზიანობას, კულტურას, თავდაჭერილობას, კანონის მთელი სიმკაცრით იბრძვის წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, მთელი გულისყურითა და გრძნობით ეკიდება მშრომელთა საჩივრებსა და წინადადებებს, სრულყოფილად ფლობს მისთვის მინიჭებული უფლებების ეფექტურად გამოყენების ხელოვნებას და იყენებს ამ უფლებებს მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ჩვენ თვალისჩინივით ვუფროსილდებოდით და კვლავაც ვავუფროსილდებობთ პარტიის მაღალ ნდობას, ხალხის სიყვარულსა და მხარდაჭერას, რადგან ეს ყველაზე მაღალი ჯილდოა, ყველაზე ეფექტური სტიმულატორია ძნელი, მაგრამ კეთილშობილური მილიციური შრომისათვის.

ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს ლიდერები ყოველთვის თვლიდნენ და თვლიან, რომ მილიცია საბჭოთა ხელისუფლების სარკეა. და, მართლაც. ამ უდიდესი შეფასების გამართლებისათვის ჩვენი განვითარების ყველა ეპოქაში, ყველა ეტაპზე მილიციის რიგების სისპეტაკე ყოველთვის იყო, არის და იქნება პატიოსნება და სისპეტაკე პარტიისა და ხალხის წინაშე — აი, ჩვენი დევიზი.

ჩვენი მილიციის ძირითადი ბირთვი ამ დევიზის განსახიერებაა. ამ დევიზის განხორციელებისათვის შინაგან საქმეთა ორგანოებში წარმოებს უკომპრომისო, შეტრიგებელი ბრძოლა. სამწუხაროდ, ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ გვხვდებიან ცალკეული იდეურად გადაგვარებული, მორალურად მახინჯი მუშაკები, რომელთა პოლიტიკურ ფიზიონომიას ავი სენივით ღრღნის კორუპცია, მექრთამეობა, გამომძალველობა.

ჩვენ კვლავაც უღმობლად ვიბრძობებთ ასეთი შემთხვევითი ელემენტებისაგან ჩვენი რიგების გაწმენდისათვის და მივიყვანთ მას ლოგიკურ დასასრულამდე.

ჩვენ არ შეგვიძლია ერთ ჭერქვეშ, ერთ საზოგადოებაში ვიცხოვროთ, სო-

ციალისტური კანონიერების დამრღვევ ელემენტებთან ერთად. მათ ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს! მილიცია ძლიერია იმიტომ, რომ თავის რიგებს წმენდს. და სანამ მიწაზე ბოგინობს თუნდაც ერთი მკვლელო, ერთი ხულიგანი, ერთი მეჭრთამე-კომბინატორი, საქართველოს მილიციის ხმალი ალესილი უნდა იყოს. დენთი მშრალი და მისი რიგები კრისტალივით სუფთა.

ჩვენ გვახარებს და დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ის შეფასება, რომელიც მისცა ჩვენს მუშაობას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა ნ. ა. შჩოლოკოვმა: „საქართველოს მილიცია, — განაცხადებამან რესპუბლიკის მილიციის 50 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე, — ქვეყნის შინაგან საქმეთა ორგანოების ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. იგი არის სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მოწინავე გამოცდილების სამქედლო, სადაც შეიძლება ბევრი რამის სწავლა, მუშაობის ბევრი ახალი პროგრესული ფორმის შექმნა“.

ეს შეფასება ბევრისმთქმელია და ბევრსაც გვავალებს მომავალში.

საქართველოს სახელოვანი მილიციის ცხოვრებაში დაიწყო საუკუნის მეორე ნახევარი.

ლენინიზმის უკვდავ იდეებზე აღზრდილი საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები ყოველთვის იქნებიან მუშათა კლასის რევოლუციური სულისკვეთების გამომხატველნი, მშობლიური ხალხის მაღალი თვისებების — მისი ნიჭისა და ტალანტის, მისი მამაცობის, გამირობის, ვაჟკაცური შემართების განმსახიერებლები.

საქართველოს მილიციას გაკეთებული აქვს სწორი, მეცნიერულად ზუსტი დასკვნები სკკპ XXIV ყრილობისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის XXIV ყრილობის ისტორიული დადგენილებებიდან. ჩვენ მუდამ გვახსოვს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები იმის შესახებ, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა კვლავ სერიოზულ ამოცანად რჩება.

სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მთელი პირადი შემადგენლობა რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებთან და ფართო საზოგადოებრიობასთან ერთად, კომუნისტური პარტიის ყოველდღიური დახმარებითა და ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გადავაქციოთ საბჭოთა საქართველო სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი სამართლებრივი კულტურის რესპუბლიკად.

# რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 50 წლისთავისათვის

## უშიშროების ორგანოების ბრძოლა სეკულარიზმის, მეჩხრადობისა და თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ 1921—1924 წწ.

### 3. ბენიკი

საქართველოს მშრომელებმა ზემოთ აღნიშნეს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ნახევარი საუკუნის იუბილე. ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს რევკომის გადაწყვეტილებით საფუძველი ჩაეყარა საგანგებო-საგამომძიებლო კომისიას, რომელსაც დაევა ულმოზღად ებრძოლა კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან, თანამდებობის პირთა ბოროტ-მოქმედებასთან.

პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს საგანგებო კომისიამ სახელოვანი გზა განვლო, დიდი მუშაობა გასწია ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, კონტრრევოლუციური ელემენტების გამოვლინებისა და უვნებელყოფისათვის.

საქურნალო სტატიაში საქართველოს ჩეკას მდიდარი ისტორიის გადმოცემა შეუძლებელია. იგი მონოგრაფიულ გამოკვლევას მოითხოვს. ჩვენი მიზანია მოკლედ გავაშუქოთ საქართველოს საგანგებო კომისიის მოღვაწეობის ერთი მხარე და ისიც გარკვეულ მონაკვეთში, კერძოდ 1921—24 წწ.

საქართველოს საგანგებო კომისია არსებობის პირველი დღიდანვე სასტიკად ებრძოდა სოციალისტური სახელმწიფოს ავტორიტეტის შელახვისა და შესუსტებისაკენ მიმართულ ყოველგვარ დანაშაულებრივ მოქმედებას. ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა წარსულის უკუღმართი გადმონაშთის — სუეკულაციის, მექრთამეობისა და თანამდებობრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „თუ კი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჯერ პოლიტიკის ნასახიც არ არის. აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოვიდებული დარჩება და არავითარ შედეგს არ მოიტანს“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინის ამ მითითებისა და საბჭოთა რუსეთის გამოცდილების საფუძველზე საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ განახორციელა ღონისძიებანი ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად და სახელმწიფო აპარატის მმართველობის უსაუფლობესებლად. სუეკულაციის, მექრთამეობისა და თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის ჩაბმის მიზნით შეიქმნა ცენტრალური და პერიფერიული საკონტროლო კომისიები. საწარმოებსა და დაწესებულებებში იქმნებოდა საკონტროლო კომისიის ხელშემწყობი ჯგუფები.

სასურსათო კრიზისისა და სხვა ეკონომიური თუ პოლიტიკური სიძნელე-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 72.



ბის პერიოდში სპეკულაციასთან, მექრთამეობასთან და თანამდებობრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა არანაკლებ ძნელი იყო, ვიდრე ბრძოლა ვაფიცვებთან, აჯანყებებთან და ჯაშუშობასთან. საქართველოს საგანგებო კომისია ხალხისადმი მიმართვებით და მოწოდებებით და პრესის ფურცლებზე ახსნა-განმარტებით, ბოროტმოქმედთა მიმართ მიღებული ზომების სისტემატური გაშუქებით ეწეოდა ფართო პროფილაქტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას. კლასობრივი მტრების მკაცრად დასჯის პარალელურად ხორციელდებოდა პროფილაქტიკური ღონისძიებები, რამაც უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში, მერყევ ელემენტების გამოსწორების საქმეში.

საქართველოს საგანგებო კომისიის 1921 წლის მარტისა და აპრილის ბრძანებები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ჩეკისტური ორგანოები ყოველდღიურ სისტემატურ ბრძოლას ეწეოდნენ სპეკულანტებისა და ვაჭრების წინააღმდეგ, რათა მათ არ გადაემალათ ან არ გაენადგურებინათ სურსათი და პირველადი მოხმარების საგნები.

საქართველოს საგანგებო კომისია 1921 წლის 6 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ბრძანებით კიდევ ერთხელ აფრთხილებდა ყველა ვაჭარსა და სპეკულანტს: „ვისაც მალაზიებში არ გამოუტანია დამალული საქონელი და ჩუმად ყიდის, ... ყოველი ვაჭარი, ვისაც კი აღმოაჩნდება გადამალული საქონელი ორი დღის შემდეგ ამ ბრძანების გამოცხადებისა, დაისჯება უმაღლესი სასჯელით — დახვრეტით და ყოველივე ქონების ჩამორთმევით. ეს სასჯელი მიესჯება არა მარტო ვაჭრებს, არამედ ოჯახის იმ წევრებსაც, რომლებიც დაეხმარებიან მას საქონლის დამალვაში“.

ამასთანავე საგანგებო კომისიამ გამოაცხადა, რომ ვინც დამალულ საქონელს თავისი ნებით გამოაჩენდა, ის არ იქნებოდა დასჯილი.

საქართველოს საგანგებო კომისია სხვა სასჯელთან ერთად მიმართავდა სპეკულანტების გასახლებას საქართველოს ტერიტორიიდან.

1922 წლის 3 ნოემბერს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს საგანგებო კომისიის მორიგი მოხსენება სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ და დაეთანხმა მის წინადადებას 29 კაცის დაპატიმრებისა და გადასახლების შესახებ. როცა დასჯის ამ მკაცრ ზომასზე აძლედა თანხმობას, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პირველ რიგში აინტერესებდა, რა შედეგი მოჰყვებოდა მას.

„წინადადება მიეცეს საქართველოს ჩეკას — მითითებულია ცკ-ის დადგენილების მეორე პუნქტში, — ეს საკითხი შეუთანხმოს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას და 29 კაცის გასახლება მოახდინოს ორ ეტაპად, ამავე დროს მეორე ჯგუფი გასახლებულ იქნას მას შემდეგ, როცა გამოირკვევა პირველი ჯგუფის გადასახლების შედეგები“<sup>2</sup>.

ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული მკაცრი ზომებით განაწყენებულმა ვაჭრებმა, სპეკულანტებმა და სხვა პარაზიტებმა იმ მიზნით, რომ სახელი გაეტეხათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სოფლად და ქალაქებში დაიწყეს პროვოკაციული ჭორების გავრცელება, თითქოს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდათ მასიური ჩხრეკის ჩატარება, ვენახის აჩეხა, სურსათის ჩამორთმევა და სხვ.

<sup>2</sup> მლი საქ. ფილიალი, პარტ. არქივი, ფონდი — 14, აღწ. 1. საქმე — 207, ფ. 381.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ამასთან დაკავშირებით დაავალა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სამაზრო რევკომებს გაეწიათ ფართო ახსნაგანმარტებითი მუშაობა იმის შესახებ, რომ ყოველგვარი პროვოკაციული ხმების გავრცელება კონტრრევოლუციური ელემენტების მონაწირობის სახალხო მეურნეობაში არეგ-დარევის შეტანის მიზნით<sup>3</sup>.

საქართველოს საგანგებო კომისიამ ხალხისადმი თავის 1921 წლის 15 აპრილის მიმართვაში ფარდა ახადა პროვოკაციული ჭორების გავრცელების ნამდვილ მიზანს და მოუწოდა ყველა პატიოსან მშრომელს დახმარებოდნენ ჩეკისტებს პროვოკატორების აღმოჩენასა და მხილებაში<sup>4</sup>.

ბრძოლის ამ ეტაპზე საგანგებო კომისიის ორგანოები ეყრდნობოდნენ მშრომელი ხალხის იმ ნაწილს, რომლის ცნობიერება კაპიტალიზმის მსხვერვისა და სოციალიზმის მშენებლობის გიგანტურ გარდაქმნათა პროცესში მთლიანად გათავისუფლდა წარსულის უკუღმართი გადმონაშთებისაგან. მათი დახმარებითა და მხარდაჭერით საგანგებო კომისია სისტემატურად აწვდიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას უტყუარ ინფორმაციას საწარმო-დაწესებულებებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

საგანგებო კომისიის ინფორმაციაში, რომელიც ასახავს 1921 წლის 22 ივნისიდან 14 ივლისამდე ქალაქ თბილისში შექმნილ მდგომარეობას, ნათქვამია, რომ საქართველოს პროდუქტის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საწყობში ქურდობა-გატაცებასთან ერთად პასუხისმგებელი მუშაკები შეუბრალებელი, უხეში მოქცევით მუშებში ხელოვნურად ქმნიდნენ უკმაყოფილებას. „სახალხო მეურნეობის თანამშრომლებსა და პასუხისმგებელ მუშაკებს შორის შეიმჩნევა აშკარა საბოტაჟი“<sup>5</sup>. თანამდებობის პირთა შორის არიან საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები, ცნობილი ესერები, ძველი ოფიცრები და გენერლები, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებას<sup>6</sup>.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა თბილისის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების ზოგიერთ საწარმოებებში მათ ნაციონალიზაციამდე. კერძო მფლობელები, რომლებიც თავიდანვე მტრულად შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ საწარმოთა საქმიანობა. ისინი ხელოვნურად ამცირებდნენ მუშათა რაოდენობას, აგვიანებდნენ ხელფასის გაცემას და სხვ. საბოტაჟი მიზნად ისახავდა აემხედრებინა მუშა-მოსამსახურეები საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

სპეკულაციის, მექრთამეობისა და თანამდებობრივ დანაშაულობათა გამომწვევი მიზეზების შესწავლისა და მის წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლის ორგანიზაციისათვის საქართველოს საგანგებო კომისიის ცენტრალურ აპარატში შეიქმნა სპეციალური ქვეგანყოფი, რომლის ბაზაზე 1921 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა „ეკონომიური განყოფილება“ (ეკო)<sup>7</sup>. „ეკო“-მ უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოში სოციალისტური საკუთრების გატაცების,

<sup>3</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 6 აპრილი.

<sup>4</sup> გაზ. «Правда Грузии», 1921 წ. 17 აპრილი.

<sup>5</sup> საქართველოს სტია, ფონდი — 281, აღწ. 2, საქმე — 17, ფ. 5.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> მლნი საქ. ფილიალი პარტ. არქივი, ფონდი — 14, აღწ. 1, საქმე — 530, ფ. 654.

სპეკულაციის, მექრთამეობისა და სხვა მსგავს ბოროტებათა აღმოფხვრისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

სპეკულაციის, მექრთამეობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძოლის ფართო შეტევის ხასიათზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მარტო ცენტრალური აპარატის მიერ 1921 წლის აგვისტოში რეალიზებულ იქნა 40 საგამოძიებო საქმე აღნიშნულ დანაშაულობათა შესახებ<sup>8</sup>.

1921 წლის დეკემბერში საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიამ გაარჩია ერმილე თოხაძის, გიორგი ბლაგოდატინის, ვასილი თოხაძისა და სხვათა საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ სამსახურებრივი დანაშაული. ე. თოხაძე საავიაციო ესკადრილის უფროსის თანაშემწედ ყოფნის დროს ყალბი საბუთების შედგენითა და სხვა მაქინაციებით „ეწეოდა სპეკულაციას და ვაჭრობდა სახელმწიფო დაწესებულებებთანაც კი“<sup>9</sup>. ამ ბოროტ საქმიანობაში თოხაძე აქტიურად იყენებდა თავის ახლო ნათესავ-ნაცნობებს. საგანგებო კომისიის კოლეგიამ დამსახურებულად დასაჯა ყველა დამნაშავე, მათ შორის ერმილე თოხაძეს უმალღესი სასჯელი — დახვრეტა შეუფარდა.

განსაკუთრებული ყურადღება იყო საჭირო რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურე აპარატის პერსონალის შერჩევისა და გაჯანსაღება-მოწესრიგებისათვის, რადგან მათ მიერ ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულს შეიძლებოდა საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1922 წლის 20 მარტს მოისმინა რკინიგზის თბილისის კვანძის სავზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და დასახა ღონისძიებანი მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის<sup>10</sup>.

რკინიგზის ტრანსპორტის თანამშრომელთა დაუდევრობისა და სხვა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, სავზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიასთან შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზებზე მარცხთან და შემთხვევებთან მებრძოლი განსაკუთრებული კომისია. მან თავიდანვე გააკეთა გამაფრთხილებელი განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იმის წინააღმდეგ, „ვინც გამოიჩინს — სამსახურის მოვალეობათა ასრულებისას დაუდევრობას, უთაურობას, უყურადღებობას, მიღებული იქნება უკიდურესი რეპრესიული, დაუნდობელი ზომები“<sup>11</sup>.

ამიერკავკასიის რკინიგზებზე მარცხთან და შემთხვევებთან მებრძოლ განსაკუთრებულ კომისიას უფლება მიეცა სავზაო შემთხვევებში დამნაშავე პირთა გასამართლებისას გამოეტანა თვით უმალღესი სასჯელი — დახვრეტაც კი.

1924 წლის მაისში განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა რკინიგზის თბილისის კვანძის მე-6 უბნის უფროსის თანაშემწის გიორგი ლავრენტის-ძე გავრილოვის ბრალდების საქმე. მის დაუდევრობასა და დანაშაულებრივ უმოქმედობას, არაერთხელ მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. აღნიშნული დანაშაულისათვის განსაკუთრებულმა კომისიამ გავრილოვს დახვრეტა მიუსაჯა. ასეთივე ბედი ეწიათ მემანქანებს ალექსანდრე ვოევოდინს და ვლადიმერ შარიევს. ხოლო

<sup>8</sup> იქვე, საქმე — 15, ფ. 92.

<sup>9</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 12 იანვარი.

<sup>10</sup> მლი საქ. ფილიალი, პარტ. არქივი. ფონდი — 14, აღწ. 1, საქმე — 206, ფ. 318.

<sup>11</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 23 ივნისი.

მთავარ კონდუქტორს სერგო გვერდწითელსა და უფროს მეისრეს სარჩის სარქისოვს მიესაჯათ პირველს 10 წლის, მეორეს კი 5 წლის პატიმრობა სასტიკი იზოლაციით<sup>12</sup>.

თანამდებობრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის უღმობელმა ბრძოლამ, რომელიც ნაკარნახევი იყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებით, საგრძნობლად შეამცირა რკინიგზის ტრანსპორტზე მარცხები და შემთხვევები. საკმაოდ ამაღლდა მოძრაობის უსაფრთხოების დონე.

საქართველოს საგანგებო კომისია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებითა და მხარდაჭერით სასტიკ ბრძოლას უცხადებს იმ მუშაკებს, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თავის სამსახურებრივ მდგომარეობას და რაიმე ანგარებით ან სხვა მოსაზრებებით სახელს უტეხდნენ საბჭოთა საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებს.

1921 წელს მთელ საქართველოში გახდა ცნობილი ქ. ხაშურის სახალხო მოსამართლის კიკნაძის მიერ თავისი უფლებების არაკეთილსინდისიერად გამოყენების ფაქტი, რაც გამოიხატა მიწის სადავო საკითხის გადაჭრის დროს ანგარებით მიკერძოებასა და სრულიად გაუმართლებელი გადაწყვეტილების გამოტანაში. კიკნაძის საქციელი შეფასებულ იქნა, როგორც კონტრრევოლუციონური საქმიანობა, რადგან მან თანამდებობრივი დანაშაულით არა მარტო დაიცვა ყოფილი მემამულის ინტერესები, არამედ უკმაყოფილებაც გამოიწვია გლეხობაში საბჭოთა წყობილების მიმართ. გარდა ამისა, თავისი მოქმედებით მან პრესტიჟი შეუღალა საბჭოთა სასამართლოს.

ყოველგვარი შეთქმულებების, საბოტაჟის და სხვა ბნელი საქმეების თავიდან აცილების, რევოლუციური მართლწესრიგის შენარჩუნებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეთა პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, 1921 წლის 15 აპრილის ბრძანებით საქართველოს საგანგებო კომისიამ აკრძალა არალეგალური კრებების, თათბირებისა და სხვა ყრილობების ჩატარება. ყველა პოლიტიკურ პარტიებს და დაჯგუფებებს — ნათქვამია იყო ბრძანებაში, — რომლებიც არ დგანან მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმაზე, ყოველგვარი კრებების, თათბირების, სხდომების და ა. შ. მოწყობა-ჩატარება შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს საგანგებო კომისიისა და პოლიტიბუროების ნებართვით. ყველა უნებართვო კრება, თათბირები და ა. შ. დაშლილი იქნება ყოველგვარი ვაფრთხილების გარეშე, ხოლო მათი ინიციატორები დაპატიმრებული იქნებიან და მიეცემათ სამართალში, როგორც არსებული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორები<sup>13</sup>.

ჩაიფუშა კონტრრევოლუციის ცდა შინაგანი აფეთქებებით მოეხდინა ექსპლოატატორთა ხელისუფლების რესტავრაცია.

საქართველოს საგანგებო კომისიამ დროულად მიაგნო შეთქმულების სათავეებს, გამოავლინა სპეკულანტები, მექრთამეები და ძირფესვიანად ამოკვეთა ისინი ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ჯანსაღი სხეულიდან.

<sup>12</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 28 ივნისი.

<sup>13</sup> გაზ. «Правда Грузии», 1921 წ. 17 აპრილი.

## კეპლერის სწავლის განსაზღვრისათვის

მ. კიკვიძე

ზიანის ანაზღაურება რეგრესის წესით რთული და აქტუალური პრობლემაა. მისი შესწავლა-დამუშავება წარმოადგენს საბჭოთა ცივილისტების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

ლიტერატურაში სარეგრესო სარჩელები და რეგრესული ვალდებულებები სხვადასხვაგვარად არის განმარტებული. ცნობილი ცივილისტი ლ. მაიდანიკის მის ასეთ განსაზღვრას იძლევა: „სარეგრესო სარჩელი არის საწარმოს მიმართ სასამართლოში აღძრული მოთხოვნა პროფკავშირისა ან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსი სოციალური დაზღვევის იმ თანხის ანაზღაურების შესახებ, რაც გახარჯულ იქნა უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით“.<sup>1</sup>

ეს განსაზღვრა თუმცა გამოხატავს სარეგრესო სარჩელის ცნებას, მაგრამ როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს პროფ. ი. ბ. ნოვიცკი არ წარმოადგენს სარეგრესო სარჩელის საერთო ცნების განსაზღვრას.<sup>2</sup> მართლაც ლ. მაიდანიკს მხედველობაში აქვს მხოლოდ ისეთი ურთიერთობა, როდესაც პროფკავშირი ან სოციალური უზრუნველყოფის ორგანო უფლებამოსილია სარჩელით მიმართოს სასამართლოს იმ თანხის ანაზღაურების შესახებ, რაც მათ გახარჯეს უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული პირის სასარგებლოდ დახმარების სახით დროებით შრომისუნარის დაკარგვის გამო, ან პენსიების სახით ინვალიდობის და მარჩენალის დაკარგვის გამო.

სარეგრესო სარჩელის განსაზღვრა მოცემული აქვს მ. მ. აგარკოვსაც, მაგრამ ის განიხილავს სარეგრესო მოთხოვნის მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც უმთავრესად დაკავშირებულია სოლიდარულ ვალდებულებებთან. ეს განსაზღვრა თავის დროზე გაკრიტიკებულ იქნა პროფ. ი. ნოვიცკის მიერ, რომელმაც მიუთითა, რომ აღნიშნული განსაზღვრის დროს მხედველობაში არ არის მიღებული რეგრესის სხვა შემთხვევები.<sup>4</sup>

ვ. კორეცკი განიხილავს რა რეგრესის ერთ სპეციალურ შემთხვევას, იძლევა სარეგრესო სარჩელების საერთო განსაზღვრას, „როგორც სარჩელების იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც განიცადა ერთმა მხარემ, როდესაც მეორე მხარის სასარგებლოდ ნებაყოფლობით ან სასამართლოს გადაწყვეტი-

<sup>1</sup> Л. Майданик, Регрессные иски профсоюзов и иски потерпевших к предприятиям. Профиздат, 1946 г., стр. 10.

<sup>2</sup> И. Б. Новицкий. Регрессные обязательства между социалистическими хозяйственными организациями, Госюриздат, 1952, стр. 15.

<sup>3</sup> М. М. Агарков, Обязательство по Советскому гражданскому праву, Госюриздат, 1940 г., стр. 30.

<sup>4</sup> И. Б. Новицкий, Регрессные обязательства между социалистическими хозяйственными организациями. Госюриздат, 1952 г., стр. 15.

ლებით შეასრულა ის ვალდებულება, რომელიც უნდა შეესრულებინა, მაგრამ არ შეასრულა მესამე მხარემ“.<sup>5</sup>

ჩვენი შეხედულებით კორეციის განსაზღვრება უფრო სრულყოფილად გამოხატავს სარეგრესო სარჩელის საერთო ცნებას, მაგრამ ის მაინც არ შეიძლება მიღებულ იქნას რეგრესის ყველა შემთხვევისათვის. მართებულად უნდა ჩაითვალოს ამ შემთხვევაში პროფ. ი. ნოვიციის მითითება იმის შესახებ, რომ ეს განსაზღვრა „საჭიროებს გაფართოებას და დაზუსტებას“.<sup>6</sup>

მოცემული განმარტებიდან მართლაც არა ჩანს, თუ რა მიზანს ისახავს რეგრესული მოთხოვნა, კერძოდ, არ არის გარკვეული, თუ რა ზიანი უნდა იქნას ანაზღაურებული ამ მოთხოვნით და რა წესით.

ჩვენი აზრით, განმარტებაში უნდა აღნიშნულიყო, რომ რეგრესი საშუალებას იძლევა საპრეტენზიო, ან საერთო სასარჩელო წესით ზარალის მიმყენებელმა საბოლოოდ ანაზღაუროს მის ნაცვლად დაზარალებული პიროვნების სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი თანხა. ეს მით უფრო გამართლებულია, რომ თვით სარეგრესო მოთხოვნა ითვალისწინებს სწორედ ზიანის საბოლოოდ ანაზღაურების მიზანს, რეგრესის არსი სწორედ ის არის, რომ ზიანი საბოლოოდ იქნას ანაზღაურებული უშუალოდ ზიანის მიმყენებლის მიერ.

სხვა პოზიციით იხილავს რეგრესის საკითხს პროფ. კ. ს. იუდელსონი. იგი აღნიშნავს, რომ „რეგრესით კრედიტორს (რეგრედიენტს) შეუძლია მოითხოვოს (რეგრესატისაგან) ფულის გადახდა, ნივთების გადაცემა ან სხვა მოქმედება მოვალის ზარჯზე მესამე პირისათვის გადახდის გამო ან კრედიტორის ზარჯზე მესამე პირისაგან მიღების გამო, ან მესამე პირის მოქმედების შედეგად მოვალეზე დაკისრებული ვალდებულებით კრედიტორის მიერ მიღებულის დაბრუნების გამო“.<sup>7</sup>

ჩვენი აზრით, ტექსტში გამოყენებული ტერმინები „რეგრედიენტი“ და „რეგრესატი“ ართულებს ამ განსაზღვრის შინაარსს. უფრო მიზანშეწონილია, რომ ტექსტში მოხსენებული გამოთქმების „ფულის გადახდა“, „ნივთების გადაცემა“, ან „სხვა მოქმედებას“ ნაცვლად გამოყენებულ იქნას გამოთქმა — „ზიანის ანაზღაურება“, რომელიც უკეთესად გამოხატავს რეგრესის მოთხოვნის ცნებას.

განსაზღვრა დამაჯერებლად არ იძლევა გარანტიას სარეგრესო უფლების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ. ავტორი არ გამოხატავს რეალურ მიზანს, რომლისკენაც მიმართულია სარეგრესო მოთხოვნა. განსაზღვრაში ზაზგასმით უნდა იყოს მითითებული, რომ სარეგრესო მოთხოვნა მიზნად ისახავს მიყენებული ზიანის საბოლოოდ ანაზღაურებას.

კ. იუდელსონი, ისევე როგორც ვ. კორეციი არაფერს ამბობენ სარეგრესო მოთხოვნის წარმართვის საშუალებაზე.

<sup>5</sup> В. Корецкий, Регрессные иски по качеству, «Арбитраж», 1939 г., № 11, стр. 12.

<sup>6</sup> И. Б. Новицкий. Регрессные обязательства между социалистическими хозяйственными организациями, Госюриздат, 1952 г., стр. 15—16.

<sup>7</sup> К. С. Юдельсон. Регрессное обязательство в основных институтах Советского гражданского права. Ученые записки Свердловского юридического института, 1945 г., вып. I, стр. 71.

პროფ. ი. ბ. ნოვიცკი თვლის, რომ ცივილისტების ერთი ჯგუფის განსაზღვრა სარეგრესო სარჩელის შესახებ სპეციალური შემთხვევის გამომხატველია და არ იძლევა სრულყოფილ საერთო ცნებას; მეორე ჯგუფის ფორმულირება (პროფ. იუდელსონისა) მიაჩნია ცნების მეტისმეტად ფართო გაგებად. ი. ნოვიცკი შემდეგნაირად განსაზღვრავს რეგრესულ ვალდებულებას: „რეგრესული ვალდებულება არის ისეთი ვალდებულება, რომლის მიხედვითაც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოვალისაგან ფულადი თანხა ან სხვაგვარი ქონებრივი ფასეულობა, რომელიც გადახდილი (გადაცემული) იქნა კრედიტორის მიერ მესამე პირისათვის მოვალის ბრალით, ან მიღებულ იქნა მოვალის მიერ მესამე პირისაგან, თუმცა ფორმალურად მართებულად, მაგრამ არსებითად კრედიტორის ხარჯზე“.<sup>8</sup>

განმარტავს რა სარეგრესო სარჩელს იგი აღნიშნავს „სარეგრესო სარჩელი ამის შესაბამისად წარმოადგენს ისეთ სარჩელს, რომლითაც სოციალისტურ ორგანიზაციას ან მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევათ დაიცვას მოთხოვნის უფლება, რომელიც გამომდინარეობს რეგრესული ვალდებულებიდან ან სხვანაირად რომ ვთქვათ, დაიცვას სარეგრესო მოთხოვნა“.<sup>9</sup>

ჩვენი აზრით, ფორმულირებას რომ მისცემოდა რეგრესის საერთო ცნების სრულყოფილი და ყოველმხრივ ზუსტად გამომხატველი ხასიათი, განსაზღვრაში უნდა აღნიშნულიყო, რომ რეგრესული ვალდებულება ითვალისწინებს არა ჩვეულებრივ მოთხოვნას, არამედ ისეთ მოთხოვნას, რომელიც მიმართულია ზიანის საბოლოოდ ანაზღაურებისაკენ და რომ რეგრესული ვალდებულება წარმოადგენს გარანტირებულ უფლებას ზიანის საბოლოოდ ანაზღაურებისათვის, რომელიც უნდა წარმართულ იქნას მხოლოდ საპრეტენზიო ან სასარჩელო წესით.

რეგრესის ცნების განსაზღვრა უფრო ნათელი იქნებოდა, რომ ფიქსირებული ყოფილიყო გამოთქმა „თანხის დაბრუნების შესახებ“. უფრო სწორია „ფულადი თანხის“ ან „სხვაგვარი ქონებრივი ფასეულობის“ ნაცვლად ვიხმართ გამოთქმა „ზიანის ანაზღაურება“. განსაზღვრის ტექსტში ნახმარი გამოთქმა „სარეგრესო სარჩელი“ ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ზიანის ანაზღაურება შეიძლება მხოლოდ სასარჩელო წესით და სხვა საშუალება გამორიცხულია, რასაც სრულიად არ გულისხმობს რეგრესის საერთო ცნება.

ჩვენი აზრით რეგრესის საერთო ცნების სრულყოფილად გამოხატვისათვის მიზანშეწონილია არა „სარეგრესო სარჩელის“ განსაზღვრა, არამედ „რეგრესული მოთხოვნის“ განსაზღვრა, რაც ვფიქრობთ ყოველმხრივ — დააკმაყოფილებს რეგრესის საერთო ცნებას, მის დანიშნულებასა და მიმართულებას.

<sup>8</sup> **И. Б. Новицкий.** Регрессные обязательства между социалистическими хозяйственными организациями, Госюриздат, 1952 г., стр. 3—4.

<sup>9</sup> იქვე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება განვსაზღვროთ რეგრესის საერთო ცნება: რეგრესული მოთხოვნა წარმოადგენს ისეთ გარანტირებულ უფლებრივ საშუალებას, რომლითაც დაზარალებულს შესაძლებლობა ეძლევა ზიანის საბოლოოდ ანაზღაურების მიზნით საპრეტენზიო ან საერთო სასარჩილო წესით დაიბრუნოს ზიანის უშუალოდ მიმყენებლისაგან მის მაგივრად პირველადი დაზარალებულის სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი თანხა, რომლის ანაზღაურების პასუხისმგებლობა საბოლოოდ ეკისრება ზიანის მიმყენებელს.

ეს განსაზღვრა ზუსტად გამოხატავს რეგრესის საერთო ხასიათს და შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგრესის ყველა შემთხვევისათვის.



# საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის გამოყენების უსიქოლოგოური ქრიზერიუმი

თ. შავჭულიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის გამოყენების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მკვლელობის დროს დამნაშავე უნდა იმყოფებოდეს უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

აღელვება ემოციური განცდაა, რომელიც განსხვავებული ინტენსივობით ხასიათდება. ამასთან აღელვების ინტენსივობის ზრდამ გარკვეული მომენტისათვის შეიძლება გამოიწვიოს უეცარი ემოციური აფეთქება, რომელიც უმალვე ქრება. ასეთ აფეთქებას ფსიქოლოგები აფექტს უწოდებენ. სწორედ აფექტი აქვს მხედველობაში კანონმდებელს, როდესაც იგი უეცრად აღმოცენებულ ძლიერ სულიერ აღელვებაზე მიუთითებს.

ამგვარად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს უეცრად აღმოცენებული, სწრაფად წარბევალი და უკიდურესად ინტენსიური ემოცია, რომელიც ეუფლება დამნაშავეს მკვლელობის ჩადენის მომენტში და გარკვეულად წარმართავს დანაშაულებრივ ქცევას.

რისხვის აფექტის ეს თვისება გვეკლინება დანაშაულებრივი განზრახვის უეცრად აღმოცენებისა და მისი უმალვე სისრულეში მოყვანის წყაროდ.

ქმედობის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით დაკვალიფიცირების შემთხვევაში სასამართლომ აუცილებლად უნდა მიუთითოს, რომ მკვლელობა ჩადენილია უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების და არა საერთოდ აღელვების მდგომარეობაში. ეს ხაზგასმულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ერთ-ერთ დადგენილებაში:

„რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბრალდებულის ძლიერი სულიერი აღელვება, რომელიც შემამსუბუქებელ გარემოებად მხოლოდ მაშინ შეიძლება ვაღიაროთ, როცა ასეთი მდგომარეობა უეცრად აღმოცენდება“<sup>1</sup>.

2. საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღელვების უეცრობის საკითხი სხვადასხვაგვარად არის გაგებული.

ასე მაგალითად, პროფ. ს. ბოროდინი თვლის, რომ რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღელვება უეცრად სდევს თან დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ВВС СССР, 1963 г., № 2, стр. 28. (რსფსრ სსკ-ის 104 მუხლი შეესაბამება საქართველოს სსრ სსკ-ის 106-ე მუხლს).

<sup>2</sup> С. Бородин, «Социалистическая законность», 1960 г., № 11, стр. 93.

პროფესორი გ. კრიგერის აზრით, მკვლელობა უეცრად უნდა მოსდევდეს დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას.<sup>3</sup>

ი. კრუტოვი არ ეთანხმება „უეცრობის“ მომენტის ამგვარ გაგებას და ამტკიცებს, რომ შესაძლოა მკვლელობის განზრახვა აფექტის დროს განხორციელდეს საკმაოდ დროის გასვლის შემდეგაც.<sup>4</sup>

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვერც ერთ ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან ვფიქრობთ, რომ ყველა შემთხვევაში თვით საკითხის დასმა არასწორი, და აი რატომ:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფექტისათვის ძლიერი სულიერი აღელვების აღმოცენების უეცრობაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე „უეცრობა“, რომელზეც მიუთითებს კანონმდებელი, ეხება თვით აღელვებას, მის ხასიათს. კანონმდებელს მხედველობაში აქვს რისხვის აფექტი, მაგრამ არ შეაქვს დაზარალებულის შემადგენლობაში ეს წმინდა ფსიქოლოგიური ტერმინი, არამედ მის ნაცვლად უთითებს უეცრად აღმოცენებულ ძლიერ სულიერ აღელვებაზე.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლში უეცრობის მომენტის შეტანით კანონმდებელი არ წყვეტს იმ საკითხს — მკვლელობა უეცრად უნდა მოჰყვეს დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას თუ არა, ანდა აუცილებელია თუ არა აღელვებას უეცრად მოჰყვეს მკვლელობა. ამ საკითხების გადაწყვეტისას უნდა გამოვიდეთ თვით აფექტის ბუნებიდან.

თუ აფექტი აღმოცენდება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისთანავე, მაშინ 106-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია მარტოდენ იმ შემთხვევაში, როდესაც აღელვება იყო უეცარი საბასუხო რეაქცია უშუალოდ დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე.

იგივე შეიძლება ითქვას დაზარალებულები განზრახვის სისრულეში მოყვანის უეცრობაზე.

ეჭვს არ იწვევს, რომ აფექტი, როგორც წესი, არის უშუალო საბასუხო რეაქცია დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაზე, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ადრე მიღებული ძლიერი სულიერი ტრავმა გაცოცხლდეს გარკვეულ ფაქტთან დაკავშირებით და გამოიწვიოს უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება.

მოვიტანოთ მაგალითი: საბჭოთა სამხედრო ტყვე ა. წლების მანძილზე იმყოფებოდა გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში. საბჭოთა ტყვეების წამებაში აქტიურად მონაწილეობდა სამხედრო პირი გ., რომელიც ესესელთა აგენტად მუშაობდა. ომის დამთავრების შემდეგ დაინვალიდებული ა. მოულოდნელად შეხვდა ქუჩაში გ-ს. მისი ჩაცმულობა და იერი მეტყველებდა, რომ იგი ძალზე კარგად გრძობდა თავს. გამძვინვარებულმა ა-მ ხელი დაავლო ქუჩაში მდგარ შრნას და იჭვე მოკლა გ.

შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში ვილაპარაკოთ აფექტზე? რასაკვირველია შეიძლება. მართალია, საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნიდან გ-ს მკვლე-

<sup>3</sup> Г. А. Кригер, К вопросу разграничения убийства в состоянии аффекта и убийства, совершенного при превышении пределов необходимой обороны, Вестник МГУ, 1961 г., № 1 стр. 33. იგივე აზრია გამოთქმული სისხლის სამართლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში. იხ. «Советское уголовное право», ч. Особенная, М., 1961 г., стр. 195.

<sup>4</sup> Ю. Н. Крутов, Умышленное убийство, совершенное в состоянии внезапно возникшего сильного душевного волнения, «Вопросы уголовного права», сб. ст., ВЮЗИ, М., 1966 г., стр. 171—173.

ლობამდე საკმაოდ დრო გავიდა, მაგრამ ის დიდი სულიერი ტრავმა, რაც ა-მ ბანაკში მიიღო, — ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი. გ-სთან შეხვედრამ ახალი ტრავმა მიაყენა ა-ს, რამაც უეცრად გამოიწვია მასში ძლიერი სულიერი აღელვება.

როგორ წყვეტს ამ საკითხს სასამართლო პრაქტიკა? მოვიტანოთ ორი მაგალითი:

ი. და მისი ქმარი ფ. ხშირად ჩხუბობდნენ. ფ. ლოთობდა და სცემდა ცოლს. შემთხვევის დღეს ფ-მ ფული წაართვა ცოლს, დათვრა და კვლავ სცემა მას. ი.-მ უკვე მძინარე ქმარს, მოკვლის მიზნით, ქვა ჩაარტყა თავში (დარტყმის შედეგად ფ. მძიძედ დაშავდა).

ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლომ ი-ს მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 19—144-ე მუხლით. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დანაშაული გადააკვალიფიცირა იმავე კოდექსის 19—146-ე მუხლზე (აფექტში ჩადენილი მკვლელობა).

ა. თოფით ხელში სანადიროდ აპირებდა წასვლას. კიბეზე მან შეამჩნია თავისი მცირეწლოვანი მტირალი და. ა-ს შეკითხვაზე დამ უბასუხა, რომ იგი რამდენიმე დღის წინ გააუბატიურა მისმა ბიძაშვილმა ს-მ. ა. უმაღ გავმართა ვენახისაკენ, სადაც ს. ეგულებოდა. მისვლისთანავე შესძახა: „აღექი, შე უნამუ-სო. უნდა მოგკლა“, ესროლა თოფი და მოკლა თავისი ბიძაშვილი.

დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ა-ს მოქმედება დააკვალიფიცირა, როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დანაშაული გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლზე (მკვლელობა, ჩადენილი აფექტის მდგომარეობაში).

ორივე შემთხვევაში მკვლელობა დროის გარკვეული მონაკვეთით სცილდება დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მკვლელობა აფექტში ჩადენილად ჩათვალა.

ჩვენ აზრით, არც ერთ შემთხვევაში მოტანილ მაგალითში არ არის გამორიცხული აფექტის არსებობის შესაძლებლობა, თუმცა ორივე შემთხვევა აფექტისათვის არატიპიურია. ასეთ ვითარებაში სასამართლო მოვალეა განსაკუთრებით გაამაზვილოს ყურადღება და დაასაბუთოს, რომ ადგილი ჰქონდა უეცარ ძლიერ სულიერ აღელვებას. განაჩენში უნდა დასაბუთდეს, რომ სწორედ აფექტმა შეუწყობ ხელი მკვლელობის განზრახვის წარმოშობას და რომ ეს განზრახვა მოყვანილი იქნა სისრულეში აფექტის მდგომარეობაში. ამის შესახებ არაერთხელ იყო მიზთითებული უმაღლესი სასამართლო ორგანოების მიერ<sup>5</sup>.

ამგვარად, ცოლის მიერ ქმრის მკვლელობის შემთხვევაში მაგალითში, სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმაზე, თუ როდის აღმოცენდა მკვლელობის განზრახვა. თუ ი-ს ქმრის მკვლელობის განზრახვა დაებადა ადრე,

<sup>5</sup> ასე მაგალითად, რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ერთ-ერთ განჩინებაში მითითებულია: „რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი (ივლისსმება 1926 წლის სსკ) შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მკვლელობის განზრახვა აღმოცენდა ძლიერი სულიერი აღელვების შედეგად და იმწამსვე იქნა მოყვანილი სისრულეში“.

მაგრამ დაიცადა, სახამ მსხვერპლი დაიძინებდა, რათა უფრო ადვილად მოეყვანა თავისი განზრახვა სისრულეში, მაშინ, თუგინდ ი. მკვლელობის მომენტი აფექტის მდგომარეობაშიც ყოფილიყო, ქმედობის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით დაკვალიფიცირება დაუშვებელია. ამ შემთხვევაში აფექტი იქნებოდა დანაშაულის ჩადენის თანმდევი მომენტი და არა მკვლელობის განზრახვის აღმოცენების პირობა.

სასამართლო კოლეგიამ ი-ს ქმედობის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—146-ე მუხლზე გადაკვალიფიცირების დასასაბუთებლად აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ ფ. ცუდად ექცეოდა ცოლს და ეს უკანასკნელი მკვლელობის განზრახვამდე სწორედ ქმრის ამორალურმა და აუტანელმა ქცევამ მიიყვანა. ყოველივე ამის მტკიცებას, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის, მაგრამ იგი სრულიადაც არ იყო საქმარისი მკვლელობის საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 17—146-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ზემომოტანილ მაგალითზე ა-ს მიერ თავისი ბიძაშვილის მკვლელობის შესახებ.

აქაც მკვლელობის კვალიფიკაციის სისწორე დამოკიდებული იყო იმაზე, იმყოფებოდა თუ არა ა. მკვლელობის დროს აფექტის მდგომარეობაში, მაგრამ კოლეგიამ დაასაბუთა არა ეს ფაქტი, არამედ ის, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი გაუპატიურებას.

იმის დადგენა, იყო თუ არა მკვლელობა ჩადენილი აფექტის მდგომარეობაში — რთულია.

აფექტი ემოციური განცდაა და ადამიანის ცხოვრების შინაგან სფეროს უფრო ეხება, ვიდრე გარეგანს. იგი ხანმოკლეა და გაქრობის შემდეგ არ ტოვებს რაიმე ისეთ მდგრად კვალს, რომელიც შეიძლება გამოდგეს იმის დასამტკიცებლად, რომ მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში იყო ჩადენილი. უკვე განვლილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების არსებობის დასასაბუთებლად ექსპერიმენტი არ გამოიყენება.

მაუხედავად მთელი ამ სირთულისა, აფექტის არსებობის დასასაბუთებლად სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს მთელი რიგი მონაცემები.

უპირველეს ყოვლისა, აფექტი არ წარმოადგენს მხოლოდ სულიერ ფენომენს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძენმა ფილოსოფოსებმა იცოდნენ, რომ სულის ყოველგვარი მოძრაობა, მათ შორის რისხვა, შიში და სხვ. კავშირში იმყოფება სხეულთან და ამიტომ სხეული ყველა განცდაში ასე თუ ისე მონაწილეობს.

ბურჟუაზიული ქვეყნების მეცნიერულ სამყაროში გარკვეული პოპულარობა მოიპოვა თეორიამ, რომელიც გრძნობათა და აფექტების არსს სწორედ ფიზიკური მდგომარეობის განცდაში ხედავს. ამ თეორიას უწოდებენ ჯეიმს ლანგეს გრძნობათა თეორიას<sup>6</sup>. ამ თეორიის თანახმად გრძნობა წარმოადგენს ფიზი-

<sup>6</sup> H. Longe, *Üben gemütsbewegungen* (ersheinen 1885), იხ. H. Walder, *Der Affect und seine Bedeutung in schweizerischen strafrecht*, «Schweizerische zeitschrift für strafrecht», H. № 1, 1965, S. 30.

კურ გამოვლინებათა კომპლექსის განცდას. მე მიტომ კი არ ვსტირი, რომ ვწუხ-  
 ვარ (კლასიკური თეორია), არამედ მიტომ ვწუხვარ, რომ ვტირი<sup>7</sup>.

ჯეიმს ლანგეს თეორიაზე დაყრდნობით ზოგიერთი მეცნიერი აფექტს ჩვეუ-  
 ლებრივი სულიერი მდღეღვარებისაგან მიჯნავს სწორედ ფიზიკური გამოვლინე-  
 ბით.<sup>8</sup> იმასაც ამტკიცებენ, რომ აფექტს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც აღელვე-  
 ბა და მისი თანმხლები ფიზიკური პროცესები სუბიექტურად განიცდება.<sup>9</sup>

საბჭოთა ფსიქოლოგები აფექტს ჩვეულებრივი აღელვებისაგან არ მიჯნა-  
 ვენ ფიზიკური გამოვლინებებით, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ აფექტს თან ახლავს  
 ისეთი გარეგნული ფიზიკური ცვლილებანი, რომლითაც სასამართლოს შეუძლია  
 დაასაბუთოს დამნაშავეს უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვე-  
 ბის მდგომარეობაში ყოფნა.

აფექტი გარეგნულად ვლინდება სახის მიმიკის, ფერის, ხმის, შესტიკულა-  
 ციის ცვლაში. აფექტის დროს ფართოდება თვალის გუბები, ხშირდება სუნ-  
 თქვა, მატულობს გულისცემა და სხვა.

აფექტის დასასაბუთებლად შეიძლება გამოდგეს თვით დანაშაულებრივი  
 ქცევის სასიათიც, მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

კ. გეჯვანობდა ცოლზე. 1961 წ. 24 დეკემბერს იმის გამო, რომ ცოლმა ორი  
 ღამე არ გაათია სახლში, მათ შორის უსიამოვნება მოხდა. ცოლმა განუცხადა  
 ქმარს, რომ უკვე გვიანაა, რადგან იგი დაუკავშირდა სხვას. კ-მ წამოავლო ხელი  
 სამზარეულოს დანას და ცხრაჯერ დარტყმით მოკლა ცოლი, თვითონ კი  
 გაიქცა მაღალი ძაბვის ჯიხურთან და დენის მავთულს ჩამოეკიდა. მიღებული  
 დაზიანების შედეგად კ-ს მოჰკვეთეს მარჯვენა ხელი. კ-ს მოქმედება თავისთავად  
 მეტყველებს, რომ იგი იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში.

შვეიცარიელი მეცნიერი ჰ. ვალდერი თვლის, რომ ადამიანს დიდხანს შეუძ-  
 ლია ატაროს აფექტი, სანამ საქმე არ მივა განმუხტვამდე.<sup>10</sup> ჰ. ვალდერის ეს აზრი  
 არ უნდა იყოს ზუსტი. ადამიანმა შეიძლება დიდხანს ატაროს ესა თუ ის ემო-  
 ციური განცდა (სიყვარული, სიძულვილი, შიშა და სხვა), მაგრამ თუ განცდა  
 მიაღწია აფექტის ინტენსივობას, იგი სწრაფად ჩაქრება.

რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს აფექტი? ეს აფექტის საკითხია, იგი  
 დამოკიდებულია როგორც სუბიექტის თვისებებზე, ისე აფექტის სიღრმესა და  
 ინტენსივობაზე. უდავოა ერთი: აფექტი შეიძლება გაგრძელდეს წამებსა და წუ-  
 თებში, მაგრამ არა საათობით. რომ არ მოვიყვანოთ სხვა არგუმენტი, ადამიანი  
 უბრალოდ ფიზიკურად ვერ გაუძლებს ასეთ ინტენსიურ ემოციურ განცდას.

ვინაიდან აფექტი სწრაფად წარმავალი ემოციური განცდაა, ამიტომ ბუნებ-  
 რივია, რომ თუ მკვლელობის განზრახვის აღმოცენებიდან მის რეალიზაციამდე  
 მნიშვნელოვანი დრო გავიდა, უკვე თავისთავად გამორიცხულია დანაშაულის  
 აფექტის მდგომარეობაში ჩადენა და შესაბამისად საქართველოს სისხლის სა-  
 მართლოს კოდექსის 106-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა.

ამგვარად, აფექტის დასასაბუთებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარ-

<sup>7</sup> ამ თეორიას ფსიქოლოგები არ იზიარებენ. ჯეიმს ლანგეს თეორიის წინააღმდეგ მრავალ  
 სხვა არგუმენტს შორის მოკყავთ უბრალო არგუმენტი, რომ მე შემძლია ვწუხდე, მაგრამ არ  
 ვსტიროდღე.

<sup>8</sup> A. Lanz, Grundriss der Kriminalbiologie, Wien, 1927, S. 137, იხ. H. Walder,  
 ციტ. ნაშრ. გვ. 30.

<sup>9</sup> H. Ronzagbes, Einführung in die Psychologie, Wien, Innsbruck, 1958, S. 404, იხ. H. Wal-  
 der, ციტ. ნაშრ. გვ. 30.

<sup>10</sup> იხ. H. Walder ციტ. ნაშრ. გვ. 31.

გვევას — მკვლევლობის განზრახვა უმაღლვე იქნა მოყვანილი სისრულეში თუ არა.

მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. ზ-მ აიძულა თავისი ცოლი მიედო ოჯახში მისი საყვარელი შ., ხოლო თავისი თავი გაესაღებინა ზ.-ს დათ. ს. იძულებული გახდა დათანხმებოდა ზ.-ს. შ-მ მთელი დღე გაატარა შათანა ერთად. დამით, როდესაც ზ. და შ. ერთად დაწვნენ დასაძინებლად, ს-მ მიინარე ქმარს თავში ნაჯახი დაარტყა. შემდეგ დაჯდა მომაკვდავი ქმრის საწოლთან და განუცხადა შ-ს, რომ მეორე სასიკვდილო დარტყმას ქმარს მიაყენებს გამოთენის ხანს. ზ-მ მთელი ღამე გაატარა მომაკვდავი ქმრის გვერდით და გამოთენის ხანს ნაჯახის დარტყმით მოჰკლა იგი.

რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ს-მ ეჭვიანობის ნიადაგზე ჩაიდინა მკვლელობა.

ეჭვგარეშეა, რომ ს. მთელი ღამის განმავლობაში ვერ იქნებოდა აფექტის მდგომარეობაში. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში მითითებულია, რომ ს. იპყობებოდა ძლიერი აღელვების მდგომარეობაში. შესაძლოა მომაკვდავი ქმრის გვერდით მჯდომი ს. მართლაც ძლიერ ღელავდა, მაგრამ ეს არ არის აფექტი და შესაბამისად კანონმდებელი არ თვლის მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის მაკვალიფიცირებულ ნიშნად.

მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი. დ. ავადმყოფი შვილის წამლისათვის აფთიაქში მიდიოდა. გზაზე მას შეხვდა ხ., რომელიც მთვრალ ამხანაგებთან ერთად შოდიოდა ქორწილიდან. ხ. უმიზეზოთ აუხირდა დ-ს და ჯოხით სცემა იგი. დ. შევარდა იქვე მწყემსის კარავში, გამოიტანა თოფი, ესროლა ს-ს და მიაყენა მას სხეულის მძიმე დაზიანება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დ-ს მოქმედება შეაფასა, როგორც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ჩადენილი აფექტში.

დ-ს მკვლელობის განზრახვა უმაღლვე არ მოუყვანია სისრულეში, მაგრამ აღწერილ შემთხვევაში არ არის გამორიცხული აფექტის არსებობა ვინაიდან დანაშაულებრივი განზრახვის აღმოცენებიდან მის სისრულეში მოყვანამდე არ გასულა დიდი დრო და, რაც მთავარია დ-ს მოქმედება დანაშაულებრივი განზრახვის აღმოცენების შემდეგ მიმართული იყო მხოლოდ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანისაკენ, რაიმე გამაფრთხილებელი ან სხვა ღონისძიების გარეშე. ამ მომენტს ვადაძწყვეტი მნიშვნელობა აქვს აფექტის დასაბუთებისათვის, რადგან აფექტის დროს სუბიექტის მთელი ძალები მობილიზებულია აფექტის განმუხტვისაკენ და შესაბამისად გამორიცხულია სიტუაციის აწონ-დაწონა, მოტივაციის პროცესი, სიფრთხილის გამოჩენა და სხვ.<sup>11</sup>

გარკვეულ ინტერესს იწვევს ერთ-ერთი მაგალითი რსფსრ-ს სასამართლო პრაქტიკიდან.

1960 წ. 11 იანვარს, მთვრალი ვ. შეეცადა მეზობელ ს-ს 9 წლის ვოგონას გაუპატიურებას, მაგრამ ვერ შეძლო ბოლომდე განხორციელებინა თავისი

<sup>11</sup> დაევშვათ, რომ დ-ს შეხვდა მომავალი მილიციელისათვის, შეჩერებულიყო სანამ იგი თვალს მიეფარებოდა და მერე ესროლა. ასეთ შემთხვევაში ძნელი იქნებოდა აფექტის დასაბუთება.

დანაშაულებრივი განზრახვა, რადგან გოგონას ყვირილზე მას დეიდა მიეშველა. ვ-მ განაცხადა, რომ უკვე დაგვიანებულია, რადგან მან გოგონა გააუბატიურა. ყველაფერი ეს უამბეს გოგონას მამას ს-ს, რომელმაც ლანძღვა დაუწყა ვ-ს. მისი უმსგავსო საქციელის გამო, ამ დროს ს-მ დანახა კედელზე მიყუდებული ნაჯახი, წაავლო ხელი და უნდოდა დაერტყა ვ-სთვის, მაგრამ თავი შეიკავა და ნაჯახი დამალა ბალიშის ქვეშ. შემდეგ არაყი დაუსხა ვ-ს და დააღვივნა. მაშინ, როდესაც ვ-მ, სიმთვრალის გამო, თავი დახარა მავიდაზე, ს-მ გამოაძრო ნაჯახი ბალაშიდან, დაარტყა ვ-ს თავში და მოკლა იგი.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უარყო პროტესტი, რომელიც თვლიდა, რომ ს-მ მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა.

კოლეგიის განჩინებაში მითითებულია, რომ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი (1926 წ.). ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უცარი ძლიერი სულიერი აღელვებით ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით. ამასთან ამ მუხლის გამოყენებისათვის აუცილებლად უნდა დადგინდეს ძლიერი სულიერი აღელვების აღმოცენების უეცრობა და მკვლელობის განზრახვის უმაღვე სისრულეში მოყვანა.

საქმის მასალებიდან კი ირკვევა, რომ თუმცა ს-მ მკვლელობა დაზარალებულის უმსგავსო საქციელის გამო ჩაიდინა, მაგრამ ს-ს მოქმედება არ იძლევა არავითარ საფუძველს განვიხილოთ იგი როგორც ჩადენილი უცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

კოლეგიის პოზიცია ჩვენი აზრით სწორია. ის გარემოება, რომ ს-მ ხელი დაავლო ნაჯახს, მაგრამ თავი შეიკავა და არ დაარტყა ვ-ს, უკვე იმაზე მეტყველებს, რომ მან დასძლია აფექტი. მისი შემდგომი მოქმედება (ნაჯახის დამალვა, ვ-ს დათრობა და მკვლელობისათვის შესაფერი მომენტის შერჩევა) არ არის აფექტისათვის დამახასიათებელი ქცევა.

აფექტის დასაბუთებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ჩადენის ხერხსა და იარაღს. უცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში დამნაშავე, როგორც წესი, იყენებს იარაღს, რომელიც იმ წუთს მოხვედება ხელში — სარს, ქვას, ჯიბის დანას და სხვა.

აფექტის დროს გამოირიცხულია მკვლელობის ისეთი ხერხის შერჩევა, რომელიც წინასწარ მომზადებასა და მოფიქრებას მოითხოვს.

სასამართლო პრაქტიკაში დანაშაულის ჩადენას ამა თუ იმ ხერხით ზოგჯერ იყენებენ როგორც საბუთს აფექტის უარყოფისათვის.

მოვიტანოთ მაგალითი. რძალ-დედამთილი ხშირად ჩხუბობდნენ. შემთხვევის დღეს, მძიმე შეურაცხყოფის პასუხად, რძალმა თოკი წაუჭირა ყელში დედამთილს და დაახრჩო. სახალხო სასამართლომ რძლის მოქმედება აფექტში ჩადენილ მკვლელობად ჩათვალა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არასწორად მიიჩნია აღნიშნული კვალიფიკაცია და მიუთითა, რომ მკვლელობა თოკის ყელში წაჭერით შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი განზრახვით.<sup>12</sup>

<sup>12</sup> იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წ. 9 ივლისის № 322 განჩინება.

ჩვენი აზრით, აფექტის მდგომარეობა სრულიადაც არ გამორიცხავს დანაშაულის ჩადენის ამგვარ ხერხს, რადგან იგი არ არის დაკავშირებული წინასწარ მომზადებასა და მოფიქრებასთან.

სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც აფექტის არსებობას უკავშირებენ შერაცხადობის საკითხს.

ასე მაგალითად, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 1962 წლის 16 იანვრის დადგენილებით, გ-ს საქმეზე აფექტის არარსებობა დასაბუთებულია იმით, რომ დამნაშავე, დანაშაულის ჩადენის მომენტში შერაცხადი იყო და ამდენად შეეძლო კონტროლი გაეწია თავისი მოქმედებისათვის.

აფექტის არარსებობა არ შეიძლება დასაბუთდეს პირის შერაცხადობით. ფიზიოლოგიური აფექტი მხოლოდ ზღუდავს ინტელექტუალურ და ნებელობით სფეროს, მაგრამ არ ახდენს მის სრულ პარალიზებას. უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მყოფი პირი შერაცხადია, და სწორედ ამიტომ აგებს იგი პასუხს ჩადენილი დანაშაულისათვის, შეურაცხადობის საკითხი სასამართლომ უნდა დასვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმე წყდება მკვლელობის პათოლოგიურ აფექტში ჩადენის გამო.

საინტერესოა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1966 წლის 16 აპრილის განჩინება ი-ს და ბ-ს საქმეზე.

განჩინებამ არ გაიზიარა პროტესტი, რომელიც უარყოფდა მკვლელობის ჩადენას აფექტის მდგომარეობაში და მიუთითა: — პროტესტში აღნიშნულია, რომ დაზარალებულის ცემის დროს მსჯავრდებულები წარმოთქვამდნენ სხვადასხვა სიტყვებს, და აქედან გაკეთებულია დასკვნა, თითქოს ი-სა და ბ-ს მოქმედება შეგნებული იყო.

ეს არგუმენტი არ უარყოფს სასამართლოს დასკვნას, რომ ი-მ და ბ-მ დანაშაული ჩაიდინეს უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით.

პირი, რომელიც მოქმედებდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, შერაცხადია, მას მხოლოდ დაქვეითებული აქვს თავისი მოქმედების მნიშვნელობის შეცნობის და მისი წარმართვის უნარი, რაც არ გამორიცხავს ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს რაიმე სიტყვების წარმოთქმის შესაძლებლობას.

ამგვარად, იმის დასასაბუთებლად, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, სასამართლოებმა ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ როგორც დამნაშავის პიროვნება, ისე დანაშაულის ჩადენის მთელი ვითარება, დაზარალებულისა და დამნაშავის მოქმედების ხასიათი, დანაშაულის ჩადენის იარაღი, ხერხი და სხვა. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ზოგჯერ არასაკმარისი ხდება შემთხვევის ყოველმხრივი ზუსტი ანალიზი კი. სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვაგვარ რეაგირებას ახდენს ერთსა და იგივე გამადიზიანებელზე. ზოგიერთი ადვილად აღგზნებადია, ზოგი კი პირიქით.

თვით ემოციური განცდაც, რომელსაც მიეყავართ დანაშაულამდე, ხშირად რთული და ძნელად ასახსნელია. განცდის ინტენსივობა, სიღრმე და ხანგრძლივობა



მუდმივად ცვალებადია. განსაკუთრებით რთულდება მდგომარეობა ე. წ. აფექტის „აკუმულაციის“ დროს, როცა სუბიექტის ნერვული სისტემა არაერთხელ მიღებული სულიერი ტრავმის შედეგად იმდენად იძაბება, რომ შეიძლება განიპუხტოს გამომწვევი მიზეზების შეუსაბამო აფექტირებულ ქცევაში.

ამ რთული პრობლემების გადაჭრის დროს შეიძლება სასამართლოს დასჯირდეს ფსიქოლოგის ცოდნა. ამიტომ ვფიქრობთ, იმის დასადგენად, ჩადენილია თუ არა მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში, ზოგჯერ სასამართლომ უნდა მიმართოს ექსპერტ-ფსიქოლოგს.

ლი ჰქონდა როლები და დაწინაურდა. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხსენებული კვალიფიციური ნიშნის არსებობისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ წინასწარი შეთანხმების პროცესში მოხდა როლების ურთიერთგანაწილება, შემუშავდა გეგმა, ჯგუფის წევრების მიერ ჩატარდა სხვა მოსამზადებელი სამუშაოები დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად და ა. შ. მაგრამ ჯგუფად ვერ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როცა ერთი პირი აქეზებს მეორეს ქონების დატაცებისათვის ან პირდება, რომ დაფარავს ნაქურდალ ნივთებს და სხვა. აქ ადგილი აქვს არა ჯგუფურ დანაშაულს, არამედ ეს არის ჩვეულებრივი თანამონაწილეობა დანაშაულში.<sup>4</sup>

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯგუფის იურიდიული ბუნების სწორად გაგებისათვის აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა ამოძრავებდა კანონმდებელს, როცა ამ ნიშანს დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად აცხადებდა. ჯგუფური დანაშაულისათვის გაძლიერებული პასუხისმგებლობა დაწესებული. ეს გარემოება, როგორც უკვე ითქვა, ჯგუფური დანაშაულის დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით აიხსნება. ამრიგად, კანონმდებელი რომ ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას მაკვალიფიცირებელ ნიშნად აცხადებდა, მას მხედველობაში ჰქონდა სწორედ მისი მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულად უნდა ჩავთვალოთ არა მარტო ის შემთხვევები, როცა ადგილი აქვს თანამსრულებლობას, არამედ ის შემთხვევებიც, როცა მოხდა როლების დანაწილება ცალკეულ მონაწილეთა შორის. ჯგუფად რომ მხოლოდ ის შემთხვევები ჩავთვალოთ, როცა ადგილი აქვს თანამსრულებლობას, მაშინ ამ მაკვალიფიცირებელ ნიშანს ვერ გამოვიყენებდით იმ დროს, როდესაც ფაქტობრივად საქმე გვაქვს ორგანიზებულ ჯგუფთან, თუმცა შემადგენლობის ობიექტური მხარე უშუალოდ მხოლოდ ამ ჯგუფის ერთმა წევრმა შეასრულა. სამაგიეროდ ხსენებული მაკვალიფიცირებელი ნიშანი უნდა გამოვიყენებინა იმ თანამსრულებელთა მიმართ, რომლებმაც გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევით ისარგებლეს და უშუალოდ განახორციელეს შემადგენლობის ობიექტური მხარე. ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა, თუნდაც რომ შემადგენლობის ობიექტური მხარე უშუალოდ მისმა ერთმა წევრმა შეასრულოს, შესაძლოა უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშროებითაც ხასიათდებოდეს. ვიდრე თანამსრულებლობის ზოგიერთი შემთხვევა.

ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ, თუ ჯგუფის ცნებაში ვიგულისხმებთ მხოლოდ თანამსრულებლობის შემთხვევებს, მაშინ ამ ნიშნით ვერ დავაკვალიფიცირებთ იმ ორგანიზატორის მოქმედებას. რომელმაც ეს ჯგუფი შექმნა, ვინაიდან ორგანიზატორი შემადგენლობას უშუალოდ არ ახორციელებს. დამახასიათებელია, რომ რუსის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტატორები, წინააღმდეგ საკუთარი თვალსაზრისისა, მაინც აძოლებული გახდნენ ელიარბინათ ორგანიზატორი ჯგუფის წევრად<sup>5</sup> აღსანიშნავად, მონაწილეობდა თუ არა იგი უშუალოდ დანაშაულის ჩადენაში.

<sup>4</sup> Советское уголовное право, Часть особенная, Изд. московского университета, 1964, стр. 104.

<sup>5</sup> Научно-практический комментарий уголовного кодекса РСФСР, Изд. 2-ое, М., 1964, стр. 211.



მართლაც, შეუძლებელია ჯგუფის წევრად არ ჩავთვალოთ ის, ვინც ეს ჯგუფი შექმნა, ვინც მისი ჭეშმარიტი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო.

ჩვენ აქამდე მხედველობაში გვქონდა დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით. მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც უკვე ითქვა ისეთი შემადგენლობებიც გვხვდება, რომელთა მკაცრი ფიციონების ნიშანია უბრალოდ ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეთანხმების გარეშე (საქართველოს სსრ სსკ 117 მუხლის II, ნაწ.). გაბატონებული თვალსაზრისით ჯგუფის ცნება ამ შემთხვევაში მოიცავს მხოლოდ თანამსრულებლობას.<sup>6</sup> ამ გზით მიდის აგრეთვე სასამართლო პრაქტიკაც.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1964 წლის 25 მარტის № 2 დადგენილებაში გაუპატიურების საქმესთან დაკავშირებით განმარტა, რომ „...ჯგუფურ გაუპატიურებად უნდა დაკვალიფიცირდეს არა მარტო იმ პირთა მოქმედებები, რომლებმაც ჩაიდინეს ძალადობითი სქესობრივი აქტი, არამედ იმ პირთა მოქმედებებიც, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მას დაზარალებულისადმი ძალადობის (ო. გ.) გამოყენების გზით.“<sup>7</sup> მაგრამ თუ გაუპატიურებას ადგილი აქვს ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ჩვენი აზრით, აქაც ჯგუფის წევრად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ორგანიზატორი.

შეიძლება მოხდეს, ისე რომ ჯგუფის წევრთა მოქმედება მიმართული იყოს არა ერთი პიროვნების, არამედ რამდენიმე პირის მიმართ. ვთქვათ, ორმა მამაკაცმა ურთიერთხელშეწყობით გაუპატიურა ორი ქალი ისე, რომ თვითეული მათგანი აუპატიურებდა ერთ-ერთ ქალს. თანაც ეს ხელშეწყობა არცერთის მხრივ არ გამოიხატებოდა ისეთი მოქმედებით, რომელიც მეორე პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამსრულებლობას გულისხმობდეს. მაგალითად. ურთიერთხელშეწყობა გამოიხატა იმაში, რომ თვითეულმა მამაკაცმა თითო ქალი დამარტოხელა გაუპატიურების მიზნით, რითაც ქალებს მოესპოთ საშუალება ერთმანეთის დახმარებისა და სხვ. უნდა დაკვალიფიცირდეს თუ არა ეს შემთხვევა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლის III ნაწილით, როგორც გაუპატიურება ჯგუფის მიერ? პრაქტიკაში ასეთ შემთხვევას ჯგუფურ გაუპატიურებად თვლიან, რაც სწორად უნდა ჩაითვალოს. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1969 წლის 29 აპრილის განჩინება იანცევიჩისა და კუზმენკოს საქმეზე. იანცევიჩი და კუზმენკო პასუხისგებაში იყვნენ მიცემული ტეპლიუკისა და ბოროვიცის გაუპატიურების მცდელობისათვის. კიევის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა მათი დანაშაული დაკვალიფიცირა უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17-117 მ.მ. III ნაწილით (გაუპატიურების მცდელობა ჯგუფის მიერ). საკასაციო საჩივრით ადვოკატები მოითხოვდნენ დანაშაულის 17-117 მმ III — ნაწილიდან I-ნაწილზე გადაკვალიფიცირებას იმის გამო, რომ თვითეული დამნაშავე დამოუკიდებლად ცდილობდა დაზარალებულის წინააღმდეგობის დაძლევას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლე-

<sup>6</sup> Советское уголовное право, Часть особенная, М., 1962, стр. 163; Советское уголовное право, Часть особенная, Изд. московского университета, 1964, стр. 164; Научно-практический комментарий уголовного кодекса РСФСР, Изд. 2-ое, М., 1964, 278; В. С. Орлов, Виды и формы соучастия в преступлениях несовершеннолетних, Вестник московского университета, Право, 1, 1967, стр. 39—40.

<sup>7</sup> იხ. Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1970, М., 1970, стр. 456.

გიათ კვალიფიკაცია არ შეცვალა. ხსენებულ განჩინებაში ხაზგასმულია, რომ იანცევიჩისა და კუზმენკოს მეცადინეობა მიმართული იყო იმისაკენ, რათა ერთმანეთის დახმარებით გაეტეხათ დაზარალებულთა წინააღმდეგობა. დანაშაულის ჩადენის პროცესში კუზმენკომ მოაცილა ტეპლიუკს ბოროვიკი, რომელიც ცდილობდა დახმარებოდა ამხანაგს იანცევიჩისაგან განთავისუფლებაში. როცა იანცევიჩმა ძირს დასცა ტეპლიუკი, ბოროვიკი შეეცადა მოეხმო ვინმე საშველად, მაგრამ კუზმენკომ აღუკვეთა მას ეს შესაძლებლობა და, თავის მხრივ, წააქცია იანცევიჩის ქცევით ძალზე შეშინებული ბოროვიკი, შემდეგ კი ძალის გამოყენებით ცდილობდა მასთან სქესობრივი აქტის შესრულებას.<sup>8</sup>

ყოველივე ეს მოწმობს, რომ იანცევიჩი და კუზმენკო ერთობლივად მოქმედებდნენ. მათი მიზანი არა მარტო იმისაკენ იყო მიმართული, რომ თვითულ მათგანს გაეუპატიურებინა ერთ-ერთი ქალი, არამედ, ამავე დროს, დახმარებოდნენ კიდევ ერთმანეთს ამ მიზნის მიღწევაში. მაგრამ ეს დახმარება არ შეადგენს გაუპატიურების შემადგენლობის ნიშანს. ამიტომ თვითეული მათგანი გაუპატიურების ერთპიროვნული ამსრულებელია. და მაინც იანცევიჩისა და კუზმენკოს ქმედობათა ჯგუფურ გაუპატიურებად დაკვალიფიცირება უთუოდ სწორია, რადგან ისინი არა მარტო ერთპიროვნულად ასრულებდნენ დანაშაულის შემადგენლობას, არამედ ეხმარებოდნენ კიდევ ამით ერთმანეთს. მათი მოქმედება საბოლოო ანგარიშით მაინც ჯგუფური მოქმედება იყო.

როგორც უკვე ითქვა, ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს იმიტომ, რომ რამდენიმე პირის ერთობლივი მოქმედება მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება. მაგრამ ეს ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, თითქოს არაა აუცილებელი, რომ ჯგუფის ყოველი მონაწილე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი იყოს. მაგალითად, ჩაითვლება თუ არა მაკვალიფიცირებელ ნიშნად დანაშაულის ჩადენა პირთა ისეთი ჯგუფის მიერ, რომლის მონაწილეთაგან მხოლოდ ერთია ამ დანაშაულის სუბიექტი, დანარჩენები კი არასრულწლოვანები ან შერაცხვადუნარიანი არიან? ამ კითხვას პირველად პასუხი გასცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1964 წლის 25 მარტის დადგენილებით (№ 2). ამ დადგენილების მე-10 პუნქტით, „იმ პირთა მოქმედებები, რომლებიც ჯგუფური გაუპატიურების ორგანიზატორები იყვნენ, უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლის III ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, იმისდა მიუხედავად, რომ სხვა მონაწილენი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლის შესაბამისად არ ყოფილან მიცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში“.<sup>9</sup> ცოტა მოგვიანებით ასეთივე მოსაზრება გამოთქვა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმაც ძარცვის და ყაჩაღობის საქმეებთან დაკავშირებით (იხ. 1966 წლის 22 მარტის № 31 დადგენილება).<sup>10</sup>

<sup>8</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1970, № 5, стр. 39—40.

<sup>9</sup> Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1970, М., 1970, стр. 457.

<sup>10</sup> Постановления Пленума Верховного Суда РСФСР, М., 1967, стр. 146.

ჯგუფის იურიდიული ბუნების პლენუმისეულმა \*გაგებამ თეორეტიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. პირველი, ვინც ამ საკითხს შეეხო და პლენუმის მოსაზრების კრიტიკული შეფასება მოგვცა, იყო ვ. ორლოვი. მისი აზრით, პლენუმის შეხედულება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებულ ზოგიერთ დებულებას და მოქმედ კანონმდებლობას. თანამონაწილეობას კანონი განსაზღვრავს, როგორც ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში. თუ ჩვენ ფაქტობრივი ჯგუფური ყაჩაღობის ან ძარცვის მონაწილის მოქმედებას დავაკვალიფიცირებთ წინასწარ შეთანხმებულ პირთა ჯგუფის კვალიფიციური „სამართლებრივი ნიშნით“ იმისდა მიუხედავად, რომ მხოლოდ ერთმა აგოს პასუხი, მეორემ კი არა, მაშინ უნდა ვაღიაროთ თანამონაწილეობა იმ ორი სუბიექტის მოქმედებაში, რომელთაგან ერთი შერაცხვანუნარო ან ასაკს მიუღწეველი პირი იყო. ასეთი დასკვნა კი ეწინააღმდეგება თანამონაწილეობის ცნების საკონონმდებლო განსაზღვრების დედააზრს, ვინაიდან ხსენებულ პირთა მიზნებსა და მოქმედებებს შორის არ არის ისეთი კავშირი, რომელიც თანამონაწილეთა შორის უნდა იყოს.<sup>11</sup>

სულ ახლახან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა რ. გალიაკბაროვმა. მას მიაჩნია, რომ ზოგ შემთხვევაში კონკრეტული შემადგენლობის კონსტრუქციის მიხედვით ჯგუფის მონაწილეები აუცილებლად უნდა წარმოადგენდნენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტებს, ე. ი. უნდა იყვნენ გარკვეულ ასაკს მიღწეულნი და შერაცხვანარაიანი, ზოგჯერ კი საკმარისია, თუ ეს ნიშნები გააჩნია ჯგუფის მხოლოდ ერთ-ერთ წევრს.<sup>12</sup> რ. გალიაკბაროვის მოსაზრებას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ კანონმდებელს, როცა ის ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას გამოპყოფს მაკვალიფიცირებელ ნიშნად, მხედველობაში აქვს ჯგუფური ხერხი, რომელიც სხვა ხერხების მსგავსად მკვეთრად ზრდის დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს.<sup>13</sup> ამიტომ აღარა აქვს მნიშვნელობა იმას, შედგებოდა ჯგუფი მცირეწლოვანთაგან თუ სრულწლოვანთაგან, ვინაიდან საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით ეს მომენტი არაფერს ცვლის.

რამდენად სწორია ჯგუფის იურიდიული ცნების „ფაქტობრივით“ შეცვლა? ეკვი არ არის, ჯგუფური დანაშაული, როგორც წესი, უფრო დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება, ვიდრე ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაული. კანონმდებელსაც სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა მას დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად აცხადებდა. მაგრამ მართო ამ მომენტზე დაყრდნობით ჯგუფის ბუნების ახსნა, ჩვენი აზრით, არ იქნებოდა მართებული. ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა გულისხმობს იმას, რომ დანაშაულს ჩადის სულ ცოტა ორი პირი, რომლებიც, ცხადია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტებს უნდა წარმოადგენდნენ. როცა „ჯგუფის“ მონაწილეებიდან მხოლოდ ერთია დანაშაულის სუბიექტი, აქ უკვე ადკილი აქვს დახაშაულის არა ჯგუფურ, არამედ ერთპიროვნულ ამსრულებლობას.

<sup>11</sup> В. С. Орлов, Виды и формы соучастия в преступлениях несовершеннолетних, Вестник московского университета, Право, 1967, № 1, стр. 42—43.

<sup>12</sup> Р. Галиакбаров, Юридическая природа группы лиц в уголовном праве. «Советская юстиция», 1970, № 20, стр. 21.

<sup>13</sup> Р. Галиакбаров, Юридическая природа группы лиц в уголовном праве. «Советская юстиция», 1970, № 20, стр. 21.

რ. გალიაკბაროვის აზრით, როდესაც კანონმდებელი მაკვალიფიცირებელ ნიშნად გამოჰყოფს დანაშაულის ჩადენას ჯგუფის მიერ, მას მხედველობაში აქვს ობიექტური მომენტი, სახელდობრ, **ჯგუფური ხერხი**, რომელიც ზრდის მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას. კანონმდებელს რომ მხოლოდ ობიექტური მომენტი აქვს მხედველობაში და არა სუბიექტური, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჯგუფის განსაზღვრებაში არაფერია ნათქვამი რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის **განზრახ** ჩადენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯგუფის განსაზღვრებაში ობიექტურ მომენტთან ერთად ფორმულირებული უნდა ყოფილიყო თანამონაწილეობის სუბიექტური ნიშნებიც, მაგრამ მოცემულ განსაზღვრებაში ამ ნიშნებმა არ ჰპოვეს ასახვა,<sup>14</sup> დასძენს იგი. უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება არ გამოდგება იმ დებულების დასაბუთებისათვის, რომელსაც რ. გალიაკბაროვი იცავს. არა ერთი ისეთი მაგალითის მოტანა შეიძლება, როცა შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნებზე პირდაპირ არაფერია ნათქვამი კანონში, მაგრამ მათი არსებობა იგულისხმება და ამაში დღემდე ეჭვიც არავის შეუტანია. მაგალითად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150 მუხლით ქურდობა განსაზღვრულია, როგორც „მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება“. როგორც ვხედავთ, ამ განსაზღვრებაში არაფერია ნათქვამი სუბიექტურ მომენტებზე, მაგრამ ყველასათვის გასაგებია, რომ ქურდობა განზრახი დანაშაულია. იგივე ითქმის ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშნის-ჯგუფური ქურდობის შესახებაც. თუ კანონმდებელმა საჭიროდ არ სცნო პირდაპირ მოეცა ქურდობის ძირითადი შემადგენლობის სუბიექტური მხარის დახასიათება, რა გასაკვირია, რომ იგი ასევე მოიქცა მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიმართაც? კიდევ მეტი: კანონმდებელს რომ ჯგუფის განსაზღვრაში მხოლოდ ობიექტურ მომენტზე სურდეს აქცენტის გაკეთება, მაშინ მას საგანგებოდ უნდა გაესგაზახი ამისათვის. ყოველ შემთხვევაში კოდექსის კერძო ან ზოგად ნაწილში პირდაპირ უნდა ყოფილიყო ნათქვამი, რომ ჯგუფად იურიდიული თვალსაზრისით ჩაითვლება ისეთი „ჯგუფიც“, რომლის მონაწილეთაგან მხოლოდ ერთია დანაშაულის სუბიექტი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას კანონი გამოჰყოფს მაკვალიფიცირებელ ნიშნად მხოლოდ განზრახ დელიქტებში. თანაც უმეტეს შემთხვევებში კანონი ლაპარაკობს ჯგუფის მიერ **წინასწარი შეთანხმებით** დანაშაულის ჩადენაზე. წინასწარი შეთანხმების მომენტის აღნიშვნა კი ფაქტიურად იმის აღიარებაა, რომ ჯგუფის წევრები თანამონაწილენი არიან, რომ ისინი განზრახ მოქმედებენ. ასეთი პირობებში ჯგუფის ცნებაში განზრახვის მომენტის შეუტანლობა, ჩვენი აზრით, არ გამოდგება იმის საბუთად, თითქოს ჯგუფი, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი, ზოგჯერ შეიძლება თანამონაწილეობის გარეშაც იდგეს.

გარდა ამისა, რ. გალიაკბაროვი წინააღმდეგობაში ვარდება, როცა ერთი მხრივ, ამტკიცებს, რომ რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაკვალიფიცირება ჯგუფის ნიშნით მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ „ორგანიზებული ჯგუფის ფარგლებში დადგენილია თანამსრულებლობა“,<sup>15</sup> მეორე მხრივ კი ჯგუფად თვლის ისეთ შემთხვევას, როდესაც რამდენიმე მოქმედი პირიდან

<sup>14</sup> Р. Галиакбаров, Юридическая природа группы лиц в уголовном праве, «Советская юстиция», 1970, № 20, стр. 22.

<sup>15</sup> Р. Галиакбаров, Юридическая природа группы лиц в уголовном праве, «Советская юстиция», 1970, № 20, стр. 22.

მხოლოდ ერთია დანაშაულის სუბიექტი, ე. ი. როცა ადგილი აქვს არა თანაამსრულებლობას, არამედ ერთპიროვნულ ამსრულებლობას.

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი ბანდიტიზმის კვალიფიკაციის დროსაც. პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი დანაშაულებრივი დაჯგუფებანი, რომლებსაც ობიექტურად ბანდის ყველა ნიშანი გააჩნიათ, მაგრამ ამ დაჯგუფების მონაწილეთაგან მხოლოდ ერთი პირია ბანდიტიზმის სუბიექტი. 1952 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლის თანახმად 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ შეიძლება იყოს ბანდიტიზმის სუბიექტი. ამიტომ ის, ვინც 16 წლამდე ასაკის პირთაგან შემდგარი დანაშაულებრივი დაჯგუფება შექმნა, ბანდის ორგანიზატორად და, მით უმეტეს, ბანდის წევრად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ბანდაში არ შეიძლება შედიოდეს მხოლოდ ერთ წევრი. ბანდიტიზმს ადგილი აქვს მხოლოდ იქ, სადაც დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებიდან სულ მცირე ორი პირი მაინც არის ბანდიტიზმის სუბიექტი. ამიტომ ხსენებული სახის დანაშაულებრივი დაჯგუფება ჩაითვლება არა ბანდად, არამედ ორგანიზებულ ჯგუფად, თუ რასაკვირველია, ჯგუფის დანარჩენი წევრები 14 წლის ასაკს მაინც არიან მიღწეული. ხოლო ასეთი ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული დაკვალიფიცირდება, როგორც ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი,<sup>16</sup> თუ შემადგენლობა ითვალისწინებს ამ მაკვალიფიცირებელ ნიშანს. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი დაჯგუფების ორგანიზატორის მოქმედება ბანდიტიზმის ბუნლით (მ 78) დაკვალიფიცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ცდებოდა და ეგონა, რომ ამ დაჯგუფების მონაწილეთაგან ზოგიერთი მაინც არის 16 წლის ასაკს მიღწეული. ერთი სიტყვით, მსგავს შემთხვევაში საკითხი გადაწყდება არა ობიექტური, არამედ სუბიექტური თვალსაზრისით.

ჩვენ, რასაკვირველია, არ უარვყოფთ იმ უდავო ფაქტს, რომ არასრულწლოვანთაგან ან შერაცხვაუუნარო პირთაგან შემდგარი „ფაქტობრივი“ ჯგუფი საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდება იმ ჯგუფისაგან, რომელიც სრულწლოვან პირთაგან შესდგება. მაგრამ ერთია „ჯგუფის“ ფაქტობრივი საზოგადოებრივი საშიშროება და მეორე საკითხია გულისხმობს თუ არა კანონი ამ სახის ჯგუფს იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას მაკვალიფიცირებელ ნიშანად გამოჰყოფს. ჩვენი აზრით, ამ მაკვალიფიცირებელ ნიშანს რომ გამოჰყოფდა, კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდა არა „ფაქტობრივი“ არამედ სწორედ „იურიდიული“ ჯგუფი. ამიტომ თუ „ჯგუფის“ მონაწილეთაგან მხოლოდ ერთია დანაშაულის სუბიექტი, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება არა ჯგუფის კვალიფიციური ნიშნით, არამედ ჩვეულებრივად, როგორც ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაული. ამასთანავე, თუ დანარჩენი პირები არასრულწლოვანები იყვნენ, რომლებიც სრულწლოვანმა პირმა ჩააბა დანაშაულში. მაშინ შესაძლოა ადგილი ექნეს დანაშაულთა ერთობლიობას. პასუხისმგებლობა დადგება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლით (არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულში) და შესაბამისად იმ კონკრეტული დანაშაულისათვის, რომელიც ფაქტურად იყო ჩადენილი, თუ, რასაკვირველია, ამ დანაშაულისათვის კანონი,

<sup>16</sup> В. С. Орлов, Виды и формы соучастия в преступлениях несовершеннолетних, Вестник московского университета, Право, 1967, № 1, стр. 42.



თანახმად 236 მუხლის მოთხოვნისა, არ აწესებს ხუთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 39 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება „არასრულწლოვანთა წაქეზება დანაშაულის ჩასადენად ან არასრულწლოვანთა ჩაბმა დანაშაულში მონაწილეობისათვის“.<sup>17</sup> მაგრამ კანონი არაფერს ამბობს იმ შემთხვევაზე, როცა ჯგუფის“ მონაწილენი არასრულწლოვნები კი არა, სრულწლოვანები არიან, თუმცა არ გააჩნიათ შერაცხვის უნარი, ე. ი. არ შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ ან უხელმძღვანელონ თავის მოქმედებას სხვადასხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო.

ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39 მუხლის მე-7 პუნქტი იმგვარად ჩამოყალიბდეს, რომ მან მოიცვას აგრეთვე ისეთი შემთხვევაც, როდესაც ვინმე გამოიყენებს შერაცხვაუუნარო პირს დანაშაულის ჩადენის იარაღად.

უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ერთ-ერთ გარემოებად ითვლისწინებს „წაქეზებას დანაშაულის ჩასადენად ან დანაშაულში ჩაბმას იმ პირისა, რომელსაც არა აქვს უნარი ანგარიში გაუწიოს ან უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას, აგრეთვე იმ პირის გამოყენება დანაშაულის ჩასადენად, რომელსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება“. ჩვენი აზრით, ამ განსაზღვრებაში ზედმეტია სიტყვები — წაქეზება დანაშაულის ჩასადენად ან დანაშაულში ჩაბმა იმ პირისა, რომელსაც არა აქვს უნარი ანგარიში გაუწიოს ან უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას — რადგან ეს შემთხვევები თავისთავად იგულისხმება იქ, სადაც ლაპარაკია იმ პირის გამოყენებაზე დანაშაულის ჩასადენად, რომელსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

<sup>17</sup> ამ ბოლო დროს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის ირგვლივ მეტად საგულისხმო კრიტიკული მოსაზრებები გამოიქვეყნა (იხ. მ. ქურდიძე, პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 1; უ. კობიაშვილი, არასრულწლოვანთა წაქეზებლობისათვის ან დანაშაულებრივ საქმიანობაში მათი ჩაბმისათვის პასუხისმგებლობის შესახებ „საბჭოთა სამართალი“, 1969 წლის № 5). როგორც სწორად შენიშნავს უ. კობიაშვილი, პრაქტიკაში დიდი უხერხულობა შეიძლება შექმნას იმ ფაქტმა, რომ ერთიდაიგივე გარემოება, სახელდობრ, არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულისათვის დამოუკიდებელ დანაშაულადაც ითვლება და დამამძიმებელ გარემოებადაც (39-ე მუხლის მე-7 პუნქტი). ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ვიდრე ეს საკითხი საკანონმდებლო წესით არ მოგვარებულა, არასრულწლოვანის წაქეზება, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, არ უნდა იქნას გამოყენებული 236 მუხლთან ერთად.



## წინდახედულების ნორმის დარღვევა და პედაგი- გაუფრთხილებლობით დელიქტები

მ. უგრეხელიძე

1. წინდახედულების (უსაფრთხოების) ნორმის დარღვევა ყოველი გაუფრთხილებლობითი დელიქტის აუცილებელი ნიშანია. საბჭოთა სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობით ეს აზრი საკმაოდ ნათლად არის გამოხატული. „საფუძვლების“ მე-9 მუხლში ნათქვამია: „დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას, ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი“. მე-9 მუხლის იმ ნაწილში, რომელიც დაუდევრობას ეხება, სიტყვები: „მოვალე იყო გაეთვალისწინებინა...“ სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მოქალაქემ დაარღვია წინდახედულების მოვალეობა ანუ ნორმა, რომელიც საზოგადოებრივად საშიში შედეგების გასათვალისწინებლად და თავიდან ასაცილებლად არის დაწესებული. რაც შეეხება მუხლის იმ ნაწილს, რომელიც თვითიმედოვნებას ეხება, იგივე აზრი აქ გამოთქმულია სიტყვებით — „ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას“. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ დამნაშავეს მსჯელობა ნაჩქარევი და მოუფიქრებელი კი არ იქნებოდა, არამედ ჯეროვნად დასაბუთებული, მაშინ მაგნე შედეგიც აღარ დადგებოდა. აქაც, როგორც ვხედავთ, იგულისხმება ადამიანის აქტივობის შეუსაბამობა წინდახედულებისა და სიფრთხილის ობიექტურ მოთხოვნასთან, რაც იგივე წინდახედულების ნორმის დარღვევაა და სხვა არაფერი.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში გაუფრთხილებლობითი დელიქტები, როგორც წესი, ჩამოყალიბებულია იმაზე მითითებით, თუ უსაფრთხოების რომელი ნორმების დარღვევით გამოიხატება ესა თუ ის ქმედობა. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლი ითვალისწინებს „ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევას“; 146-ე მუხლში — „შრომის დაცვის წესების დარღვევაზე“ ლაპარაკი. პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა სფეროების მიხედვით კოდექსში გაუფრთხილებლობითი დელიქტები დანაწილებულია „სამთო სამუშაოთა უშიშროების წესების დარღვევად“ (მუხ. 245), „აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში უშიშროების წესების დარღვევად“ (მუხ. 247) და სხვ. ყოველთვის, როდესაც გაუფრთხილებლობის დამოუკიდებელი შემადგენლობის დასაფუძნებლად კანონმდებელი ცალკე მუხლად გამოჰყოფს უსაფრთხოების სპეციალური პროფესიული ნორმების დარღვევას, უნდა ვიგულისხმოთ გარკვეული საკანონმდებლო მოსაზრებანი, რომლითაც ეს კეთდება. მაგალითად, ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის მოზღა, ისევე რო-

გორც ქონების დაზიანება, უსაფრთხოების მრავალი სხვადასხვა ნორმის დარღვევას შეიძლება მოჰყვეს. მიუხედავად ამისა, ზემოთ ჩამოთვლილი შედეგების განხორციელება ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევით ცალკეა გამოყოფილი დამოუკიდებელ გაუფრთხილებლობით დელიქტად. საქმე ისაა, რომ ტრანსპორტი მომეტებული საფრთხის ერთ-ერთი წყაროა, რომელთანაც უბედურ შემთხვევათა დიდი ნაწილია დაკავშირებული. ამიტომ კანონმდებელმა გაძლიერებული სასჯელი დააწესა იმ პირთათვის, რომელნიც უგულვებელყოფენ უსაფრთხოების ნორმებს ტრანსპორტით სარგებლობის სფეროში და ამით საგანგებოდ გაამახვილა მოქალაქეთა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ტრანსპორტთან ურთიერთობისას მათ განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ.

გაუფრთხილებლობის ცალკეული შემადგენლობანი ზოგჯერ იმგვარად არის აღწერილი კოდექსში, რომ ნახსენებიც კი არაა უსაფრთხოების ნორმის დარღვევა. გაუფრთხილებლობის ასეთი შემადგენლობანია: გაუფრთხილებლობით მკვლელობა (მუხ. 108), გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება (მუხ. 115) და სხვ. ეს როდი ნიშნავს, რომ უსაფრთხოების ანუ წინდახედულების ნორმის დარღვევა არ არის ამ შემადგენლობათა აუცილებელი ნიშანი. როგორც ზემოთ დავინახეთ, გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო ცნებიდან გამომდინარე, წინდახედულების ნორმის დარღვევა ყველა გაუფრთხილებლობითი დელიქტის შემადგენელი ელემენტია. მაგრამ თუ კანონი პირდაპირ არ იხსენიებს ამა თუ იმ წინდახედულების ნორმას, მაშინ უნდა ვიგულისხმობთ წინდახედულების ყოფაცხოვრებითი ნორმები, რომლებსაც, მათი სიმრავლისა და მრავალფეროვნების გამო რაიმე სპეციალური სახელწოდება არ გააჩნიათ. წინდახედულების ასეთი ყოფაცხოვრებითი ნორმაა, მაგალითად, არავინ დადოს წამალი მცირეწლოვანი ბავშვისათვის ხელმისაწვდომ ადგილას, არავინ გაისროლოს ქვა ან სხვა მძიმე საგანი ისეთი მიმართულებით, საიდანაც ადამიანები იმყოფებიან და სხვ.

ამგვარად, წინდახედულების სპეციალური ან ყოფაცხოვრებითი ნორმის დარღვევა გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს გარემოება მოვალეობას აკისრებს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს გაუფრთხილებლობის საქმეების გამოძიება-განხილვისას ზუსტად დაადგინონ, ნამდვილად დაირღვა თუ არა მოცემულ შემთხვევაში წინდახედულების ნორმა, და თუ დაირღვა, მაშინ რაში გამოიხატა კონკრეტულად ეს დარღვევა. სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით ამ მხრივ დაუსაბუთებელ განაჩენებსა და განჩინებებს.

ქ. ორჯონიკიძის სამრეწველო რაიონის სახალხო სასამართლომ ბიგაევი დამნაშავედ სცნო რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 211 მუხლის მე-2 ნაწილით.

ბიგაევს ხრეში მიჰქონდა ქ. ორჯონიკიძეში საბარგო მანქანით, რომლის კაბინაში ისხდნენ კარიერის მუშები რიაზანცევი და ჟუკოვი. ერთ-ერთ ქუჩაზე ბიგაევმა მანქანა გააჩერა და მგზავრები გადმოსხა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ როგორც კი რიაზანცევი და ჟუკოვი მანქანიდან ჩამოვიდნენ, მანქანის კარი მიხურეს და ბიგაევს უთხრეს „წადიო“. მაგრამ, ვიდრე მანქანა ადგილიდან დაიძვრებოდა, რიაზანცევს ხელიდან გაუვარდა კარტოფილიანი ტომარა და კარტოფილი დაეხრა. რიაზანცევმა დაიწყო კარტოფილის აკრეფა.

მანქანის ქვემოთ ისე, რომ ბიგავეს მომხდარი ფაქტი არ შეუმჩნევია, რიაზანცევს კი იგი არ გაუფრთხილებია. მანქანა დაიძრა და უკანა ბორბლით გადაურა რიაზანცევს, რომელიც მალე გარდაიცვალა.

საქმის ფაბულიდან ნათლად ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ბიგავეს უთხრეს „წადიო“, იგი მოვალე აღარ იყო შეემოწმებია, რა ხდებოდა მანქანის ქვეშ. ბიგავეს უსაფრთხოების არც სპეციალური და არც ყოფაცხოვრებითი ნორმა არ დაუფრთხევია და ამ საფუძვლით სახალხო სასამართლოს იგი უნდა გაემართლებინა. მიუხედავად ამისა, ჩრდილო ოსეთის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი ძალაში დატოვა უცვლელად და მხოლოდ რსფსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის შემდეგ, რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მოსპო საქმე დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.<sup>1</sup>

2. გაუფრთხილებლობის კონსტრუქციულ ნიშნად წინდახედულების ნორმის დარღვევის აღიარება გადაწყვეტ ზეგავლენას ახდენს მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაჭრაზე გაუფრთხილებლობის შემთხვევებში. სახელდობრ, წინდახედულების ნორმის დარღვევა გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ისეთი ელემენტია, რომელიც განსაზღვრავს, რა ფარგლებში და რა მოცულობით უნდა იკვლიოს მოსამართლემ მიზეზობრივი კავშირი.

ვიდრე სასამართლო ან საგამოძიებო ორგანო შეუდგებოდეს მიზეზობრივი კავშირის ძიებას გაუფრთხილებლობით დელიქტებში, წინასწარ უნდა გაირკვეს, მოითხოვს თუ არა საერთოდ განსახილველი შემთხვევა მიზეზობრივი კავშირის მტკიცებას. სისხლის სამართლის კანონში არის რამდენიმე მუხლი, რომლებშიც გაუფრთხილებლობითი დანაშაულები ე. წ. „ფორმალურ შემადგენლობათა“ სახით არიან ჩამოყალიბებული.<sup>2</sup> ასეთი შემადგენლობანია: აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში უშიშროების წესების დარღვევა (მუხ. 247, ნაწ. I), ბრძანების შეუსრულებლობა (მუხ. 257, პ. ა) და სხვ. ამ დელიქტებში მავნე შედეგი (ან მისი დადგომის კონკრეტული საფრთხე) არ არის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი. ამიტომ წინდახედულების ნორმების დარღვევა დანაშაულის ობიექტურ მხარეს მთლიანად მოიცავს. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ასეთ „ფორმალურ შემადგენლობებში“ მიზეზობრივი კავშირის კვლევა, ცხადია, უსაგნაა.

„მატერიალურ შემადგენლობებში“ მავნე შედეგი (ან მისი დადგომის კონკრეტული საფრთხე) შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. ამიტომ იუსტიციის ორგანოების მხრივ საჭირო ხდება საგანგებო კვლევა, რამ გამოიწვია მავნე შედეგი (ან კონკრეტული საფრთხე) და თავსდება თუ არა მისი გამომწვევი მიზეზი შემადგენლობის ჩარჩოში. სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტისას შეიძლება ის სპეციფიკა, რომელიც ახლავს მიზეზობრივი კავშირის კვლევას გაუფრთხილებლობის საქმეებში. ეს სპეციფიკა შემდეგში მდგომარეობს: გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ობიექტურ მხარეს მხოლოდ ისეთი შედეგი

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного суда РСФСР», 1967, № 5, стр. 8—9.

<sup>2</sup> ეს გარემოება ცხადყოფს უსაფუძვლობას ზოგიერთი კრიმინალისტის მტკიცებისა, რომ „გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ შედეგის დადგომის შემთხვევაშია შესაძლებელი“ (იხ. В. А. Владимирова, В. Ф. Кириченко, Ю. И. Ляпунов, Советское уголовное право, общая часть, М., 1968, стр. 54; «Уголовное право, Часть общая», М., 1966, стр. 187; «Юридический справочник для населения», М., 1968, стр. 233.

განეკუთვნება, რომელიც წინდახედულების ნორმის დარღვევით იყო გამოწვეული. სხვა გარეშე მიზეზით გამოწვეული შედეგები გაუფრთხილებლობის თვალსაზრისით ირელევანტურია.

აღნიშნული გარემოება ჯერ კიდევ არ არის ნათლად გაცნობიერებული მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

თავის დროზე ე. ნემიროვსკი შენიშნავდა: „... გაუფრთხილებლობით დელიქტებში ქმედობა ხშირად ნებადართულია, მაგ., მანქანის მართვა, სახლის შენება, ცეცხლის დანთება, იმ პირის მიერ იარაღის ტარება, ვისაც საამისო ნებადართვა აქვს, ავადმყოფისათვის ოპერაციის გაკეთება და სხვ. ... მაგრამ ამით მიყენებული ზიანი კი დანაშაულებრივია“.<sup>3</sup>

საფუძვლების მე-9 მუხლში გაუფრთხილებლობის ცნება ისეთნაირადაა ჩამოყალიბებული, რომ თუ მას სათანადოდ არ განვმარტავთ, შეიძლება მართლაც ასეთი მცდარი შთაბეჭდილება შეგვექმნას. ამ მუხლში ნათქვამია: „...თუ ძისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს“... მაგრამ, რა იგულისხმება „მოქმედების ან უმოქმედობის“ ქვეშ, — ერთი შეხედვით ძნელი გასარკვევია. ამიტომ საჭიროა ნათლად წამოვიდგინოთ საქმის ნამდვილი ვითარება.

ე. ნემიროვსკი სავსებით სწორად მიუთითებდა, რომ მანქანის მართვა, ცეცხლის გაჩაღება, ქირურგიული ოპერაცია და სხვ. ნებადართული სასარგებლო მოქმედებანია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ისინი სოციალურად აუცილებელი მოქმედებანია, რადგან შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე ცხოვრება ტრანსპორტისა და ოპერაციების გარეშე. მაგრამ ცხოვრებაზე დაკვირვებისა და უბედურ შემთხვევათა მიზეზების განზოგადების შედეგად დადგინდა, რომ გარკვეულ პირობებში ზემოთ მოხსენიებულ მოქმედებებს ზიანის მიყენების ტენდენციაც გააჩნიათ. მაგალითად, მანქანის ტარება გადაჭარბებული სიჩქარით ან გაუმართავი მუხრუჭებით საშიშია. საზოგადოება უარს ვერ იტყვის მსგავს სასარგებლო მოქმედებებზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ განსაზღვრულ პირობებში ისინი ზიანის საშიშროებას ქმნიან. ამიტომ ხდება იმ პირობების შესწავლა, რომელშიც სასარგებლო მოქმედებანი შეიძლება ზიანში გადაიზარდოს, და ამის საფუძვლზე შემუშავდება უსაფრთხოების შესაბამისი ნორმები. ასეთი ნორმების დანიშნულებაა გარკვეულ ჩარჩოში მოაქციოს სასარგებლო მოქმედებანი და განსაზღვროს უსაფრთხო საქმიანობის სავალდებულო ფარგლები. მოქალაქენი მოწოდებულნი არიან სასარგებლო მოქმედებანი მხოლოდ ამ ფარგლებში განახორციელონ. ამის შესაბამისად, სისხლის სამართალიც თავისთავად სასარგებლო მოქმედებებს კი არ კრძალავს, არამედ ამ მოქმედებათა საშიშ პირობებში და საშიში საშუალებებით განხორციელებას. სხვანაირად, იგი კრძალავს სასარგებლო მოქმედებათა განხორციელებას წესების დარღვევით. თუ სასარგებლო მოქმედება წესების დარღვევით არ არის განხორციელებული, მაშინ იგი სისხლის სამართალს არ აინტერესებს. ამიტომ სისხლის სამართალს არც ის შედეგები აინტერესებს, რომლებიც უსაფრთხოების წესების დარღვევით კი არ წარმოიშვა, არამედ ამისგან დამოუკიდებლად. მაგალითად, როდესაც ქირურგიული ოპერაცია ავად-

<sup>3</sup> Э. Я. Немировский, Основные начала уголовного права, Одесса, 1917, стр. 343.

მყოფის სიკვდილით მთავრდება, ექიმი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ ოპერაცია წესების დარღვევით იყო ჩატარებული.

**ამგვარად, მიზეზობრივი კავშირის საწყისი რგოლი გაუფრთხილებლობით დელიქტებში მხოლოდ ისეთი მოქმედებაა, რომელიც წინდახედულების ნორმის დარღვევით იყო განხორციელებული.**

სხვა საკითხია, როგორ უნდა დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი წინდახედულების ნორმის დარღვევასა და მავნე შედეგს შორის. ასეთი მიზეზობრივი კავშირი დასაბუთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინდახედულების ნორმის დარღვევა იყო ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მავნე შედეგისა, პირობა, რომლის გარეშე მავნე შედეგი ვერ დადგებოდა. მაშასადამე, მავნე შედეგის უბრალო თანაარსებობა წინდახედულების ნორმის დარღვევის ფაქტთან მიზეზობრივ კავშირს ვერ დაასაბუთებს. აუცილებელია, რომ მავნე შედეგი წინდახედულების ნორმის დარღვევის რეალიზაციას წარმოადგენდეს (ველცელი). ამის დადგენა კი განსაკუთრებით გულდასმით ანალიზს მამინ მოითხოვს, როდესაც მავნე შედეგის წარმომშობი მექანიზმის კვლევა გართულებულია ისეთი მომენტების არსებობით, როგორიცაა ე. წ. „დაზარალებულის ბრალი“, დაზარალებულის ორგანიზმის ან მისი ავადმყოფობის მიმდინარეობის თავისებურებანი და სხვ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან საფულისხმოა ბ.-ს საქმე.

ექიმი ბ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131 მუხლით. ბ.-ს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მუშაობდა რა უბნის ექიმად, დაგვიანებით გამოცხადდა ავადმყოფ ს.-თან, შეცდა ავადმყოფობის დიაგნოზში და არ მოახდინა ს.-ის დროული ჰოსპიტალიზაცია. ცოტახნის შემდეგ ბ.-მ ისე დახურა ს.-ს ბიულეტენი, რომ არ ნახა ავადმყოფი და არ დარწმუნდა მის გამოჯანმრთელებაში. ს.-ს ავადმყოფობა სწრაფად გაუართულდა და ერთი დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა ნეკროზული ნეფროზით.

ყველა ის დარღვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბ.-ს მხრივ, სათანადოდ არის დადგენილი განაჩენით. მაგრამ განაჩენში არსებითად გადაუჭრელი დარჩა ცენტრალური საკითხი, გამოწვეული იყო თუ არა ს.-ს სიკვდილი მცდარი დიაგნოზითა და სხვა პროფესიული დარღვევებით. სხვანაირად, განაჩენში ჯეროვნად არ იქნა გამოკვლეული, იყო თუ არა მიზეზობრივი კავშირი ს.-ს სიკვდილსა და ბ.-ის პროფესიულ დარღვევებს შორის. ს.-ი ადრე თირკმელების ტკივილს არასდროს უჩიოდა. იგი გარდაიცვალა 5 დღეში, მას შემდეგ, რაც ავადმყოფობა იგრძნო. ექიმ სპეციალისტთა განმარტებაში გავრით არის ნათქვამი, რომ ავადმყოფობის ასეთი სწრაფი განვითარება შესაძლოა საწამლავის მიღებით მომხდარიყო. ყოველივე ეს განსაკუთრებულ მოვალეობას აკისრებდა სასამართლოს, გულდასმით გამოეკვლია მიზეზობრივი კავშირი. ამიტომ, განიხილა რა ბ.-ს საქმე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საცხებით მართებულად გააუქმა განაჩენი და საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიებისათვის. სხვა საფუძვლებთან ერთად კოლეგიამ მიუთითა: „გამოძიებამ სრულყოფილად ვერ გამოიკვლია, არის თუ არა ბ.-ს მიერ მის მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების ფაქტი მიზეზობრივ კავშირში ს. გარდაცვალებასთან“. კოლეგიის განჩინებაში ნათქვამია, რომ ვადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა იმის გარკვე-

ვას, განვითარდებოდა თუ არა ავადმყოფობა ზუსტად ისევე, როგორც ის განვითარდა, თუ ბ-ი ჯეროვან სამედიცინო ზომებს მიიღებდა.<sup>4</sup>

ბ-ს საქმე სხვა მხრივაც არის საინტერესო. ამ საქმეში წამოჭრილია საკითხი, რომელიც ბოლო ხანია გაცხოველებულ დავას იწვევს, განსაკუთრებით, დასავლეთგერმანულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში. საქმე ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც დადგენილია რეალური შესაძლებლობა (დიდი ალბათობა), რომ სათანადო წინდახედულების შემთხვევაში მავნე შედეგი არ დადგებოდა.<sup>5</sup> ექსპერტის დასკვნაში, რომელიც ბ-ს საქმეზეა წარმოდგენილი, ვკითხულობთ: „სწორი დიაგნოზის დასმისა და სათანადო მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ავადმყოფობის სხვა მიმდინარეობა, მაგრამ სიკვდილის თავიდან აცილება, დაავადების ხასიათიდან გამომდინარე, გარანტირებული არ იყო“ (ხაზი ჩვენია მ. უ.). იბადება კითხვა, ნიშნავს თუ არა ეს მიზეზობრივი კავშირის არსებობას? ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა ზოგიერთი ბურჟუაზიული<sup>6</sup> და საბჭოთა კრიმინალისტი<sup>7</sup>.

ჩვენი აზრით ამ კითხვაზე მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი პასუხი უნდა იქნეს გაცემული. მიზეზობრივი კავშირი სინამდვილეში განხორციელებული აუცილებლობის კავშირის ფორმაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზეზი წარმოდგენს აუცილებელ პირობას, რომლის გარეშე შედეგი ნამდვილად ვერ დადგება. რეალური შესაძლებლობა (მოსალოდნელობა და სხვ.), რაოდენ დიდი ალბათობის არ უნდა იყოს იგი, აუცილებლობისა და სინამდვილის მხოლოდ მომენტთაგანია, რომელიც შეიძლება გადაიქცეს, მაგრამ შეიძლება არც გადაიქცეს სინამდვილედ. ამიტომ რეალური შესაძლებლობა (დიდი ალბათობა), რომ სათანადო წინდახედულების შემთხვევაში მავნე შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული, არ არის საკმარისი მიზეზობრივი კავშირის დასაბუთებისათვის და ყველა ასეთ შემთხვევაში პირი უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ამ თვალსაზრისით სავესებით სწორად მოქცევა კოლეგია, როდესაც დასაბუთებულად არ ჩათვალა მიზეზობრივი კავშირი ბ-ის საქმეში. განჩინებაში პირდაპირ არის ნათქვამი: მიზეზობრივი კავშირი მაშინ იქნებოდა დასაბუთებული, თუ დადგინდებოდა, რომ სათანადო საექიმო მოქმედებათა ჩატარების შემთხვევაში ს-ს სიკვდილი გარდუვალად არ დადგებოდა.

3. დასასრულ, შეიძლება ისეთი შემთხვევაც შეგვხვდეს, როდესაც მიზეზობრივი კავშირი წინდახედულების ნორმის დარღვევასა და მავნე შედეგს შორის არსებობს, მაგრამ პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის მაინც ვერ დასაბუთდება. ეს მოხდება მაშინ, თუ წინდახედულების ნორმის დარღვევა თუმცა იყო ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მავნე შედეგის დადგომისა.

<sup>4</sup> იხ. თბლისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

<sup>5</sup> სისხლის სამართლის თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა და დასავლეთ გერმანიის სამართლო პრაქტიკა ამ საკითხზე ამომწურავად გაშუქებულია წიგნში: **Ulsenheimer, Das Verhältnis zwischen Pflichtwidrigkeit und Erfolg bei Fahrlässigkeitsdelikten, Bonn, 1965.**

<sup>6</sup> იხ. **C. Roxin, Pflichtwidrigkeit und Erfolg bei fahrlässigen Delikten, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft, 1962, Heft 3, Band 74, S. 410.**

<sup>7</sup> იხ. **Ф. Ю. Бердичевский, Уголовная ответственность медицинского персонала за нарушение профессиональных обязанностей, М., 1970, стр. 68.**

მაგრამ დამდგარი შედეგი არ წარმოადგენდა გარესინამდვილეში მომხდარი ისეთ ცვლილებას, რომლის თავიდან ასაცილებლად იყო გამიზნული დარღვეული წინდახედულების ნორმა. საქმე ისაა, რომ წინდახედულების ყოველი ნორმა გარკვეულ სიტუაციაზეა გაანგარიშებული და ემსახურება განსაზღვრული შედეგების თავიდან აცილებას. როდესაც კანონი პასუხისმგებლობას უკავშირებს წინდახედულების რომელიმე ნორმის დარღვევას, ამით შემადგენლობის ნიშნად „მატერიალურ დელიქტებში“ იგი მხოლოდ ისეთ სიტუაციასა და შედეგებს გულისხმობს, რომელთა უვნებლყოფის ფუნქცია აკისრია მოცემულ წინდახედულების ნორმას. ამიტომ ყოველი სხვა სიტუაცია და შედეგი დანაშაულის შემადგენლობის მიღმა რჩება.

ზემოთ წამოყენებული დებულების თვალსაზრისით განვიხილოთ სისხლის სამართლის ლიტერატურაში „აფთიაქარის შემთხვევად“ წოდებული საქმე.

აფთიაქარმა გასცა წამალი, რომელზედაც დაავიწყდა ეტიკეტის მიკვრა ავადმყოფმა წამალი წაიღო და მოათავსა წამლებისათვის განკუთვნილ პატარა კარადაში. როდესაც მან წამლის ხმარება მოინდომა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ წამალს არა აქვს ეტიკეტი. დაეჭვებულმა ავადმყოფმა წამალი დასაბრუნებლად დროებით დაღო დაბალ მაგიდაზე. წამალს მისწვდა წერა-კითხვის არმცოდნე მცირეწლოვანი ბავშვი, დალია და მოიწამლა.

ამგვარად, აფთიაქარმა დაარღვია წინდახედულების ნორმა — დაავიწყდა წამლისათვის ეტიკეტის მიკვრა. მაგნე შედეგიც დადგა — მოიწამლა ბავშვი. წინდახედულების ნორმის დარღვევასა და შედეგს შორის არის მიზეზობრივი კავშირი — აფთიაქარს რომ წამლის ბოთლზე ეტიკეტი მიემარებინა, ავადმყოფი აღარ დადგამდა წამალს დასაბრუნებლად დაბალ მაგიდაზე და ბავშვი გადარჩებოდა. მიუხედავად ამისა, აფთიაქარმა პასუხი არ უნდა აგოს გაუფრთხილებლობისათვის, რადგან წამალზე ეტიკეტის მიმარების წესი წერა-კითხვის არმცოდნე პირებზეა გაანგარიშებული და იმას ემსახურება, რომ ასეთ პირებს შეეცდომით არ შეეცვალოთ იგი სხვა მსგავს წამალში ან ნივთიერებაში. განსახილველ შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა მოვლენათა ისეთ არატიპიურ განვითარებას, რომელიც წინდახედულების ნორმით არ იყო ნაგულისხმევი. ნორმას, რომელიც წამალზე ეტიკეტის მიკვრას მოითხოვს, არ აკისრია ისეთი სიტუაციის უვნებლყოფის ფუნქცია, როდესაც წამალთან საქმე აქვს წერა-კითხვის არმცოდნე მცირეწლოვან ბავშვებს. ამიტომ დამდგარი შედეგი ვერ თავსდება გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ამ შეხედულებას ზოგჯერ პირდაპირ აღიარებს კანონი. მაგ., 273 მუხლის ე) პუნქტის თანახმად, საყარაულო (სავანტო) ან საბადრაგო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა მხოლოდ მაშინ ისჯება, თუ ამას თან ახლდა მაგნე შედეგები, „რომელთა ასაცდენად არის დაწესებული ეს ყარაული ან ბადრაგი“.

ამრიგად, დარღვეული წინდახედულების ნორმის კონკრეტული დანიშნულება და შინაარსი განსაზღვრავს იმ მაგნე შედეგების წრეს, რომლებიც გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემადგენლობას განეკუთვნებიან.

# სიჯაჯიის მნიშვნელობა სისხლის საგართლის პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრისათვის

5. შტრენელიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ბევრი დრომდე სიტუაციის საკითხი სისხლის სამართლის მეცნიერებაში განიხილებოდა უპირატესად დანაშაულის ობიექტური მხარის ანალიზის თვალსაზრისით. მას შემდეგ, რაც კრიმინოლოგია დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბდა, შესაძლებელი გახდა სიტუაციის საკითხი განხილულ იქნას აგრეთვე კრიმინოლოგიური ასპექტით, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სისხლისსამართლებრივ პრობლემატიკასთან.

საბჭოთა კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში სიტუაცია განიხილება როგორც დანაშაულის ერთ-ერთი მიზეზი.<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით სიტუაციად ერთსა და იმავე დროს იგულისხმება გარემოცვა, რომელშიც ცხოვრობს (საქმიანობა) პიროვნება და ის კონკრეტული ვითარება, რომელშიც მისი დანაშაულებრივი ქცევა განხორციელდა. სიტუაციის ასეთი გაგება წმინდა ფსიქოლოგიური ასპექტსაც მოიცავს, რომლის თანახმად სიტუაციაში მხოლოდ ის პირობები იგულისხმება, რომლებიც პიროვნების აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება.

სიტუაციის ცნებას მხოლოდ იმდენად გააჩნია აზრი, რამდენადაც ამ ცნების ქვეშ ნაგულისხმევი მოვლენა პიროვნებასთან იმყოფება ურთიერთზემოქმედებაში, პიროვნებისათვის არის გარკვეული მნიშვნელობის მქონე. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მთელი ობიექტური სინამდვილე სიტუაციის ცნებაში მოექცეოდა. ამიტომ ჩვეულებრივ, როდესაც სიტუაციაზეა ლაპარაკი, მხედველობაში აქვთ განსაზღვრული სისტემა პიროვნების გარემომცველი გარემოებებისა, რომლებიც მათ მთლიანობაში სწორედ მოცემული პიროვნების ქცევაზე ახდენენ ზეგავლენას. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ საჭირო ხდება პიროვნების გარემომცველ გარემოებათა ეს სისტემა მეთოდოლოგიური მიზნებისათვის დამოუკიდებელ ობიექტურ კატეგორიად წარმოვიდგინოთ. საქმე ისაა, რომ ზოგჯერ სუბიექტის წარმოდგენა სიტუაციაზე არ შეესაბამება სიტუაციის ნამდვილ შინაარსს, ან კიდევ არსებულ სიტუაციაში სუბიექტი რაიმე განსაკუთრებულ შინაარსს დებს. მაგალითად, მთვრალ კაცს ეჩვენება, რომ მის სიმთვრალეს დასცინიან, სინამდვილეში კი ქუჩაში ხალხი ტაშით ესალმება მიტინგის მონაწილეებს. შეუსაბამობა სიტუაციის ობიექტურ შინაარსსა და სუბიექტის წარმოდგენებს შორის კიდევ უფრო ხშირია ე. წ. „მოჩვენებითი მოვლენების“ შემთხვევებში. მაგალითად, სუბიექტს ჰგონია, რომ ყაჩაღი ესხმის თავს, სინამდვილეში კი მისკენ მომავალი თოფიანი კაცი მონადირეა და სხვ. ორივე აქ მოტანილი შემთხვევა შესაძლებელია დანაშაულით და მათავრდეს და მაშინ არასწორად წარმოდგენილი ობიექტური სიტუაცია შეგვეძლება განვიხილოთ

<sup>1</sup> იხ., მაგ., В. Н. Кудрявцев, Причинность в криминологии, М., 1968.



დანაშაულის ჩადენის საბაზად. როგორც ვხედავთ, ერთმა და იმავე ობიექტურ-მა სიტუაციამ შეიძლება წარმოშვას და შეიძლება არც წარმოშვას დანაშაულებრივი ქცევა, იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობას აწერს ამ სიტუაციის მოცემული სუბიექტი. ამავე მომენტით განისაზღვრება ის, თუ რა ზომით მოახდენს შემოქმედებას სიტუაცია დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. რაც შეეხება ობიექტურ სიტუაციაში მოქმედი პირის წარმოდგენებს, მათი შინაარსი და მნიშვნელობა, რომელსაც ადამიანი მის გარემომცველ კონკრეტულ სიტუაციას ანიჭებს, უკვე პიროვნების სოციალურ ორიენტაციაზე და მის ინდივიდუალურ თავისებურებებზეა დამოკიდებული.

ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ სიტუაცია მხოლოდ მაშინ მონაწილეობს დანაშაულის წარმოშობაში, როდესაც იგი დანაშაულებს არასწორად აქვს წარმოდგენილი და შეფასებული. პირიქით, დანაშაულთა მეტი წილი ადექვატურად აღქმული სიტუაციის მადეტარმინირებელ ზეგავლენას გულისხმობს. ასეთი შემთხვევები ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, თუ რა-მდენად ძლიერია სიტუაციის ზეგავლენა დანაშაულის მოქმედებაზე. ზოგ შემთხვევაში ასეთი ზეგავლენა გადამწყვეტია და ამიტომ დანაშაულებრივი განწყობის შეცვლა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. არის სრულიად საპირისპირო შემთხვევაც, როდესაც სიტუაციის ზეგავლენა მინიმალურია და ამიტომ დანაშაულის უფრო აქტიური საწყისი თვით პიროვნებაში ძვეს. ამ ორ უდიდეს შემთხვევას შორის უამრავი გარდამავალი ვარიანტი შეიძლება არსებობდეს. ყველა ამ ვარიანტის განზოგადება და დახარისხება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ უმჯობესია მივმართოთ კონკრეტული საქმის ანალიზს, საიდანაც შესაძლებელი იქნება ნათლად წარმოვიდგინოთ სიტუაციის როლი დანაშაულის ჩადენაში.

უღბაშავეი მსჯავრდებული იყო სოციალისტური ქონების დატაცებისათვის. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, უღბაშავეი დანაშაულში მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა და ძლიერ იყო დამოკიდებული დანაშაულის ორგანიზატორებისაგან. დანაშაულის ჩადენის მომენტში უღბაშავეს მძიმე ოჯახური პირობები ჰქონდა: ყავდა თავის კმაყოფაზე 3 მცირეწლოვანი ბავშვი და ლოგინად ჩავარდნილი ღრმად მოხუცებული მშობლები. ამასთანავე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მან ვერ შეძლო სამუშაოზე მოწყობა.<sup>2</sup>

ამ საქმეში არახელსაყრელი სიტუაციის ძლიერი ზეგავლენა დანაშაულის პიროვნებაზე აშკარაა. დანაშაულის ორგანიზატორთა აქტიური შემოქმედება მძიმე მატერიალურ და ოჯახურ პირობებთან ერთად საგრძნობლად ზღუდავდა უღბაშავეის მხრივ სოციალურად ადექვატური მოქმედების არჩევის შესაძლებლობას. ამიტომ უღბაშავეი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას იმსახურებს.

სიტუაცია, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, ზოგჯერ პირდაპირ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობით. მათ შორის ისეთ სიტუაციებსაც ვხვდებით. რომლებიც კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დანაშაულის ხელის შინაგანად გარემოებად ან მიზეზადაც განიხილებიან. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ასახელებს დანაშაულის ჩადენას: მძიმე პირადი ან ოჯა-

<sup>2</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1968, № 3, стр. 32.

ზური გარემოებების თანამთხვევის გამო (პ. 2). მუქარის ან ძალადობის გავლენით, ან მატერიალური თუ სხვა დამოკიდებულების გამო (პ. 3). 39-ე მუხლი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს დანაშაულის ჩადენას: საზოგადოებრივ უბედურებათა პირობების გამოყენებით (პ. 9), მეორე პირის მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით და სხვ.

სისხლის სამართლის კანონში ასახვა ჰპოვა ყველაზე უფრო ტიპიურმა და გავრცელებულმა სიტუაციებმა, რომლებსაც შეიძლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა ჰქონდეთ. მაგრამ სოციალური ცხოვრება უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე კანონმდებლობა. წარმოუდგენელია წინასწარ გათვალისწინება და ამომწურავი ჩამოთვლა ყველა ისეთი სიტუაციისა, რომელიც შესაძლებელია მომავალში დანაშაულის მიზეზად იქცეს. ამიტომ საჭიროა დადგინდეს კრიტერიუმი, რომლის მიხედვით ვიმსჯელებდით, შეიძლება თუ არა კანონით გათვალისწინებული იქნეს დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებად ესა თუ ის სიტუაცია, რომელიც დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენს.

სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა საერთოდ გამორიცხავს პასუხისმგებლობას, როდესაც სიტუაციის ზეგავლენა იმდენად თრგუნავს პიროვნებას, რომ აიძულებს მას ჩაიდინოს დანაშაული. მაგალითად, თანამდებობის პირი სიკვდილის მუქარით იძულებულია გასცეს ყალბი ცნობა. იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. უკიდურესი აუცილებლობის გამო. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ თუ სიტუაცია, მართალია, მთლიანად არ უსპობს პიროვნებას თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას, მაგრამ ზღუდავს მას, მაშინ სიტუაციის მნიშვნელობა პასუხისმგებლობის ხარისხისათვის იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად ზღუდავს მოცემული სიტუაცია პიროვნების აქტივობას. აქედან გამომდინარე, რამდენადაც მეტია გარემოებანი, რომლებიც ბოჭავენ ადამიანის ნებას, რამდენადაც ძლიერია მათი გავლენა და ნაკლებია კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების შესაძლებლობა, იმდენად ნაკლებია ბრალის ხარისხი. ამიტომ პასუხისმგებლობის ხარისხიც ასეთ შემთხვევაში ნაკლები უნდა იყოს, და პირიქით. ჩვენი აზრით, ამ პრინციპით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, როდესაც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ნუსხას ადგენს. ამ გარემოებათა შედარება გვარწმუნებს, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად განიხილება ისეთი შემთხვევები, როდესაც სიტუაციის ზეგავლენა დანაშაულის პიროვნებაზე და მის არჩევანზე გადაწყვეტია. საკითხის უფრო ნათლად წარმოდგენისათვის ერთმანეთს შევადაროთ ორი დანაშაული: ერთი მათგანი, ჩადენილი მუქარის ან ძალადობის ზეგავლენით, მეორე კი — ჩადენილი საზოგადოებრივ უბედურებათა გარემოების გამოყენებით. მუქარა ან ძალადობა საგრძნობლად უქვეითებს ადამიანს თავისუფალი არჩევანის უნარს (ცხადია, აქ არ იგულისხმება ისეთი მუქარა ან ძალადობა, რომელიც უკიდურეს აუცილებლობის სიტუაციას ქმნის და საერთოდ გამორიცხავს პასუხისმგებლობას). ამიტომ ამ გარემოებამ შემამსუბუქებლად უნდა იმოქმედოს პასუხისმგებლობის ხარისხზე. სულ სხვაა დანაშაულის ჩადენა საზოგადოებრივ უბედურებათა გარემოების გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში პიროვნების დანაშაულებრივი საქმიანობა იმდენად სიტუაციის აქტიური

ზეგავლენით არ განისაზღვრება, რამდენადაც დამნაშავეს პიროვნების განსაკუთრებული საშიშროებითა და ამორალობით. ამიტომ გაძლიერებული პასუხისმგებლობის დაწესება ამ შემთხვევაში სავსებით გამართლებულია.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში დანაშაულის ხელშემწყობი პირობები სიტუაციის შინაარსის ნაწილად განიხილება. სხვა გარემოებებთან ერთად აქ იგულისხმება ნაკლოვანებებიც იმ ორგანოთა მუშაობაში, რომლებიც მოწოდებულნი არიან დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგალითად, ნაკლოვანებანი მილიციის მუშაობაში, მატერიალურ ფასეულობათა დაცვის ორგანიზაციაში და სხვ. სისხლის სამართლის კანონი არაფერს ამბობს ამ გარემოებათა მნიშვნელობაზე პასუხისმგებლობის ხარისხის თვალსაზრისით. პასუხისმგებლობის ხარისხზე დანაშაულის ხელისშემწყობი პირობების ზემოქმედების საკითხის გარკვევისას იქედან უნდა გამოვიდეთ, თუ როგორი იყო პიროვნების დამოკიდებულება ამ გარემოებათა მიმართ. აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემდეგ შემთხვევებს:

ა) დამნაშავეს შეცნობილი არ ჰქონდა დანაშაულის ხელშემწყობი პირობები, თუმცა მათი არსებობა ობიექტურად ხელსაყრელი იყო დანაშაულის დაუბრკოლებლად განხორციელებისათვის. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ხელშემწყობი პირობები გათვალისწინებული არ უნდა იქნას სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

ბ) დამნაშავეს შეცნობილი ჰქონდა დანაშაულის ხელშემწყობი პირობები. ასეთმა შეცნობამ შეიძლება განამტკიცოს სუბიექტის დანაშაულებრივი ზრახვა, ზოგჯერ კი — შეიძლება წარმოშვას კიდევ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დანაშაულის ხელშემწყობი პირობა კონკრეტული დანაშაულის საბაზი იქნება და ზემოქმედებას მოახდენს პასუხისმგებლობის ხარისხზე იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო თავისთავად საბაზი. რამდენადაც უმნიშვნელოა საბაზი, იმდენად მკაცრი უნდა იყოს პასუხისმგებლობა და პირიქით.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ თუ სიტუაცია, ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებათა შესაბამისად, შესაძლებელს ხდის დაინიშნოს უფრო ღმობიერი სასჯელი, მაშინ იგი ყველა შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნას როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. რაც შეეხება დამამძიმებელ გარემოებებს, კანონი მათ ამომწურავ ნუსხას იძლევა. ამიტომ თუნდაც ისეთი სიტუაციის არსებობა, რომელიც აშკარად აფართოვებს დამნაშავეს თავისუფალი არჩევანის ფარგლებს, მანამდე ვერ გახდება გაძლიერებული პასუხისმგებლობის საფუძველი, ვიდრე იგი არ ჰპოვებს საკანონმდებლო აღიარებას.



# ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშნვისა და ექსპერტ-ფსიქიატრის კომპეტენციის ფარგლებს შესახებ

ა. ფალიაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სისხლის სამართლის საპროცესო და სასამართლო ფსიქიატრიულ ლიტერატურაში, ისევე როგორც საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში დავას იწვევს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნისა და ექსპერტ-ფსიქიატრის კომპეტენციის ფარგლების განსაზღვრის საკითხი.

ამ სტატიაში განვიხილავთ ამ პრობლემას და მისგან გამომდინარე ისეთ საკითხებს, რომლებიც დავას იწვევენ თეორიასა და პრაქტიკაში.

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გამოძიების ან განხილვის დროს საექვოა შერაცხადია თუ არა ბრალდებული (ექვმიტანილი).

პრაქტიკის ანალოზი მოწმობს, რომ ხშირად ფსიქიატრიული ექსპერტიზა ინიშნება მარტო იმ მოტივით, რომ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებული სიმკაცრით, თუმცა ეს საკმარისი არ არის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისათვის. ექსპერტიზის დანიშვნის მომენტისათვის გამომძიებელის ან სასამართლოს განკარგულებაში უნდა იყოს ისეთი მონაცემები, რომლებიც საექვოდ ხდიან პირის შეურაცხადობას. ასეთებია ბრალდებულის (ექვმიტანილის) გაუმართლებელი ქცევა დანაშაულის ჩადენის დროს ან მის შემდეგ, მისი ოჯახის წევრების ან ნათესავების ჩვენებები ბრალდებულის ფსიქიკური დაავადების შესახებ, შესაბამისი სამედიცინო საბუთების არსებობა, მოწმეთა ჩვენებები და სხვ.

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საქმის მასალები რეალურ საფუძველს ვგაძლევენ ვივარაუდოთ ბრალდებულის (ექვმიტანილის) შეურაცხადობა.

პრაქტიკაში ადგილი აქვს მეორე უკიდურესობასაც. გამომძიებელი ან სასამართლო არ ნიშნავს ფსიქიატრიულ ექსპერტიზას, თუმცა არის რეალური ეჭვი ბრალდებულის შეურაცხადობის შესახებ.

გამომძიებელი და სასამართლო უფლებამოსილი არ არიან გადაწყვიტონ საკითხი ბრალდებულის შეურაცხადობის შესახებ.

ასე, სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი ა-ს საქმეზე იმის გამო, რომ სასამართლოში საქმის განხილვის დროს დამკველმა დააყენა საკითხი ბრალდებულთა ფსიქიკური დაავადების შესახებ, მიუთითა რა შესაბამისი სამედიცინო საბუთების არსებობის შესახებ. სასამართლომ უარყო დამკველის დასაბუთებული შუამდგომლობა და ცნო, რომ სამართალ-

ში მიცემული არის შერაცხადი პირი. საკითხის ასე გადაწყვეტა კი სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებს<sup>1</sup>.

გამომძიებელს ან სასამართლოს არ შეუძლია გადაწყვიტოს საკითხი ბრალდებულის შერაცხადობის შესახებ, მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა შათ სპეციალური ცოდნა სასამართლო ფსიქიატრიაში. როდესაც არსებობს რეალური ეჭვი ბრალდებულის შეურაცხადობის შესახებ, აუცილებელია დაინიშნოს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

2. სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის დროს გარკვეული მნიშვნელობა აქვს საექსპერტო პირის გამოკვლევის ხასიათის სწორად განსაზღვრას. ლიტერატურაში და პრაქტიკაში დავას იწვევს საკითხი, გამომძიებელმა (სასამართლომ) უნდა განსაზღვროს პირის გამოკვლევის ხასიათი (ამბულატორიული ან სტაციონალური), თუ ამ საკითხის გადაწყვეტა შედის ექსპერტის უფლებამოსილების ფარგლებში.

პ. ს. ელკინდი აღნიშნავს, რომ ფსიქიატრიული ექსპერტიზის გამოკვლევის ხასიათი უნდა განსაზღვროს გამომძიებელმა და სასამართლომ<sup>2</sup>, ი. მ. კალაშნიკს კი მიაჩნია, რომ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის დროს მიზანშეწონილია, გამომძიებელმა და სასამართლომ არ განსაზღვროს საექსპერტო პირის გამოკვლევის ხასიათი (ამბულატორიული თუ სტაციონალური) და ამ საკითხის გადაწყვეტა მიანდონ თვით ექსპერტებს<sup>3</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ რეკომენდაციას უკვე აღარ შეიცავს სასამართლო ფსიქიატრიის 1967 წელს გამოცემული სახელმძღვანელო<sup>4</sup>.

ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) გამოკვლევის ხასიათის განსაზღვრა შედის ექსპერტიზის დანიშნავი პირის კომპეტენციაში. გამომძიებელი და სასამართლო ვალდებული არიან დადგენილებაში ან განჩინებაში მიუთითონ, ნიშნავს ამბულატორიულ თუ სტაციონალურ ექსპერტიზას. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) ფსიქიკური მდგომარეობა. რთულ და საეჭვო ვითარებაში უნდა დაინიშნოს სტაციონალური ექსპერტიზა, სხვა შემთხვევაში — ამბულატორიული ექსპერტიზა. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს გამომძიებელს ან სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს ფსიქიატრ-სპეციალისტისაგან შესაბამისი კონსულტაცია.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა კ-ს საქმეზე მიუთითა, რომ რთულ და საეჭვო შემთხვევაში გამოძიებამ და სასამართლომ უნდა დანიშნოს არა ამბულატორიული, არამედ სტაციონალური ფსიქიატრიული ექსპერტიზა<sup>5</sup>.

გამომძიებლის და სასამართლოს გადაწყვეტილება საექსპერტო პირის გამოკვლევის ხასიათის შესახებ სავალდებულოა ექსპერტ ფსიქიატრისათვის. ეს უკანასკნელი უფლებამოსილი არ არის დანიშნული სტაციონალური ექსპერტიზის ნაცვლად ჩაატაროს ამბულატორიული ექსპერტიზა და პირიქით.

რსფსრ-ს უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა სასამართლოს განაჩენი ყ-

<sup>1</sup> იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1960, № 1, გვ. 30—31.

<sup>2</sup> იხ. П. С. Элькинд. Расследование и судебное рассмотрение дел о невменяемых, М., 1959, გვ. 26—27.

<sup>3</sup> იხ. Судебная психиатрия, М., 1954, გვ. 44; Судебная психиатрия, М., 1961, გვ. 38.

<sup>4</sup> იხ. Судебная психиатрия, М., 1967, გვ. 35—38.

<sup>5</sup> იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1966, № 1, გვ. 25.

საქმეზე იმ მოტივით, რომ გამომძიებელმა დანიშნა სტაციონალური გამოკვლევა, ექსპერტმა კი ჩაატარა ამბულატორიული. ამასთან საქსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელმა მიუთითა, რომ ბრალდებული არ საჭიროებს სტაციონალურ ექსპერტიზას.

ექსპერტისა და საქსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს. ექსპერტი და საქსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი იმის მიუხედავად თუ რა მოსაზრება აქვთ გამოკვლევის ხასიათის შესახებ, ვალდებული არიან შეასრულონ დადგენილება (განჩინება) სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. კანონის ძალით, გამომძიებლის დადგენილება და სასამართლოს განჩინება სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირისათვის.

ამრიგად, სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის დროს გამოკვლევის ხასიათის განსაზღვრა (ამბულატორიული თუ სტაციონალური) შედის გამომძიებლისა და სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში.

3. სასამართლო ფსიქიატრიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში დამკვიდრდა ეგრეთ წოდებული დაუსწრებელი ექსპერტიზის ჩატარება.

დაუსწრებელი ექსპერტიზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფსიქიატრიული გამოკვლევა ტარდება ბრალდებულის (ექვმიტანილის) უშუალო შემოწმების გარეშე, მხოლოდ საქმის მასალების გაცნობისა და შესწავლის საფუძველზე. ასეთ დროს არსებობს რეალური საშუალება საქსპერტო პირის უშუალო გამოკვლევისა (ამით დაუსწრებელი ექსპერტიზა განსხვავდება პირის სიკვდილის შემდეგ ჩატარებული ექსპერტიზისაგან), მაგრამ ეს არ ხდება ამა თუ იმ მიზეზის გამო.

დაუსწრებელი ექსპერტიზის ჩატარება რეკომენდირებულია შემდეგ შემთხვევებში: როდესაც უნდა შემოწმდეს უკვე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნების სისწორე, ფსიქიკური დაავადების დასაწყისი ან მისი ხანგრძლივობა<sup>6</sup>; როდესაც საქმის მასალები შეიცავენ დაწვრილებით მონაცემებს პირის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ,<sup>7</sup> როდესაც არ არის ცნობილი ბრალდებულის (ექვმიტანილის) ადგილსამყოფელი, პათოლოგიური სიმთვრალისა და პათოლოგიური აფექტის დროს<sup>8</sup>.

დაუსწრებელი ექსპერტიზა არ არის ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. სავამოძიებო, სასამართლო და საქსპერტო ორგანოების პრაქტიკაში საერთოდ ადგილი არ უნდა ჰქონდეს დაუსწრებელი ექსპერტიზის ჩატარებას, რადგან საქსპერტო პირის ბედის დაუსწრებლად გადაწყვეტა არ გამომდინარეობს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ბუნებიდან.

ცხადია, რომ საქმის მასალების შესწავლა, რა დაწვრილებითაც არ უნდა იყოს მასში აღწერილი პირის ფსიქიკური მდგომარეობის, უფრო ნაკლებ ცნობებს გვაწვდის საქსპერტო პირის შესახებ, ვიდრე ამ პირის შესწავლა და გამოკვლევა. ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნების სისწორის შემოწმება დაუსწრებელი ექსპერტიზის ჩატარების გზით უმრავლეს შემთხვევაში შეუძ-

<sup>6</sup> იხ. Судебная психиатрия, М., 1967, зб. 41.

<sup>7</sup> იხ. Я. М. Калашник, Судебная психиатрия, М., 1961, зб. 41—42.

<sup>8</sup> П. С. Эделькин, Расследование и судебное рассмотрение дел о невменяемых, М., 1959, зб. 25.



ლებელია, თუ ამასთანავე ერთად არ იქნა გამოკვლეული პირი, რომლის მიმართაც წინათ უკვე ჩატარდა ექსპერტიზა.

საგამოძიებო, სასამართლო და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დაუსწრებელი ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება ხშირად საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების ან განაჩენის გაუქმების საფუძველი ხდება.

როდესაც არსებობს ბრალდებულის (ექვმიტანილის) უშუალო გამოკვლევის რეალური საშუალება უნდა ჩატარდეს მათი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაუსწრებელ ფსიქიატრიულ ექსპერტიზას საერთოდ ადგილი არ უნდა ქონდეს პრაქტიკაში. ასეთი მოსაზრება უკვე გამოითქვა პროცესუალურ ლიტერატურაში.<sup>9</sup>

4. პროცესუალურ და სასამართლო ფსიქიატრიულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებელი კომისიის შემადგენლობაში შეიყვანონ ის ექსპერტი, რომელმაც პირველად ჩატარა ექსპერტიზა. ეს მოსაზრება გაზიარებულია სასამართლო ფსიქიატრიის სახელმძღვანელოშიც.<sup>10</sup>

გამომძიებელს, მოსამართლეს არ შეუძლია დაავალოს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება იმ ექსპერტს (ექსპერტებს), რომელმაც მოცემულ საქმეზე უკვე ჩატარა ექსპერტიზა. საკითხის ასეთი გადაწყვეტის უფლებით არ სარგებლობს არც სასამართლო ფსიქიატრიული დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც, როგორც წესი, უშუალოდ ნიშნავს ექსპერტებს განმეორებითი გამოკვლევის ჩატარებისათვის.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება უნდა დაევალოს „სხვა ექსპერტს ან სხვა ექსპერტებს“. მიუხედავად ამისა პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც განმეორებით ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ატარებენ ის პირები, რომლებმაც უკვე ჩატარეს პირველადი ექსპერტიზა. ასეთი ექსპერტების ობიექტურობა კი საეჭვოა, რადგან ისინი დაინტერესებულნი არიან ძალაში დარჩეს ადრე მიცემული დასკვნა. ეს გარემოება წარმოადგენს პროცესუალური კანონის ისეთ მნიშვნელოვან დარღვევას, რაც ხშირად იწვევს განაჩენის გაუქმებას.

5. გამომძიებელმა ან სასამართლომ ექსპერტ-ფსიქიატრს გამოკვლევის ჩატარებისათვის უნდა გადაუგზავნოს ყველა საჭირო მასალა. თუ გამოკვლევის პროცესში დადგინდება მასალის უკმარისობა, ექსპერტმა შესაბამისი შუამდგომლობა უნდა აღძრას ექსპერტიზის დამნიშნავი პირის წინაშე. ექსპერტს უფლება არა აქვს უშუალოდ დაიწყოს საჭირო მასალების გამოთხოვა და ამოღება.

ამ სწორ დებულებას ეწინააღმდეგება „სსრ კავშირში სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების ინსტრუქციის“ მე-7 მუხლის მოთხოვნა, რომელიც ავალდებულებს სამედიცინო დაწესებულებას გადაუგზავნოს

<sup>9</sup> იხ. С. В. Бородик, А. Я. Палиашвили. Вопросы теории и практики судебной экспертизы, М., 1963, стр. 176—179; И. Л. Петрухин, Оценка заключения эксперта следствием и судом, Вопросы криминалистики, 1962, № 6—7, стр. 102.

<sup>10</sup> იხ. Судебная психиатрия, М., 1967, стр. 52.

ექსპერტ-ფსიქიატრს ყველა საჭირო ცნობა და მასალა გამოსაკვლევი პირის შესახებ.

ი. მ. კალაშნიკი აღნიშნავს, რომ ექსპერტ ფსიქიატრისათვის იმის უფლებების მინიჭება, რომ უშუალოდ გამოითხოვოს სამედიცინო ხასიათის ცნობები და მასალები აჩქარებს გამოკვლევის ჩატარებას. ი. მ. კალაშნიკს მიაჩნია, რომ არასამედიცინო ხასიათის მასალები უნდა გამოთხოვილ იქნას მხოლოდ გამომძიებლის მიერ.<sup>11</sup>

არც ი. მ. კალაშნიკი და არც ინსტრუქცია არ განმარტავს, თუ რატომ უნდა დავუშვათ გამონაკლისი სამედიცინო ხასიათის ცნობებისა და მასალების გამოთხოვის დროს.

ყველა მასალა, მათ შორის სამედიცინო ხასიათისაც, უნდა გამოითხოვოს და გადაუგზავნოს ექსპერტ-ფსიქიატრს მხოლოდ ექსპერტიზის დანიშნავმა პირმა. გამომძიებელი ან სასამართლო სანამ საჭირო მასალას (ცნობებს, საბუთებს) გადაუგზავნის ექსპერტს, უნდა გაეცნოს მათ სისწორეს, დაადგინოს მათი კავშირი ფსიქიატრიული ექსპერტიზის საგანთან, საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი ბრალდებულს (ეგკმიტიანილს), მის დამცველს ან კანონიერ წარმომადგენელს. აღნიშნული წესის დაცვა შეუძლებელია, თუ კი ექსპერტს უფლება მიენიჭება უშუალოდ გამოითხოვოს გამოკვლევისათვის საჭირო მასალები.

პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1962—1965 წლებში ჩატარებულ იქნა სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზების საერთო რაოდენობიდან 20 პროცენტი მოდის ისეთ შემთხვევებზე, როდესაც გამოკვლევისათვის საჭირო მასალები უშუალოდ იყო გამოთხოვილი ექსპერტების მიერ.<sup>12</sup> ეს კი ეწინააღმდეგება კანონს.

ამრიგად, ექსპერტი ფსიქიატრი უფლებამოსილი არ არის უშუალოდ (გამომძიებლის ან სასამართლოს გარეშე) გამოითხოვოს გამოკვლევისათვის საჭირო მასალები და ასეთ მასალებზე დააფუძნოს თავისი დასკვნა.

6. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა აწესებს, რომ საექსპერტო გამოკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს დოკუმენტით, რომელსაც ეწოდება „ექსპერტის დასკვნა“. მხოლოდ სამი მოკავშირე რესპუბლიკის (ყუზხეთი, ლიტვა, ესტონეთი) კანონმდებლობა უწოდებს ამ დოკუმენტს — „ექსპერტიზის აქტს“.

ორივე დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს ერთ და იმავე მოთხოვნებს, ორივეს აქვს თანაბარი პროცესუალური ძალა და მნიშვნელობა. მაგრამ ამასთან დაცული უნდა იქნეს მოცემული მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესი. მიუხედავად ამისა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ რატომღაც დგება „ექსპერტიზის აქტი“. ეს პრაქტიკა სწორი არ არის და იგი შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან.

7. პროცესუალურ და სპეციალურ ლიტერატურაში სადავოა სასამართლო

<sup>11</sup> იხ. Я. М. Калашник, Судебная психиатрия, М., 1961, 33. 25.

<sup>12</sup> იხ. А. Хомовский, Изучение условий, способствующих совершению общественно опасных деяний душевнобольными, Информационное письмо, М., 1966, № 5, 33. 14.



ფსიქიატრიული ექსპერტიზის ძირითადი პრობლემა, კერძოდ: უფლებამოსილია თუ არა ექსპერტი გადაწყვიტოს საკითხი პირის შეურაცხადობის შესახებ. რიგი ავტორებისა, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას აკუთვნებენ ექსპერტის კომპეტენციას.<sup>13</sup>

ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შეურაცხადობა არის წმინდა სამართლებრივი საკითხი და მისი გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს.<sup>14</sup>

საკითხი შეურაცხადობის შესახებ სამართლებრივია, რადგან იგი კანონის ძალით, დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან, პირის პასუხისმგებლობასთან და ამიტომ მას საბოლოოდ წყვეტს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები. მაგრამ შეურაცხადობას აქვს როგორც იურიდიული, ისე საენციცილო კრიტერიუმი.

სამედიცინო კრიტერიუმს მიეკუთვნება სულიერი დაავადების ფაქტის დადგენა, ხოლო იურიდიულს — პირის მიერ ანგარიშის გაწევა თავის მოქმედებისათვის და მით ხელმძღვანელობა. ორივე კრიტერიუმი ერთმანეთთან დაკავშირებულია და ორგანულად შერწყმული. ამიტომ მათ განცალკევებულ გადაწყვეტას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს.

ექსპერტ-ფსიქიატრის მიერ იმის დადგენა, რომ ბრალდებული (ეჭვმიტანილი) დაავადებულია კონკრეტული სულიერი ავადმყოფობით (სამედიცინო კრიტერიუმი) ვერავითარ დახმარებას ვერ აღმოუჩენს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს, რადგან მარტო სულით ავადმყოფობის ფაქტი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პირს არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას და იხელმძღვანელოს მით. ბევრი სულიერი ავადმყოფი პასუხს აცებს დანაშაულის ჩადენისათვის და ისჯება კანონით.

მამასაღამე, სულით ავადმყოფობის ფაქტის დადგენით (დიაგნოზის დასმით) არ უნდა ამოიწუროს ექსპერტ-ფსიქიატრის უფლებამოსილება. მან უნდა განსაზღვროს და დაადგინოს თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ეს ავადმყოფობა ადამიანის ფსიქიკაზე, კერძოდ: შეეძლო თუ არა სულიერ დაავადებას ადამიანის ფსიქიკაზე (დანაშაულის ჩადენის მომენტში) მოეხდინა ისეთი ზეგავლენა, რომ პირს ანგარიში აღარ გაეწია თავის მოქმედებისათვის.

მამასაღამე, ექსპერტმა უნდა გამოთქვას თავისი მოსაზრება იურიდიული კრიტერიუმის შესახებაც. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ექსპერტი ფსიქიატრი იყენებს თავის სპეციალურ ცოდნას. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები საბოლოოდ ვერ გადაწყვეტენ პირის შეურაცხადობის საკითხს, თუ მათ არ ექნებათ ექსპერტ-ფსიქიატრის დასკვნა პირის შეურაცხადობა-შეურაცხადობის შესახებ.

ამ საკითხზე სწორი პროზიცია უკავია სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს, რომელიც ავალდებულებს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს,

<sup>13</sup> იხ. მაგალითად: **И. Л. Петрухин**, Экспертиза как средство доказывания в советском уголовном процессе, М., 1964, зб. 129—137; **Д. Р. Лунц**, Проблема невменяемости в теории и практике судебной психиатрии, М., 1966, зб. 88—96.

<sup>14</sup> იხ. მაგალითად: **М. А. Чельцов**, **Н. В. Чельцова**, Проведение экспертизы в советском уголовном процессе, М., 1954, зб. 115—117; **И. Д. Перлов**, იხ. Научно-практический комментарий к уголовно-процессуальному кодексу РСФСР, М., 1963, зб. 758.

რათა ექსპერტის წინაშე დააყენონ საკითხი პირის შერაცხადობა-შეურაცხადობის შესახებ. თუ ამ საკითხს ექსპერტი არ გასცემს პასუხს, მისი დასკვნა არ ჩაითვლება სრულყოფილად. ხ-ს საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპერტ-ფსიქიატრის დასკვნა არ არის სრულყოფილი, რადგან პასუხი არაა გაცემული ისეთ ძირითად კითხვაზე, როგორცაა ბრალდებულის შერაცხადობის საკითხი დანაშაულის ჩადენის მომენტში.<sup>15</sup>

ამრიგად, ექსპერტ-ფსიქიატრის კომპეტენციაში შედის ბრალდებულის (ექვმიტანილის) შეურაცხადობის საკითხის წინასწარი გადაწყვეტა, ხოლო საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებაში — ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა და პირის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

8. სასამართლო ფსიქიატრიულ ლიტერატურაში და პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი: უფლებამოსილია თუ არა ექსპერტი გადაწყვიტოს ბრალდებულის (ექვმიტანილის) შერაცხადობა-შეურაცხადობის საკითხი არა. დანაშაულის ჩადენის, არამედ ექსპერტიზის ჩატარების მომენტში. ამის სწორ გადაწყვეტას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან იგი დაკავშირებულია სასჯელის გამოყენებასთან, სისხლის სამართლის საქმის შეჩერებასთან და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდებასთან.

სამედიცინო-ფსიქიატრიულ ლიტერატურაში ი. სლუჩევსკის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ექსპერტი უფლებამოსილია გადაწყვიტოს პირის შერაცხადობა-შეურაცხადობის საკითხი თვით ექსპერტიზის წარმოების მომენტისათვის.<sup>16</sup>

ი. სლუჩევსკის მოსაზრება უმართებულოა და ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას. კანონი ბრალდებულის (ექვმიტანილის) შეურაცხადობის საკითხს უკავშირებს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მომენტს და არა ექსპერტიზის ჩატარების დროს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლში პირდაპირაა აღნიშნული, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხადობის მდგომარეობაში“.

ვინაიდან სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების დროს პირს უკვე ჩადენილი აქვს დანაშაული, ამ მომენტში შეურაცხადობის საკითხის გადაწყვეტა არ შედის ექსპერტის უფლებამოსილებაში.

გამოკვლევის ჩატარების მომენტში ექსპერტმა უნდა დაადგინოს პირის სულიერი დაავადების ფაქტი, დაავადების ხასიათი (დროებითი, ქრონიკული), შეუძლია თუ არა პირს მონაწილეობა მიიღოს საქმის გამომძიება-განხილვაში და რა ხასიათის სამედიცინო-იძულებითი ღონისძიება უნდა შეეფარდოს მას, თუ იგი ფსიქიკურად დაავადებულია.

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დრო საგამოძიებო (სასამართლო) ორგანოებისა და ექსპერტ-ფსიქიატრის უფლებამოსილების სწორად განსაზღვრა იმის აუცილებელი პირობაა, რომ ექსპერტის დასკვნა იყოს სრულყოფილი დამამტკიცებელი საბუთი.

<sup>15</sup> იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1961, № 4, გვ. 20—21.

<sup>16</sup> იხ. И. Случевский, Спорные вопросы судебно-психиатрической экспертизы, Социалистическая законность, 1955, № 5, გვ. 38—40.

## მოსამართლეთა წარდგინებების საკანონმდებლო კავალაშენებისათვის

გ. მოსესიანი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განყოფილების უფროსი,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ლ. ი. ბრეჟნევიმ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე აღნიშნა: „კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის აგლის ვერავითარ ცდებს, როგორც უნდა ასაბუთებდენ მათ, ვერ შევუ-რიგდებით. ვერ შევურიგდებით ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას... ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, ყველაზე ჰუმანური იდეალების მომხრეები-სათვის, ეს პრინციპის საქმეა“<sup>1</sup>.

ამ ასპექტში თუ გავუკეთებთ ანალიზს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას, მივაღწეოთ იმ დასკვნამდე, რომ სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მოსამართლეთა წარდგინებები, რომელიც საკანონმდებლო წესით არ არის მოწესრიგებული.

ერთი შეხედვით, მოსამართლეთა წარდგინებები გამომძიებლისა და პროკურორის წარდგინებების ანდა სასამართლოთა კერძო განჩინებების იდენტურია. სინამდვილეში კი მათი ამოცანები, შინაარსი, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათი შეტანის წესიც სხვაგვარია. მოსამართლეთა წარდგინება გულისხმობს ამა თუ იმ სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე მოსამართლის ან მოსამართლეთა, სასამართლოს მთლიანი შემადგენლობის ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარისადმი მიმართვის სპეციფიკურ ფორმებს.

მოსამართლეთა წარდგინებების საკითხს საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში იშვიათად ექცევა ყურადღება და ისიც სხვა პრობლემის განხილვისას<sup>2</sup>. და ეს მაშინ, როდესაც ასეთი წარდგინებები პრაქტიკაში ხშირად გვეხვება.

მაგალითად, საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე ზედამხედველობის წესით შეტანილი პროტესტებიდან

<sup>1</sup> ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა 1971 წ. გვ. 99.

<sup>2</sup> М. С. Строгович. Проверка законности и обоснованности судебных приговоров. Издательство АН СССР. 1956 г., стр. 238. И. Д. Перлов. Кассационное производство в советском уголовном процессе. «Юридическая литература». 1968 г., стр. 368 и др.

20 პროცენტი 1968 წელს, 32,6 პროცენტი 1969 წელს და 34,9 პროცენტი 1970 წელს.

ჩვენი აზრით, სასამართლო სტატისტიკის მონაცემები დამაჯერებლად ცხადყოფენ საკანონმდებლო წესით მოსამართლეთა წარდგინებების საკითხის რეგლამენტაციის აუცილებლობას. მხედველობაშია მისაღები, ისიც რომ წარდგინებათა რიცხვი და შესაბამისად მათი ხვედრითი წონა, როგორც ზედამხედველობის წესით სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუქმების საფუძველისა, ისე უფრო იზრდება და უახლოეს დროში კიდევ უფრო გაიზრდება სასამართლოებში საფულდაგულო რევიზიების ჩატარებასთან დაკავშირებით, რის განზორციელებასაც უკვე შეუდგა ახლად შექმნილი იუსტიციის სამინისტრო.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება ხოლმე საკითხი, თუ როგორ უნდა მოიქცეს, მაგალითად, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, როდესაც მის პროტესტს უარყოფს ამ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი (ზემდგომი სასამართლო ინსტანცია) და უარყოფს ისეთი მოტივებით, რომლებიც სარწმუნო არ არის.

ვფიქრობთ, ასეთი დადგენილების (ან განჩინების) რეაგირების გარეშე დატოვება დაადასტურებს უკანონო და დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლასა და ჩვენს სინამდვილეში მის გამოყენებას. სასამართლო შეცდომისადმი შემრიგებლური დამოკიდებულება კი გაუმართლებელია. ეს საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებისა და მისი პრინციპების საწინააღმდეგო იქნებოდა. ამიტომ მხარი უნდა დავუჭიროთ იმ მოსამართლეთა პრაქტიკას, რომლებიც შინაგანი რწმენის შესაბამისად აყენებენ საკითხს ასეთი სასამართლო გადაწყვეტილებების გაპროტესტების შესახებ იმ სათანადო თანამდებობის პირის წინაშე, რომელსაც უფლება აქვს შეიტანოს პროტესტი ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. სწორედ ეს მოსაზრებანი დაედო ალბათ საფუძვლად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მთელ რიგ დადგენილებებს, რომლებიც ითვალისწინებენ წარდგინებათა შეტანის შესაძლებლობას (ხოლო ზოგჯერ აუცილებლობასაც), მაგალითად, ქვემდგომი სასამართლოს მიერ ზემდგომ სასამართლოს განჩინების გაუქმების ან შეცვლის შესახებ, ერთსა და იმავე საქმეზე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საკასაციო განჩინების არსებობის დროს, განაჩენსა და შემდგომ გადაწყვეტილებას შორის წინააღმდეგობის არსებობისას სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე სარჩელზე და ა. შ.<sup>3</sup>

კანონმდებლობით მოსამართლეთა წარდგინებების საკითხის რეგლამენტაციის აუცილებლობას მოწმობს სხვა დებულებებიც. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 28 მაისის № 6 დადგენილების „დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მე-5 პ. მე-2 ნაწილში და იმავე პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის დადგენილებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად „თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დადგენილი ზიანის ოდენობის

<sup>3</sup> «Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР. 1924—1970». Издательство «Известия Советов депутатов трудящихся». М., 1970 г., стр. 542, 557.

შედეგად სასამართლო მივა იმ რწმენამდე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე საჭიროა განაჩენის გადასინჯვა, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება... და ამასთანავე დაწეროს წარდგინება კუთვნილებისამებრ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ზედამხედველობის წესით შემოწმების თაობაზე.<sup>4</sup>

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში წარდგინება სასამართლოს მთელ შემადგენლობას გამოაქვს მოსამართლეთა სათათბირო ოთახში. მაგრამ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა რეკომენდებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, მაშინ როცა იგი კანონმდებლის კომპეტენციაში შედის

„სასამართლოს საქმიანობაში გაჭიანურების ფაქტების აღმოფხვრის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1952 წლის 5 სექტემბრის № 8 დადგენილების მე-6 პუნქტში, რომელშიც ცვლილებები შეტანილია პლენუმის 1957 წ. 10 აპრილის № 5 დადგენილებით, იმ შემთხვევაში, როდესაც სახალხო მოსამართლე არ ეთანხმება ასეთ განჩინებას (ზემდგომი სასამართლოს განჩინებას — გ. მ.) მას და აგრეთვე სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვთ (განჩინების აღსრულების შეუჩერებლად) შეიტანონ წარდგინება საქმეზე შესაბამის ზემდგომ სასამართლოში. ასეთი წარდგინება გულდასმით უნდა იქნას განხილული და იმ შემთხვევაში, თუ იგი სწორია, საქმე გამოთხოვილ უნდა იქნას ზედამხედველობის წესით. წარდგინების უარყოფის შემთხვევაში ზუსტად უნდა იქნას მითითებული მოტივები, რომელთა გამო იგი უარყოფილია.<sup>5</sup>

ეს მოწმობს, რომ მოსამართლეთა წარდგინება ხშირად წარმოადგენს საზედამხედველო წარმოების აღძვრის საფუძველს. მაგრამ ყოველივე ეს გათვალისწინებული არ არის მოქმედი კანონმდებლობით და, ასე ვთქვათ, კომპენსირებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით.

ზემოაღნიშნულს, ჩვენი აზრით, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ შეტანის წესის შესაბამისად არსებობს მოსამართლეთა წარდგინების რამდენიმე სახე. ისინი ხშირად პროცესუალურ დოკუმენტს წარმოადგენენ და ჭეშმარიტებას ადგენენ. ამის მიუხედავად მათი გამოტანის წესი არ არის რეგლამენტირებული მოქმედი კანონმდებლობით. ამ ხარვეზს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნაწილობრივ ავსებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები.

ჩვენი აზრით, ამ საკითხის საკანონმდებლო წესით რეგლამენტაციის გარეშე დატოვება მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს დაცვაზე კონსტიტუციური უფლების დარღვევას და უარესობისაკენ საქმის შებრუნებას. ზოგჯერ დარღვევები გამოწვეულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის არასწორი რეკომენდაციებით ან მცდარი პრაქტიკით.

მაგალითად, „თავისუფლების აღკვეთამისჯილ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახით განსაზღვრის სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის № 10

<sup>4</sup> იქვე, გვ. 557.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 343.

დადგენილების მე-8 პუნქტის მე-4 ნაწილში ამავე პლენუმის 1970 წლის 30 ივნისის № 1 დადგენილებამ ცვლილება შეიტანა. აქ ნათქვამია: „პროტესტის არსებობისას საკასაციო ინსტანციამ, ტოვებს რა უცვლელად განაჩენს, კერძო განჩინებით უნდა აცნობოს შესაბამის სასამართლოს თავმჯდომარეს კანონის დარღვევის შესახებ, რომელზეც დამოკიდებულია ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანა“.<sup>6</sup>

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შრომა-გასწორების კოლონიის რეჟიმის განსაზღვრა არის სასჯელის ერთ-ერთი საკითხის გადაწყვეტა,<sup>7</sup> მაშინ მოყვანილი დებულება ეწინააღმდეგება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების<sup>8</sup> 46-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმად განაჩენი შეიძლება გაუქმდეს უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის გამოყენების აუცილებლობის ან სასჯელის ლობიერების გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ საფუძვლით პროტესტი შეიტანა პროკურორმა ან საჩივარი შეიტანა დაზარალებულმა.

საკითხის ასე გადაწყვეტა არ უპასუხებს აგრეთვე სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე კერძო (განსაკუთრებულ) განჩინებათა გამოტანის პრაქტიკის შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 14 ოქტომბრის № 12 დადგენილებას, რომელშიც ნათქვამია: „ზემდგომ სასამართლოებს... უფლება არა აქვთ გამოიტანონ ისეთი კერძო (განსაკუთრებული) განჩინება, რომელიც არსებითად სახელს უტეხს ცვლილებების გარეშე დატოვებული განაჩენის კანონიერებასა და დასაბუთებულობას“ და შემდეგ „მაგალითად, მითითება სასჯელის ზომის ლობიერებაზე — განაჩენის შეუცვლელად და სხვ.“<sup>9</sup>

ზემოაღნიშნულის გამო ჩვენ ვთვლით, რომ მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგოა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1936 წლის 28 ივლისის განმარტება „საკასაციო ინსტანციის უფლებათა ფარგლები პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებულ ამნისტიის შეცვლაზე“, რომელშიც ნათქვამია: „როდესაც საკასაციო-სარევიზიო წესით საქმის განხილვისას საკასაციო ინსტანცია აღგენს, რომ მსჯავრდებულს განაჩენით არასწორად შეეფარდა ამნისტია, ასეთი განაჩენი საკასაციო ინსტანციამ... უნდა გააუქმოს.“<sup>10</sup>

<sup>6</sup> «Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР. 1924—1970. Издательство «Известия Советов депутатов трудящихся». გვ. 343.

<sup>7</sup> ი. ი. მოტოვილოვკერი, მაგალითად, წერს, რომ „შრომა-გასწორებითი კოლონიის სახის განსაზღვრა წარმოადგენს დანიშნული სასჯელის შემადგენელ ნაწილს, ხოლო შრომა-გასწორებითი კოლონიის სახის შეცვლა უთანაბრდება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შეცვლას“ იხ. მისი ნაშრომი «Некоторые вопросы теории советского уголовного процесса в свете нового уголовно-процессуального законодательства». Кемерово 1962 г., стр. 245.

<sup>8</sup> შემდგომში შემოკლებით ვუწოდებთ „საფუძვლებს“.

<sup>9</sup> «Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР 1924—1970 гг. Изд. «Известия Советов депутатов трудящихся». М., 1970 г. გვ. 531. იხ. იქვე, Постановление Пленума Верховного суда СССР «Об улучшении деятельности судов по борьбе с хищениями государственного и общественного имущества» от 24 июля 1968 г. იქვე, გვ. 424.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 343-344.

მცდარი პრაქტიკის გამო უფრო ხშირად და, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო უხეშ დარღვევებს უშვებს ზოგიერთი საკასაციო ინსტანციის სასამართლო. განხილავენ რა საქმეებს მხოლოდ საკასაციო საჩივრებით, ზემდგომი სასამართლოები ხშირად რწმუნდებიან, რომ მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს დაუსაბუთებლად ლმობიერი სასჯელი ან გამოყენებულია კანონი უფრო მსუბუქ დანაშაულზე. რადგან ამ სასამართლოებს, არა აქვთ რა შესაძლებლობა უშუალოდ შეცვალონ ან გააუქმონ განაჩენი მსჯავრდებულისათვის სასჯელის დამძიმების გამო, ისინი მათ უცვლელად ტოვებენ, ხოლო საჩივარს არ აკმაყოფილებენ. მაგრამ ამას წარდგინებით აცნობებენ სასამართლოს თავმჯდომარეებს, რომელნიც, როგორც წესი, ზედამხედველობის წესით აპროტესტებენ მათ.

ასეთი პრაქტიკა რეკომენდებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 10 თებერვლის დადგენილებით „ზემდგომი სასამართლოს უფლებების შესახებ“ სასჯელის ლმობიერების გამო განაჩენის გაუქმებაში, რომელიც არ არის გაპროტესტებული პროკურორის<sup>11</sup> მიერ, მაგრამ ეს დადგენილება გაუქმებულია 1961 წ. 14 დეკემბერს.<sup>12</sup>

მსჯავრდებულის კანონიერი ინტერესების თვალსაზრისით აბსოლუტურად სულ ერთია მისი მდგომარეობა გაუარესდება განაჩენის გაუქმებით საქმის საკასაციო თუ ზედამხედველობის წესით განხილვისას. უდავოა ის, რომ მსჯავრდებულის მდგომარეობა უარესდება მისი საკასაციო საჩივრის განხილვის დროს და ასეთს ადგილი აქვს როგორც აღნიშნული წარდგინებების გამოტანის შემთხვევაში, ასევე ამნისტიის არასწორად გამოყენების, ან შრომა-გასწორების კოლონიის სხვის არასწორად განსაზღვრასთან დაკავშირებით განაჩენის გაუქმებისას. მნიშვნელოვანია ის, რომ ყოველივე ეს ხდება მსჯავრდებულის მხრივ განაჩენის გასაჩივრებისა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ საჩივრის განხილვის შედეგად.

ზოგჯერ საქმის საკასაციო წესით განხილვისას პროკურორი თავის დასკვნაში მოითხოვს განაჩენის უცვლელად დატოვებას და ამავე დროს მიუთითებს სასამართლო კოლეგიას კანონიერების გამოვლინებულ დარღვევათა გამო გამოიტანოს წარდგინება ყველა სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენთან ერთად გამოტანილ წარდგინებებში მიუთითებს სხვა საქმეზე განაჩენის გაუქმების აუცილებლობაზე, ან როდესაც საზედამხედველო ინსტანციის სასამართლო საქმის განხილვისას ძალაში ტოვებს სასამართლო გადაწყვეტილებას, მაგრამ ამასთანავე მიუთითებს, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილია უფრო მძიმე დანაშაული, ან მიუთითებს დანიშნული სასჯელის ლმობიერებაზე დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის პიროვნებასთან შედარებით.

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით პ. და კ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ სამსახურებრივი სიყალბისათვის და შეეფარდათ პირობითი მსჯავრი. მსჯავრდებულთა საკასაციო საჩივრების განხილვისას, პროკუ-

<sup>11</sup> «Сборник действующих постановлений Пленума Верховного суда СССР». 1924—1957». «Госюриздат». 1958 г., стр. 106.

<sup>12</sup> «Бюллетень Верховного суда СССР». 1962 г., № 1, стр. 10.

რორმა თავის დასკვნაში მიუთითა, რომ განაჩენი დატოვებულ უნდა იქნას უცვლელად, მაგრამ ამასთანავე სასამართლო კოლეგიამ წარდგინება უნდა გამოიტანოს განაჩენისა და განჩინების გაუქმების შესახებ იმის გამო, რომ მათ მართ გამოყენებულ უნდა იქნას კანონი უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ. საქმის ხელახალი განხილვის დროს მსჯავრდებულნი ცნობილ იქნენ დამნაშავედ უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად მათ ვანესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში დ-ს საქმეზე აღნიშნულია, რომ აჭარის ასრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საქმის საკასაციო წესით განხილვისას დაუსაბუთებლად გადააკვალიფიცირა დანაშაული და შეამსუბუქა სასჯელის ზომა, მაგრამ რადგანაც მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა, ამჟამად არ არსებობს შესაძლებლობა გაუქმდეს აღნიშნული განჩინება.

ჩვენ ვფიქრობთ ამ შემთხვევაში სასამართლო მიისწრაფის თვითუფლებულ საქმეზე გამოტანილი განაჩენის ჭეშმარიტება შეუსაბამოს მსჯავრდებულისათვის გაძლიერებული სასჯელის ან უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის გამოყენების დაუშვებლობას.<sup>13</sup>

ამგვარი გადაწყვეტაც მოწმობს საქმის გაუარესებას, რადგან ზემდგომი სასამართლოს განჩინებით დგინდება უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი ან არის სასჯელის შეუსაბამობა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებას შორის.

მოქმედი კანონმდებლობა არ საჭიროებს საკითხის ამგვარ შეთანხმებას. ეს საკითხი გადაწყვეტილია „საფუძვლების“ 46-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსრ კავშირის საპროცესო ზედამხედველობის შესახებ დებულების მუხლებით, რომლებიც ვალდებულს ხდიან პროკურორს საკასაციო წესით გააპროტესტოს უკანონო განაჩენები. პრაქტიკაში კანონის ეს ნორმა არ ხორციელდება, ხოლო მოსამართლენი, რომელნიც ეძებენ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან, არღვევენ სოციალისტურ კანონიერებას ვითომდა მართლმსაჯულის ინტერესებიდან გამომდინარე.

საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერება ხელს შეუწყობს დამნაშავეობასთან ბრძოლის ყველა საკითხის დროულ, კანონიერ და დასაბუთებულ გადაწყვეტას.

<sup>13</sup> ასეთი ტენდენცია არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაშიც. იხ. Э. Ф. Куцова. Советская кассация, как гарантия законности правосудия. «Госюриздат». 1957 г., стр. 163; В. Николаев. Задачи кассационного производства и ревизионный порядок пересмотра дел в советском уголовном процессе». Издательство МГУ. 1961 г., стр. 50 და სვ.





# ბრძოლა სოციალისტური ქონების გავრცელების წინააღმდეგ სამოხმარებლო კოოპერაციის სისწრაფით

ნ. ქაზაძე,

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

სსრ კავშირის კონსტიტუციის 131-ე მუხლით საზოგადოებრივი საკუთრება განსაზღვრულია „როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო“. კონსტიტუცია ავალებს თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს გაუფრთხილდეს და განამტკიცოს სოციალისტური საკუთრება და ხალხის მტრად აცხადებს იმ პირს, ვინც ხელყოფს მას.


საზოგადოებრივ საკუთრებას განეკუთვნება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში თავმოყრილი დიდი ოდენობის ფასეულობაც. მის დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან ცეკავშირის გამგეობა ყოველთვის თვლიდა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ახორციელებს რა სადირექტივო ორგანოების სახელმძღვანელო მითითებებს, მკაცრ კონტროლს აწესებს ვაჭრობის, დამზადებისა და საწარმოო ობიექტების საქმიანობისადმი. ქურდების, მტაცებლების, თაღლითებისა და მათი მფარველების გარშემო ჰქმნის შეუპოვებლობის ატმოსფეროს, რათა გადაკეტოს სახალხო ქონების გამტაცებელთა სამუშაოზე გასაძვრომი ყველა არხი.

მაგრამ იმის გამო, რომ მთელმა რიგმა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა არ განახორციელეს საჭირო ღონისძიებები, კვლავ ადგილი აქვს გაფლანგვა-გატაცების შემთხვევებს. მათი გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებათა შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები საკმაო მუშაობას არ ეწევიან სახალხო დოვლათის გატაცების ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად, არ ასრულებენ კოოპერატიული საკუთრების დაცვის შესახებ ცეკავშირის გამგეობის დადგენილებებს, უხეშად არღვევენ საბუხჰალტრო აღრიცხვის წესებს, უხარისხოდ ატარებენ ინვენტარიზაციებს და რევიზიებს, რაც მთავარია, ვერ უზრუნველყოფენ ქმედით კონტროლს მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მუშაობისადმი. ეს ქმნის ხელსაყრელ პირობებს სოციალისტური საკუთრების მითვისებისა და გაფლანგვისათვის.

სოციალისტური ქონების დაცვის საქმეში წარმატების მიღწევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კადრების სწორად შერჩევაზე. აუცილებელია ყველა მუშაკის მიმართ გავზარდოთ მოთხოვნილება, გვატაროთ დევიზი — „ენდე და შეამოწმე“. სამწუხაროდ, ამ ფაქტორებს სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ლანჩხუთის რაიკოოპკავშირის სუფსის მომხმარებელთა საზოგადოებაში წლების განმავლობაში დიდი ოდენობით იტაცებდნენ კოოპერატიულ ქონებას; ამასთანავე ადგილი ჰქონდა თანხების მითვისებას ფასების გაზრდით. კერძოდ:



ბათუმის „საიუზნეფტექსპორტის“ კანტორიდან უშუალოდ მაღაზიის მიერ მიღებული 10 კაპიკიანი რამდენიმე ათასი ცალი ტომარა წვრილობითუმად მიეყიდა მახარაძის მაღაროთა სამმართველოს 1 მან. და 92 კაპ. ამ გზით გატაცებული იქნა 8268 მან. მსგავსი ოპერაციების რამოდენიმეჯერ გამეორებით გაიტაცეს თითქმის 50.000 მანეთი.

სახალხო დოვლათის გატაცებას ხელი შეუწყო რაიკოოპკავშირში, სუფსისა და აცანის მომხმარებელთა საზოგადოებებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი აბსოლუტურმა უკონტროლობამ, ბოროტმოქმედებთან თანამდებობის პირების დანაშაულებრივმა კავშირმა, კადრების არასწორმა შერჩევამ. აქ ხელმძღვანელ და მატერიალურ პასუხისმგებელ თანამდებობებზე გაძვრნენ წარსულში სოციალისტური ქონების გატაცებისათვის და თანამდებობრივი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირები. ბოროტმოქმედთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა სუფსის მომხმარებელთა საზოგადოების ყოფილი უფროსი ბუხჩალტერი შ. ჯიჯოშვილი, რომელიც წარსულში ანალოგიური დანაშაულისათვის იყო მსჯავრდებული და რასაკვირველია უფროს ბუხჩალტრად მუშაობამ ხელი შეუწყო აღრიცხვა-ანგარიშგების ჩაშლას, კონტროლის მოღუწებას, ამან კი განაპირობა კოოპერაციული ქონების დიდი ოდენობით გატაცება და მისი მიჩქმალვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სააღრიცხვო დარგის აპარატის დაკომპლექტებას, რადგან ამ კატეგორიის მუშაკთა საქმიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული აღრიცხვიანობა, ხოლო ზუსტი ბუხჩალტრული აღრიცხვა ოპერატიული ხელმძღვანელობისა და კონტროლის იარაღია და ხელს უწყობს სამეურნეო ანგარიშგების დანერგვას, ფინანსური და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის განმტკიცებას, მიმოქცევის ხარჯებისა და სხვა არამწარმოებლური ხარჯების ლიკვიდაციას, რენტაბელობის ზრდასა და ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებას.

ამ ფუნქციების განსახორციელებლად მათ მინიჭებული აქვთ დიდი უფლებები. ამასთან ერთად მათ ეკისრებათ მკაცრი პასუხისმგებლობა აღრიცხვისა და ანგარიშგების დარღვევისათვის.

მორიგ შევებულებაში მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა დროულად გაშვება ერთ-ერთი პროფილაქტიკური საშუალებაა დიდი ოდენობის ფასეულობის გატაცების თავიდან აცილებისათვის. მატერიალური პასუხისმგებელი პირის შევებულებაში გაშვება და ფასეულობათა სხვა პირისათვის გადაბარება გაზორიცხავს დანაშაულის მიჩქმალვის შესაძლებლობას. სამწუხაროდ ზოგჯერ კონტროლის ამ რგოლს უგულებელყოფენ, რაც აძნელებს სოციალისტური ქონების მითვისება-გაფლანგვის დროულად გამოვლინებას. ზოგჯერ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები წლების განმავლობაში არ მიდიან შევებულებაში ან თუ მიდიან, არ ახდენენ მატერიალურ ფასეულობათა ოფიციალურ აღწერას და იმ ფასეულობათა გადაბარებას, რომლებიც მათზე ირიცხება. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ცენტროსოიუზის გამგეობას, როდესაც დაადგინა მატერიალურ პასუხისმგებელ პირთა დადგენილ ვადებში შევებულებაში გაშვება და ამაზე კონტროლი დააკისრა რესპუბლიკურ და ავტონომიური ოლქების სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეებს კადრების დარგში, ხოლო რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციაში — კადრების ინსპექტორებს.

ხშირად პირები, რომლებსაც აქვთ დანაკლისი ან გაფუჭებული საქონელი,

თავს არიდებენ შვებულებაში გასვლას და თუ გადიან ცდილობენ ფასეულობა გადააბარონ პირებს (ზოგჯერ ოჯახის წევრებსაც), რომლებიც შეუფერხებლივლიდებენ ფასეულობათა ნაშთებს. ასე მაგალითად:

ლაგოდენის რაიკოპკავშირის ვარდისუბნის მომხმარებელთა საზოგადოების მალაზიის გამგე ჩადუნელს სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს ეძლეოდა შვებულება, მაგრამ ფასეულობას იბარებდნენ მისი ოჯახის წევრები ან ამ გადაბარებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. შვებულებაში ყოფნის დროს კვლავ განაგრძობდა მუშაობას. ამან გამოიწვია, რომ დროულად არ იქნა გამოვლინებული დიდი ოდენობით გატაცების ფაქტი.

გეგეჭკორის რაიონის დიდი ჰყონის სამომხმარებლო საზოგადოების № 2 სამრეწველო მალაზიის გამგე-გამყიდველი ერქვანია თითქმის სამი წელი არ სარგებლობდა კუთვნილი შვებულებით. მას კატეგორიულად მოთხოვეს შვებულებაში გასვლა, დაიწყეს ფასეულობათა აღწერა და სხვა პირზე გადაბარება, ერქვანამ რევიზიის პროცესში მალაზიაში ხანძარი გააჩინა.

ეს მაგალითები ნათელყოფს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ პასუხისმგებელ პირთა დადგენილ ვადებში შვებულებაში გაშვებას და მათზე რიცხულ ფასეულობათა სხვა პირზე გადაბარებას.

გაფლანგვა-გატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების დაცვასა და საპრეისკურანტო მეურნეობის მოწესრიგებაზე მუდმივი კონტროლის დაწესება.

უკანასკნელ ხანს ამ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად ცეკავშირის დარგობრივ განყოფილებასთან ერთად ნაყოფიერად მუშაობენ რაიადმსკომეების ფასების კომისიები. მათი კარგი მუშაობის შედეგია, რომ ბოლო პერიოდში მკვეთრად შემცირდა საპრეისკურანტო ფასების დარღვევის შემთხვევები. საპრეისკურანტო ფასების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას არ უნდა მიეცეს კომპანიური ხასიათი. ის მოითხოვს ყოველდღიურ მუშაობას არა მარტო მომხმარებელთან ანგარიშსწორებისას, არამედ განსაკუთრებით მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციების ჩატარებისას. სწორედ ფასების მომატების გზით ხდება ხოლმე დიდი ოდენობით თანხების გატაცება. მაგალითად: ნ. წილოსანი წლების მანძილზე მუშაობდა წულუკიძის რაიკოპკავშირის ქსოვილების მალაზიის გამგე-გამყიდველად. მას სისტემის მოწინავე მუშაკადაც თვლიდნენ, მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში უხარისხო ინვენტარიზაციებისა და შვებულების ფორმალურად გაფორმების გზით მან შეძლო საკმაო რაოდენობით მიეთვისებინა კოლპერაციული ქონება. როგორც შემდგომში დადგინდა იარლიყებზე ნ. წილოსანი თვითონ აწერდა გადიდებულ ფასებს, რითაც იგი აღწევდა მასზე რიცხულ ფასეულობათა ნაშთების ხელოვნურად გაზრდას და დანაკლისის მიჩქმალვას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლპერაციულ ქონების დაცვის საქმეში მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის სწორად ჩატარებას. ინვენტარიზაციის ჩატარების ინსტრუქციის მცირეოდენ დარღვევასაც კი შეუძლია ხელი შეუწყოს დიდი ოდენობით ფასეულობათა გატაცების ფაქტის გამოუვლინებლობას. ინვენტარიზაციის ძირითადი ამოცანაა განსაზღვრულ მომენტისათვის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა ფაქტიური ნაშთების გამოთვლა და აღრიცხვის მონაცემებით ნაჩვენებ ნაშთებთან მათი შესაბამისობის შემოწმება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინვენტარიზაცია ბუხ-

პალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი ხერხია და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მატერიალური და ფულადი საშუალებების აღწერას ნიშნავს.

როგორც შემოწმებები ცხადყოფს, ხშირად საინვენტარიზაციო აღწერა უხარისხოდ ფორმდება, აღწერის ნუსხებში შესწორებები ხელმოუწერელია, საქონლის ნაწილზე არ არის აღნიშნული ფასების საფუძველი, საქონლის აღწერა ხდება არა გადათვლა-გადაწონით, არამედ მატერიალურ პასუხისმგებელ პირთა სიტყვიერი კარნახით და სხვ.

მიუხედავად ამისა, კოოპორგანიზაციათა სააღრიცხვო დარგის მუშაკები უყოყმანოდ ლებულობენ აშკარად უხარისხო საინვენტარიზაციო უწყისებს. ამის გამო ზოგჯერ არ ხდება კოოპერაციული ქონების გატაცებათა შემთხვევების გამოვლენა. მაგალითად: ზესტაფონის რაიკოოპკავშირის საწყობის გამგედ. ძიძიშვილი ელოდებოდა რა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის ჩატარებას, მან შაქრის 485 ცალი ცარიელი ტომარა შეავსო საწყობში რიცხული მარილის ფხვნილით და ეს მარილიანი ტომარები დააწყო შტაბელებად.

საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც რევიზორი ს. მურადაშვილი ხელმძღვანელობდა, უპასუხისმგებლოდ მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას და შტაბელებად დაწყობილი მარილის ფხვნილით სავსე ტომარები აღწერის სიაში შეიტანა როგორც შაქრის ფხვნილიანი ტომარები.

შედეგის გამოყვანისას საწყობში გამოვლინდა დიდი ოდენობით მარილის დანაკლისი. მარილის დანაკლისის გამომწვევი მიზეზებით არ დაინტერესებულა არც რევიზორი და არც გამგეობა, უფრო მეტიც, მარილის დანაკლისის შესამცირებლად მათ ხელოვნურად გაავრცელეს ბუნებრივი დანაკარგების გადიდებული ნორმები. ამით ძიძიშვილს საშუალება მისცეს გაეგრძელებინა მუშაობა და ერთიორად გაეზარდა დანაკლისი. ხოლო შემდეგში, როდესაც ხელმეორედ ჩატარდა ინვენტარიზაცია ამ საწყობში და საინვენტარიზაციო კომისიამ მოითხოვა ფასეულობათა გადაწონა და დაინტერესდა ტომარებში მოთავსებული საქონლით, გამოაშკარავდა რამდენიმე ათეული ათასი მანეთის გატაცების ფაქტი.

ანალიზი გაუკეთა რა გაფლანგვა-გატაცების ფაქტს ცეკავშირის სისტემაში გამგეობამ დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი. კერძოდ განხორციელდა ღონისძიებანი, კადრების განსაკუთრებით მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შერჩევა-აღზრდისათვის, გამახვილდა ყურადღება ახალგაზრდა კადრების წამოწვევისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. აღრიცხვისა და საკონტროლო-სარევიზიო აპარატი ძირითადად დაკომპლექტდა საქმის მცოდნე და პრინციპული მუშაკებით, რომელთაც უნარი შესწევთ დაიცვან სახალხო დოვლათი დამნაშავე ელემენტების ხელყოფისაგან.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა საკუთრებისადმი მშრომელთა კომუნისტური დამოკიდებულების პროპაგანდა. უფრო შეუპოვარი გახდა ყოველი სახის უყაბრაობასთან ბრძოლა.

გაფლანგვა-გატაცების ყველა კონკრეტული შემთხვევა იქცა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების განხილვის და მსჯელობის საგნად. პარტიულ ორგანოებთან ერთად მუშავდება ერთობლივი ღონისძიებანი კოოპერაციული ქონების დაცვისათვის.

ცეკავშირის გამგეობა, სისტემაში მომხდარი გაფლანგვა-გატაცების ყველა



დიდ შემთხვევას ასხენებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ცენტრალურმა კომიტეტმა ბიუროს სხდომაზე რამდენჯერმე განიხილა კოოპერაციული ქონების დაცვის საკითხი ცეკავშირის სისტემაში. ცალკე იქნა მოსმენილი აგრეთვე ახმეტის, ზესტაფონის, ბოლნისის, მარნეულის, ახალქალაქისა და ვაგარის რაიკოოპორგანიზაციებში მომხდარი გაფლანგვის შემთხვევები. საქართველოს სსრ პროკურატურამ დაავალა რაიონულ პროკურატურებს გაეძლიერებინათ ზედამხედველობა კოოპერაციული საკუთრების დაცვის შესახებ დადგენილებათა განხორციელებაზე და ყოველკვარტალურად ანგარიშთან ერთად პროკურატურაში წარმოედგინათ ინფორმაცია ცეკავშირის გამგეობის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებთან ერთად ცეკავშირის გამგეობამ შეისწავლა სისტემის კოოპორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-გატაცებისა და უყაირათობის გამომწვევი მიზეზები. შედეგები განხილული იქნა როგორც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის, ისე ცეკავშირის გამგეობის სხდომაზე. ამის საფუძველზე მიღებული იქნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის ერთობლივი გადაწყვეტილება.

საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაძლიერებისა და სრულყოფისათვის, საკონტროლო აპარატისადმი ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით რაიკოოპორგანიზაციის ოცდაერთი რევიზორი გადმოყვანილია ცეკავშირის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოში.

ამ კომპლექსური ღონისძიებების თანმიმდევრულად განხორციელების შედეგად კოოპერაციული ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა მიიღწია გაფლანგვა-გატაცების მინიმუმამდე დაყვანას, ზოგიერთ ორგანიზაციაში კი იგი სრულიად ლიკვიდირებულია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი საშიში დანაშაული, როგორც არის სახალხო დოვლათის გატაცება და ამ მიზნით ბოროტგანმზრახველი ორგანიზებული ჯგუფების შექმნა, მათში საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების, ბუხჰალტრების, რევიზორებისა და სხვა პირთა ჩაბმით — მთლიანად აღმოფხვრილია.

ამას ნათლად ადასტურებს შემდეგი დინამიკა: 1940 წლის ბოლოს სისტემის კოოპორგანიზაციათა 22,2 პროცენტს არ ჰქონდა გაფლანგვა-დანაკლისების შემთხვევები, 1950 წლის ბოლოს — 21,2 პროცენტს, 1960 წლის ბოლოს — 56,3 პროცენტს, 1970 წლის ბოლოსათვის სისტემის კოოპორგანიზაციების 96,5 პროცენტმა ისე დაამთავრა სამეურნეო წელი, რომ გაფლანგვა-დანაკლისების არც ერთი შემთხვევა არ ჰქონია.

კოოპერაციული საკუთრების გატაცებასთან ცეკავშირისა და ადგილობრივი კოოპორგანიზაციათა გამგეობის ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა სამომხმარებლო კოოპერაციისათვის მიყენებული ზარალის დროულად და მთლიანად ანაზღაურება. ამ საქმიანობის შედეგები უკანასკნელ წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანია. კოოპერაცია დამნაშავე პირების სისხლის სამართლის წესით დასჯასთან ერთად აღწევს მიყენებული ზარალის მთლიან ანაზღაურებას.

ამ ღონისძიებათა განხორციელების მიუხედავად, ზოგიერთ კოოპორგანიზაციაში ჯერ კიდევ არის კოოპერაციული ქონების ხელყოფის შემთხვევები. ამ ორგანიზაციებში, სადაც ამ მიმართულებით ბრძოლა სუსტად მიმდინარე-

ობს, დამნაშავე ელემენტებს საშუალება ეძლევათ გაიტაცონ კოოპერაციული ქონება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა საკითხი „სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის მუშაობის გაძლიერება სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად“ და მიიღო უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დადგენილება.<sup>1</sup>

ეს დადგენილება მთელი სერიოზულობით აყენებს ამოცანას: დაუნდობლად ვებრძოლოთ გაფლანგვა-გატაცების შემთხვევებს, მივალწიოთ მის სრულ ლიკვიდაციას.

სამართალდარღვევების თავიდან აცილება და პროფილაქტიკა პარტიის, მთელი ჩვენი საზოგადოების განუხრელი ხაზია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს განსაკუთრებული ძალით აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაგზავნილ მისალმებაში საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა VIII ყრილობისადმი ნათქვამია:

„საბჭოთა კოოპერატორების მოვალეობაა ყოველმხრივ გაამრავლონ და დაიცვან სოციალისტური საკუთრება, გამოიჩინონ მომჭირნეობა და ეკონომიურად გამოიყენონ ფასეულობანი და საზოგადოებრივი სახსრები, აღზარდონ კოოპერაციული კადრები ნაკლოვანებებისა და უყაირათობისადმი შეუწყნარებლობის, სახელმწიფოებრივი დისციპლინის უმკაცრესი დაცვის, მინდობილი საქმის, გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით“.<sup>2</sup>

ცეკავშირის გამგეობა ყველაფერს გააკეთებს პარტიის ამ დიდმნიშვნელოვან დავალებათა განუხრელად შესრულებისათვის.

<sup>1</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1971 წ. 7 აგვისტო.

<sup>2</sup> Материалы VIII съезда уполномоченных потребительской кооперации СССР. Москва, Издательство «Экономика», 1970 г., стр. 16.

# ინფორმაცია

## მართლმსაჯულება და საზოგადოება

რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბლენუმი, რომლის საქმიანობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებმა.

ბლენუმის პრეზიდიუმში არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძიწაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ძაბაშაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ბ. ძაბაშაძე, სსრ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ნაძვალაძე, საქართველოს სსრ პროკურორი ბ. ძაბაშაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. მანისაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ე. შავერძე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ანაბაძე.

ბლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ს. ბაქრაძემ.

მოსხენებით — „სასამართლო ორგანოების ამოცანები მოსახლეობის მართლმსაჯულების ამაღლების საქმეში“ — გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე თ. შავერძე.

სსრ XXIV ყრილობამ, — აღნიშნა მომხსენებელმა, — დამნაშავეობასთან ბრძოლა კვლავ დასახა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანად. დანაშაულობასთან ბრძოლაში დიდი როლის შესრულება შეუძლია მშრომელთა მართლმსაჯულების ამაღლებას.


როდესაც დაპარაკია მშრომელი მასების სამართლებრივ აღზრდასა და სოციალისტური კანონიერების პროპაგანდაზე, იგულისხმება არა მარტო სამართლებრივი ცოდნის შემცენება, არამედ საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება, რომელიც მართლმსაჯულებას მოიცავს. მართლმსაჯულებაზე მსჯელობენ არა იქ, სადაც მხოლოდ კანონის ცოდნა ვლინდება, არამედ იქ, სადაც კანონი ადამიანის პირადი მრწამსი ხდება, სადაც კანონის მოთხოვნებისადმი დამორჩილება ხაერით მოთხოვნილებად იქცევა, სადაც იქმ-

ნება საზოგადოებრივი აზრი დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ, სადაც ამგვარი აზრი სოციალური კონტროლის ძალას იძენს.

მომხსენებელი დაპარაკობს მართლმსაჯულების როლის ამაღლების მნიშვნელობაზე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და აღნიშნავს, რომ ამ საკითხის გასარკვევად აუცილებელია სამართალი განვიხილოთ როგორც მართლმსაჯულების წყარო, ხოლო მართლმსაჯულება — როგორც საზოგადოებრივი შეგნების ნაწილი. მართლმსაჯულებრივ ფაქტიურად ისეთი სოციალური ურთიერთობა, რომელიც რეგულირდება სამართლის ნორმებით. მართლმსაჯულებრივობა ქმნის მართლმსაჯულებას, რომელიც თავისთავად წარმოადგენს საზოგადოებრივი შეგნების ნაწილს. სამართლებრივი სანქციების დაწესებით სოციალური კონტროლის ეტლავა სამართლებრივი კონტროლის ფორმა.

ამს. თ. შავერძემ აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში შესამჩნევია დანაშაულის მნიშვნელოვანი შემცირება. მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი საშიში დანაშაულებრივი მოქმედებები, რომლებიც არის მექრთამეობა, სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცება. მაგრამ ამ კატეგორიის დამნაშავეთა საშიშროებანი არ გამოისახება მხოლოდ იმ ეკონომიური ზარალით, რასაც ისინი საზოგადოებას აყენებენ. მათი საშიშროება გაცილებით მეტია, რადგან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული დიდი ძალი ფული თავისთავად ახალი დანაშაულის წყარო ხდება. ეს ფული მხოლოდ ფუფუნებას როდი მხარდობს, იგი ქრთამის სახით იწყებს საზოგადოებაში მოძრაობას. საქმონების ცდილობენ ფულით „იყიდონ სტეციალობა“, „იყიდონ თანამდებობა“, „იყიდონ სამართალი“ კი. ჩვენი დროის „გუჟაკი“ მათი გავებით ის არის, ვისაც შეუძლია წამალაუფუმ აქტივოს რესტორნებში ძმაბიკები, შეიძინოს სახლები, აგარაკები, ავტომობილები, ბანკოში წარბუფუნებლად წაავსოს ათასები და სხვ. ე. წ. „გუჟაკები“ ზოგჯერ ინათლებიან „მეცენატებად“, „ერისკაცებადაც“ კი.

საზოგადოებრივი აზრი შეუძლებელია შეურიგდეს ამგვარ დანაშაულს. საზოგადოებამ უფრო უნდა აიმაღლოს ხმა ამ დიდი ბოროტების წინააღმდეგ, რადგან იგი თვით საზოგადოების ძირეულ ინტერესებს ხელყოფს.



საზოგადოებრივი აზრი გარკვეულ გავლენას ახდენს კონკრეტულ საქმეზე მართლშეგნების განხორციელების დროსაც. მოქმედმა კანონმდებლობამ საქმიად ვაფართოვა მართლმსაჯულებაში საზოგადოებრივი აზრის შეტანის პროცესუალური ფორმები, როგორც არის საზოგადოებრივი დამცველის, საზოგადოებრივი ბრალმდებლის და სხვ. თუ მხედველობაში მივიღებთ სახალხო მსაჯულების ინსტიტუტს და მართლმსაჯულებაში საზოგადოების მონაწილეობის სხვა მრავალ ფორმას, ნათელი გახდება, თუ რაოდენ დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრი მართლმსაჯულების გატარებაზე.

კარგად ორგანიზებულ სასამართლო პროცესს შეუძლია მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა, მათი მართლშეგნების ამაღლება. უნდა გვასხვავდეს, რომ მხოლოდ დანაშაულისა და დამნაშავეის პიროვნების შესაბამისმა სასჯელმა შეიძლება ითამაშოს კერძო და სპეციალური პრევენციის როლი, რომ მიერთაღვას სასჯელის გარდღევალობა ქმნის ჭანსად საზოგადოებრივ აზრს და არა დაუსაბუთებლად მკაცრი სასჯელი, რომ დამნაშავეს და მოქალაქეს უნდა სწამდეს სასჯელის სამართლიანობა. ამ დროს დაუშვებელია კანონის მოთხოვნას დაუბიძგისპირობო მიზანშეწონილობის პრინციპი.

სასამართლო ორგანოებმა ყველა დონე უნდა იზმარონ სახალხო მსაჯულების სამართლებრივი ცოდნის ასამაღლებლად, მათი აქტივობის გასაზრდელად; უნდა გააძლიეროს კონტაქტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შემოქმედებით ინტელიგენციასთან, საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებთან.

მომხსენებელმა ილიაპარაკა სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზეც, აგრეთვე პრესაში გამოქვეყნებულ ზოგიერთ პუბლიკაციაზე, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე.

საზოგადოებრივი აზრის შექმნაში უდიდესი როლი შეიძლება ითამაშოს კინომ, თეატრმა, მწერლობამ, მეცნიერებამ.

სერვანტესმა სიცილის ძალით გააქეთა გაცილებით მეტი, ვიდრე ეს შეეძლო გაეკუთვნინა მეფის საბრძოლველსა და ინკვიზიციას. დოსტოვესკის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი აზრი განუზომლად დიდია, ვიდრე აზრი, რომელიც შეეძლო შექმნა რასკოლნიკოვის გასასამართლებლად თუგინდ ბრწყინვალედ მოწყობილ პროცესს. ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, დანიელ ჭონჭაძის ნაწარმოებებით უფრო ძლიერი განაჩენი იყო გამოტანილი მათი დროის ანტისოციალური მოვლენების მიმართ, ვიდრე ეს შეეძლო გაეკეთებინა ყველზე მაღალ ტამსჯავრო სხდომას.

ჩვენ მოვითხოვთ შემოქმედებითი ინტელიგენციისაგან, — თქვა მოხსენების დასასრულს. თავგულითქმ — დანახვონ საზოგადოებას მდიდარ მექრამეთა სულიერი სიღარიბე. დაგვიხატონ მათი ნამდვილი სახე. დასვან საკითხი და უბასუხონ ილიას მიერ დასმულ კითხვას — „კაცია — ადამიანი?“ მხოლოდ ასეთ ნაწარმოებებს შეუძლიათ შექმნან საზოგადოებრივი აზრი, ქმედითად ებრძოლონ დანაშაულს.

დანაშაულის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნა ჩვენი პარტიული, მოქალაქეობრივი, ეროვნული ვალია.

მოხსენების გამო ვამიართა კამათი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. შიბრტაილი: საბჭოთა სამართალწარმოების ერთ-ერთი უძირითადესი პრინციპი — სასამართლოს მიერ საქმის საჯაროდ განხილვა შემთხვევით როდია გამოცხადებული კონსტიტუციურ პრინციპად. ერთი მხრივ იგი ხელს უწყობს საქმის განხილვის მეტობიექტურობას, აძლიერებს სასამართლო პროცესის ყველა მონაწილის და თვით სასამართლოს პასუხისმგებლობას, იძლევა სასამართლოების საქმიანობისა და მოსამართლის პიროვნების საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ სასამართლო სხდომის დია კარები უშუალებლობას აძლევს დამსწრეებს აითვისონ არა მარტო საბჭოთა კანონები (ვთქვათ კანონი, რომელიც სჯის ადამიანს შესაბამისი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის), არამედ განიცადონ ზიზღი დანაშაულის მიმართ, აითვისონ მათ წინ განვლილი ყოფაცხოვრებითი დრამის მორალურ-პოლიტიკური მხარეც, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი შეფასება, დანაშაულის ჩამდენი ადამიანის ზნეობრივი ტანჯვა, დაზარალებულთა და დამნაშავის ნათესავთა სულიანკვეთება — აითვისონ თვალსაჩინოდ და მიიღონ სათანადო გაკვეთილი, რომელიც სამუდამოდ წარუშლელია მესხიერებიდან.

სასამართლო პროცესის საჯაროობის პრინციპთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მოქალაქეთა უფლება—გამოაქვეყნონ პრესაში, რადიოს, ტელევიზიის, მოხსენებისა თუ სხვა საშუალებით ყოველივე ის, რაც მათ ნახეს და გაიგონეს სასამართლოში. უფრო მეტიც, მათ უფლება აქვთ გამოაქვეყნონ თავისი აზრი საჯაროდ, პრესაში თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა წყაროთა საშუალებით სასამართლოს პროცესზე და თვით განაჩენზე, არ დაეთანხმონ სასამართლოს, ამხილონ მისი შეცდომები და ა. შ. ეს გასაგები და მიზანშეწონილიც არის, და როგორც ლენინი





ამბობდა, თუ დანაშაულთა დევნა მთელ საზოგადოებას ენება, „თუ მართლმსაჯულების საქვეყნოდ აღსრულება მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდისა და ამავე დროს სასამართლოს საქმიანობის საზოგადოებრივი კონტროლის ამოცანებს ემსახურება, ცხადია, სასამართლო საქმეები რაც შეიძლება სრულად იქნება გაშუქებული და შეფასებული ფართო საზოგადოების მიერ, მაგრამ ამასთან ამ საქმეების გაშუქებისას სათანადო ცოდნა, სიფრთხილე და დიდი ტაქტიკა საჭიროა“.

საბჭოთა უსრნალისტების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ, როგორც წესი, ისინი ამ რთულ ამოცანას კარგად ართმევენ თავს, ჭეროვნად ერკვევიან საბჭოთა კანონებში და ჭეროვან ტაქტიკაც იჩენენ (სხვათა შორის კონკრეტულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ, რომელიც იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მინაილოვსკიმ შეასრულეს, დაადასტურა, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის სამართლებრივი ცოდნის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები უსრნალისტებს აქვთ), მაგრამ ზოგჯერ ჩვენს პრესაში ადგილი აქვს ყოვლად შეუწყნარებელ ფაქტებს. სახელდობრ, არის შემთხვევები, როდესაც ჭერ კიდევ განაჩენის გამოტანამდე გაზეთში ქვეყნდება წერილები, რომლებშიც ავტორები არ სჭერდებიან საქმის ფაქტიური მონაცემების გამოკვეთებას, არამედ წინასწარ აცხადებენ სამართალშიმიცემულს, ბრალდებულს, ან ექვმიტანილს — დამნაშავედ, წინასწარ თვითონ აფასებენ და მკაცრ კვალიფიკაციას აძლევენ მათს საქციელს, მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას, ზოგჯერ ისეთ განსაკუთრებით მძიმე სასჯელსაც კი, როგორც არის სიკვდილით დასჯა. ეს ქმნის სასამართლო საქმის გარშემო ვენებათა დღეღას და ხელს უშლის სასამართლო საქმიანობას, ფსაქიკურ შემოქმედებას ახდენს მოსამართლეზე.

ჩვენს უსრნალ-გაზეთებში არაერთხელ იყო მითითებული, რომ მოსამართლე მხოლოდ მაშინ შეძლებს თავისი ამოცანის სრულყოფილად განხორციელებას, როდესაც იგი თავისუფალია ყოველგვარი ზეგავლენისაგან. მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი — ეს კონსტიტუციური, უდიდეს ზნეობრივ საწყისზე დაფუძნებული მოთხოვნა, კაცობრიობის ერთ-ერთი საუკეთესო მონაპოვარი ირღვევა არა მარტო მაშინ, როდესაც მოსამართლეზე გავლენას ახდენენ თანამდებობის პირები, არამედ მაშინაც, როდესაც მისი საქმიანობა აბოზოქრებული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენას განიცდის. ამის წინააღმდეგ ზოგიერთი მიუთითებს, რომ თუ მოსამართლე უკრიტიკოდ მიჰყვება საზოგადოებრივ აზრს და იმეორებს პრესაში ან კრე-

ბებზე დაშვებულ შეცდომას, ეს ახასიათებს თვით მოსამართლეს, ხოლო კარგი მოსამართლე შემცდარ აზრს არ გაიმეორებს და საქმეს სწორად გადაწყვეტს. მაგრამ თუ არსებობს თუნდაც ცოტადენი საფრთხე მოსამართლის შეცდომაში შეყვანისა საზოგადოებრივი აზრის მიერ, ეს უკვე საკმარისია, რომ ასეთი პრაქტიკა დავამოთ. და რომ ეს საფრთხე არსებობს, ამისი არა ერთი და ორი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. მე მახსენდება გამოჩენილი რევოლუციამდელი ვეჭოლის სპასოვიჩის სიტყვები, რომელიც მან წარუმიძღვარა თავისი სასამართლო გამოსვლების კრებულს: «по тифлисскому делу не могу доныне отрешиться от глубочайшего убеждения, что пострадали невинные люди, указанные заблуждающейся народной молвой».

ზემოსხენებული მცდარი უსრნალისტური პრაქტიკა ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების იმ უმნიშვნელოვანეს პრინციპსაც, რომელსაც უდანაშაულობის პრეზუმეციას ვუწოდებთ და რომლის მიხედვით არავინ არ შეიძლება იქნას ცნობილი ბრალდებულად, თუ არ არსებობს ამის დამადასტურებელი სასამართლო განაჩენი. მხოლოდ სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ შეიძლება დადგინდეს ერთობლივად აღებული მტკიცებულებათა მნიშვნელობა. რაც უნდა სრულად და დამაჭერებლად გვეჩვენებოდეს წინასწარი გამოძიების დროს ან სასამართლო განხილვის დასაწყისში არსებული მტკიცებულებანი, ვიდრე სასამართლო პროცესი ბოლომდე არ იქნება მიყვანილი, ჭერ კიდევ არსებობს შესაძლებლობა ისეთი ახალი მტკიცებულების მიღებისა, რომელიც გააბათილებს ყველა სხვას. დანაშაულის აღიარება ბრალდებულის მიერ კი შეიძლება დამაჭერებელი არ იყოს და აუცილებლად უნდა შემოწმდეს სხვა დასაბუთებითაც.

სამართალი დიდი სოციალური ღირებულებაა. სამართლის ფორმის ყოველგვარმა დარღვევამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა წესრიგს, რომლის განმტკიცებითა და განვითარებით დაინტერესებულია საბჭოთა სახელმწიფო. მტკიცედ უნდა მოვთხოვოთ კანონების დაცვა ყველას, განურჩევლად საზოგადოებრივი თუ სამსახურებრივი მდგომარეობისა. კანონი ყველასათვის კანონია, ყოველგვარი გამოწკლისის გარეშე, და ჩვენი საზოგადოება მწვავედ უნდა განიცდიდეს უკანონობის ყოველ ფაქტს.

სამართლებრივი ნორმების დარღვევა არ შეიძლება გამართლებულ იქნას არავითარი მოსაზრებით, არც სამსახურებრივი საჭიროებით, არც მატერიალური გამორჩენით, არც რაიმე სხვა ინტერესით, თუნდაც მეტად მნიშვნელოვანით.

საჭიროა განუხრებლად დავიცვათ საბჭოთა სა-

მართლის, საბჭოთა კანონების პრესტიჟი და ავტორიტეტი, ბოლო მოვლდით სამართლებრივ ნიშლიზმს, ხელი შევეწყობთ სამართლისა და სამართლიანობის დაწერვას.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. მბისუბაძე: კარგად დასაბუთებული და კანონიერი განაჩენი მასებში ნერგავს პატივისცემას საბჭოთა კანონებისადმი, იმ ორგანოებისადმი, რომლებიც იბრძვიან დანაშაულთა აღკვეთისათვის. მცირე შეცდომაც კი სასამართლოს მხრივ, მოქალაქის უკანონო იზოლაციის ყოველი ფაქტი იწვევს საზოგადოების სამართლიან აღფრთობას და უკმაყოფილებას, ეს კი სახელს უტენს საბჭოთა სამართალს, სოციალისტურ კანონიერებას.

სახალხო მოსამართლე იმ შემთხვევაში გამართლებს ხალხის რჩეულის საპატიო წოდებას, თუ მუდამ უშუალო კავშირში იქნება ხალხთან, საზოგადოებასთან, ხოლო საზოგადოება რაც უფრო ქმედითს და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს დამნაშავეთა მხილების საქმეში, მით უფრო შეუწყობს ხელს მართლმსაჯულების ორგანოებს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, დოცენტი მ. ბურჭულაძე: მრავალჯერ თქმულა, რომ ბავშვის აღზრდას ოჯახში უყრება საფუძველი, ადრეული ბავშვობის პერიოდში იწყებს ფორმირებას ადამიანის ხასიათი, გრძობები, აზრები.

დიდ ზიანს ქცენებს არა მარტო თავის ოჯახს, არამედ მთელ საზოგადოებას ის მშობელი, რომელიც პატარაობიდანვე ანებივრებს ბავშვს, უსრულებს ყველა სურვილს, არ აჩვენებს ასაკის შესაფერის შრომას, არ უნერგავს პასუხისმგებლობის გრძობას, არ აძლევს ადვალტებას და არ სთხოვს მის აუცილებელ შესრულებას. ასეთი მშობელი ცუდ საფუძველს უყრის მომავალი მოქალაქის აღზრდას, ცუდ საფუძველზე კი მკვიდრი შენობა არ იგება.

შეხვათ ზოგ ოჯახში. თვალში მოგხვდებათ ლამაზად მორთული ოთახები, გემოვნებით განლაგებული ავეჯი, ძვირფასი ქაღები, მაგრამ ვერსად დაინახავთ წიგნებს, ჟურნალებს. სამ და ზოგჯერ ოთხოთახიან ბინაში ვერ მოიძებნება ადგილი, რომ მოსწავლე შეიღოს სამეცადინო კუთხე მიუჩინონ, მოუწყონ ისე მყუდროდ და ფაქიზად, რომ მოსწავლეს სიამოვნებას ჰგვრიდეს თავის კუთხეში დაჯდომა, მეცადინეობა, კითხვა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში აღზრდილ ბავშვს არ ექნება კითხვის, სწავლის, შრომის სურვილი. ასეთი ოჯახი ვერ უზრუნველყოფს კომუნისტური საზოგადოების ღირსეული წევრის აღზრდას, ასეთი ბავშვი ადვი-

ლად მოხვდება მანვე გავლენის ქვეშ და ილალ დაჭყვება დანაშაულებრივი ქმედობის გზას.

აღარაფერს ვამბობ იმ მშობლებზე, რომლებიც უსაფუძვლოდ ანერვენ ოჯახს, შვილებს უბნევენ ცხოვრების გზას და უბიძგებენ არასწორი გზისაკენ. სტატისტიკური მონაცემებით დადასტურებულია, რომ სწორედ ასეთი ოჯახის არასრულწლოვანი შვილების უდიდესი ნაწილი არღვევს მართლწესრიგს.

ზოგჯერ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ცალკეულ მოსწავლეთა შესწავლას, მათზე საჭირო ზეგავლენის მოხდენას, რაც სათავეს აძლევს არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევას.

ახალგაზრდობაზე უარყოფითად მოქმედებს ის ფაქტი, როცა დანაშაულის ჩადენის გამო პასუხისმგებლობაში მიცემული ახალგაზრდები ზოგჯერ სათანადოდ არ ისჯებიან. ეს გარემოება ერთგვარად ასუსტებს ახალგაზრდების პასუხისმგებლობას და ანელებს მათს შიშს სასჯელისადმი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. კიტილიძე: ჩვენს ხელათასობით არის იმის დამადასტურებელი მაგალითი, თუ რა შეუძლია ხალხს, როცა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხს თავის ღვიძლ საქმედ გაიხდის. სწორედ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის 2000-მდე დასახლებულ პუნქტში უკანასკნელი წლების მანძილზე რეგისტრირებული არ ყოფილა მძიმე კატეგორიის არც ერთი სახის დანაშაული, ზოგიერთ მათგანში კი საზოგადოებრივი წესრიგის უმინიმუმდო დარღვევაც კი.

თუ ღრმა ანალიზს გავუკეთებთ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მსვლელობას, აუცილებლად მივაღწიოთ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობათა სრული აღმოფხვრისათვის საჭიროა არა მარტო აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობის არსებითად სრულყოფა-გაუმჯობესება, არამედ საზოგადოებრიობის როლის შემდგომი მკვეთრი ამაღლებაც.

როგორც საზოგადოებრიობის ძალების გამოყენების პრაქტიკა გვიჩვენებს, საზოგადოების ერთი ნაწილის პასიურობა დანაშაულებასთან ბრძოლაში სხვა მიზეზებთან ერთად უზირად აღმინისტრაციული ორგანოების ცუდი მუშაობის შედეგიც არის. ამ საქმეში ნაკლებ როლს როდღე თამაშობს აგრეთვე დანაშაულებთა შანტაჟი იმ მოქალაქეთა მიმართ, რომ-



ლებიც შეეცდებიან მათს მხილებას. ჩვენ კი სხვადასხვა მიზეზის გამო ყოველთვის დროულად ვერ უზრუნველყოფთ ხოლმე დანაშაულთა აღკვეთას. განა იშვიათია იმის მაგალითი, როცა პატიოსანი მოქალაქე ბოროტმოქმედის შურისძიების მსხვერპლი ხდება?

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის აქტიურად ჩაბმას დიდად აფერხებს აღმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი თანამშრომლის მიერ სოციალისტური კანონიერების უხეშო დარღვევისა და მოქალაქეთა მოთხოვნებისადმი უსულგულო, ბოროტკრატული დამოკიდებულების ფაქტები. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში არის. ამით მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს უარყოფითი აზრი ექმნება აღმინისტრაციულ ორგანოებზე. ამიტომ საზოგადოებრივი ძალების გააქტიურების მიზნით პარტიული და სახტოთა ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებებთან ერთად საჭიროა აღმინისტრაციულ ორგანოების საქმიანობის არსებითად გაუმჯობესება და მათს საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. ბბაშიძე: ჩვენს სკოლებში ისწავლება მრავალი მეცნიერება და ზოგიერთი მათგანი ბევრისთვის დაუძლეველიც კი არის. ასეთი მეცნიერებანი უმადლეს სასწავლებლებში უნდა ისწავლებოდეს, ხოლო იურიდიული მეცნიერების საფუძვლების შესწავლა სკოლის მერხიდან უნდა იწყებოდეს.

სამართლის მსახურნი ბედნიერი ხართ იმით, რომ ყველა შეგნებული ადამიანი, ყოველი მოქალაქე თქვენს გვერდით დგას. თქვენს კეთილშობილურ საქმეს მთელი შეგნებული საზოგადოება უდგას მხარში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, კრიტიკოსი ბ. შლენტი: დანაშაულის შემთხვევები ჭერ კიდევ საქმარისად გვსვდება და ეს ფაქტი უფრო მწვავედ იგრძნობა კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში.

ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებსაც თავი მოსწონთ და ამაცობენ კიდევ, რომ ნაქურდალთ ცხოვრობენ. ეს მცირე უმრავლესობა ძალზე უარყოფითს გავლენას ახდენს ჩვენს საზოგადოებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ აღმინისტრაციული ორგანოები სათანადოდ არ იბრძვიან მათ წინააღმდეგ და ამის გამო არ ზდება მათი სრული გამოვლინება. ისეგმა მხოლოდ ნაწილი, დიდი უმრავლესობა კი დაუსჯელი დათარგმობს.

მწერლებს დიდი მოვალეობა გაეკისრია — ზალხი, საზოგადოება უნდა აღვზარდოთ კომუნიზმის აქტიური მშენებლობის სულისკვეთებით.

მწერლები მოწოდებული არიან უფრო მძლავრად დაანთონ ცეცხლი უმსგავსოების გარშემო, ახალგაზრდებს შეაძულონ, შეაზიზლონ მშობლების ნაპარავი ფულით შეძენილი სიმდიდრე. ადამიანი ღირსი უნდა იყოს, რომ იბრძოლოს კომუნიზმის აშენებისათვის, ღირსი უნდა იყოს, რომ ცოცხლობდეს და შრომობდეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. სბრძძი: როგორც არ უნდა იყოს სრულყოფილი მართლმსაჯულებების იდეური საფუძვლები და პრინციპები, მათი პრაქტიკული განხორციელება დამოკიდებულია კარგზე, ვისაც მინდობილი აქვს ეს მალალი და პასუხსაგები მოვალეობა. ამ თვალსაზრისით უდიდესი როლი ენიჭება იურიდიულ ფაკულტეტებს. იურიდიულ განათლების მიღებასთან ერთად მომავალი სპეციალისტი წნეობრივ ფორმირებასაც უნდა განიცდიდეს. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკას უნდა გადიოდნენ არა მარტო აღმინისტრაციულ ორგანოებსა და სპეციალურ ლაბორატორიებში, როგორც არის, მაგალითად, კრიმინალისტური ლაბორატორია, არამედ უნივერსალურ ლაბორატორიაში, ე. ი. ცხოვრებაში, რომელიც აღსავსეა ყოველდღიური მოვლენებით მორალურ და სამართლებრივ სფეროში. სულ უფრო და უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩამუშევი მომავალი იურისტები ამხანაგური სასამართლოების მუშაობაში. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ყოველთვის მისაბაძი და მოწინავენი უნდა იყვნენ. აქ თავიანთი სიტყვა მათმა აღმზრდელებმა — პროფესორ-მასწავლებლებმააც უნდა თქვან. ისინი სამაგალითონი და მაგალითის მიმცემნი უნდა იყონ. აღმზრდელის, მასწავლებლის პირადი მაგალითი ყველაზე მფქტურ შემოქმედებას ახდენს მასზე, ვის აღზრდასაც ისწრაფვის. მართლმსაჯულებისა და მორალის პრინციპების ლექციური პროპაგანდა ბლავი იარაღი იქნება უმაღლესი სასწავლებლების არსებობაში, თუ აქვე დავუშვებთ უმსგავს საქციელს ანდა ასეთ ქცევებს არარად ჩავვაგლებთ.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება ექიმების მსგავსად ფიცი დაღონ დიპლომანტმა იურისტებმაც, რომლებიც საზოგადოებას არა ფიზიკური ჯანმრთელობის, არამედ სულიერი ჯანმრთელობის მეურვეობას გაუწევენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, კინორეჟისორი ლ. დოლოზარძე: კარგი ინიციატივა გამოიჩინა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ — მან შეკრიბა ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლები, რათა გულწრფელად

შოკლიაბარაკოთ მართლმსაჯულების საქირბო-  
როტო საკითხებზე.

ჩვენი საზოგადოების წევრთა ერთ ნაწილში  
შობდა პირადი ინტერესებისადმი სწრაფვა  
საზოგადოების ინტერესების ხარჯზე. ასეთ ადა-  
შიანებს მიზნად აქვთ დასახული ფუფუნების,  
სიმდიდრის დაგროვება მექრთამეობით, გამო-  
ძალვით და სხვა მსგავსი დანაშაულებრივი გზით.  
საზოგადოება არ უნდა ურიგდებოდეს მათ, არ  
უნდა ვიყოთ მათთან ჩვეულებრივ ურთიერ-  
თობაში. ისინი უნდა გრძნობდნენ თავიანთ გარ-  
შემოა ზიზღს, სიძულვილს.

ჩვენ, შემოქმედებითი მუშაკები მოვალენი  
ვართ დავეხმაროთ ადმინისტრაციულ ორგა-  
ნოებს დამნაშავეობის წინააღმდეგ საზოგადოებ-  
რივი აზრის შექმნაში.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს  
თავმჯდომარის მოადგილე ბ. ბნაშკინი: უპირ-  
ველესად მსურს მაღლობა გადავუხადო ჩვენი  
დღევანდელი შეხვედრის ორგანიზატორებს,  
რომლებიც მოწოდებულნი არიან აქტიურად  
იბრძოდნენ დამნაშავეობის წინააღმდეგ.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მნიშვ-  
ნელოვანი წყაროა მართლმსაჯულების წემოქ-  
მედება მოქალაქეთა ქცევაზე. აქ პირველხარის-  
ხოვანი მნიშვნელობა სასამართლოს ეკუთვნის.  
საქმის ყოველმხრივი განხილვა, ობიექტური გა-  
ნაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანა,  
დამნაშავის სოციალური სახის გამოვლენა აქ-  
ტიურად შეუწყობს ხელს მშრომელთა მასების  
აღზრდას, მათი მართლშეგნების ამაღლებას.

სასამართლო პროცესთა აღმზრდელობითი შე-  
მოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება  
გამსვლელ პროცესებს, რომელიც ეწყობა სა-  
მართალში მიცემული პირის სამუშაო ადგილზე,  
სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი, აგრეთვე  
ფართო საზოგადოების თავშეყრის ადგილზე.

საქართველოს სსრ პროკურორი ბ. ტაპიძე:  
დამნაშავეობასთან საბრძოლველად, მისი თავი-  
დან აცილებისათვის საზოგადოებრიობის და-  
სარაზმავად აუცილებელია სოციალისტური  
მართლშეგნების განმტკიცების, საბჭოთა კანო-  
ნების ურყევობის, მოქალაქეთა უფლებების  
ხელშეუხებლობის შესახებ მტკიცე საზოგადოებ-  
რივი აზრის შექმნა.

ასეთი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება

განუყრელად არის დაკავშირებული პროკურა-  
ტურის, შინაგან საქმეთა და სასამართლო ორ-  
განოების ობერატიულ, ორგანიზაციულ საქმიან-  
ობასთან, ამ ორგანოთა მუშაობის პრაქტიკას-  
თან.

იქ, სადაც მტკიცე კანონებისადმი პატივის-  
ცემა მასებში, მათდამი რწმენა, საზოგადოებრი-  
ვი აზრი შეურიგებელია ყოველგვარი სამარ-  
თალდარღვევისადმი, დამნაშავეთა ირგვლივ შე-  
ქმნილია შეუწყნარებლობის ატმოსფერო. იქ კი,  
სადაც ადმინისტრაციული ორგანოები არადა-  
მაკმაყოფილებლად მუშაობენ, სუსტად ხორ-  
ციელდება პრინციპი ჩადენილი დანაშაულისათ-  
ვის სასჯელის გარდუვალობის შესახებ, პირი-  
ქით, აღამიანებს ნაკლებად სჭერათ კანონის;  
მკვიდრდება დაუსჯელობის რწმენა, იქმნება  
ხელსაყრელი პირობები დამნაშავეობის ზრდა-  
სათვის.

დამნაშაულის წინააღმდეგ მტკიცე საზოგა-  
დოებრივი აზრის შესაქმნელად აუცილებელია  
გადაჭრით აღგვეთოთ ეს ნაკლოვანებანი.

ჩვენი პროკურორები, გამოძიებლები ჯერ  
კიდევ არასაკმარისად იყენებენ საზოგადოებრივ  
აზრზე შემოქმედების ისეთ მძლავრ საშუალე-  
ბებს, როგორც არის მშრომელთა კრებებზე  
ინფორმაციები კონკრეტულ სისხლის სამართ-  
ლის საქმეთა ირგვლივ. ცნობა საშიში დანაშაუ-  
ლის შესახებ სწრაფად ვრცელდება, აღეღვებს  
მოსახლეობას, ცალკეულ კოლექტივს. ასეთ  
შემთხვევაზე პროკურატურას, შინაგან საქმეთა  
ორგანოებს რეაგირების შესახებ სწორ ინფორ-  
მაციას უაღრესად დიდი აღმზრდელობითი, პრო-  
ფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს. უნდა მივაღ-  
წიოთ იმას, რომ პროკურორი, გამოძიებელი  
და მოკვლევის მუშაკი ყველა სერიოზული და-  
ნაშაულის შესახებ გამოდიოდეს ინფორმაციით  
მოსახლეობის, მშრომელთა კოლექტივების წი-  
ნაში.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ა.ბ.  
ბ. ძოშენიძემ.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის  
გენერალური პროკურორის მოადგილის, სსრ  
კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის  
მოადგილისა და საქართველოს სსრ პროკუ-  
რორის პროტესტები კონკრეტულ საქმეთა გამო.

ლ. ისაბაძე

## საქართველოს სსრ პროკურატურაში

საქართველოს სსრ პროკურატურის გაფართოებულმა კოლექტივმა განიხილა 1971 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაობის შედეგები დამანაშავეობასთან ბრძოლისა და კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობის დარგში.

მომხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი ა. ტაკიძე: — „დამანაშავეობასთან ბრძოლა აღნიშნა მან, კვლავ რჩება ადმინისტრაციული ორგანოების სერიოზულ ამოცანად. კანონით გათვალისწინებული სასჯელის ღონისძიებების გამოყენებასთან ერთად სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის პროფილაქტიკას, მისი თავიდან აცილების ეფექტურ ღონისძიებებს.

პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა განსაკუთრებული სიმკვეთრით არის მითითებული საქართველოს სსრ კომპარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში, რომელიც ავალებს პროკურატურის ორგანოებს მთელი ძალები პირველ რიგში მიმართონ ამ ამოცანის გადასაწყვეტად, ამასთან ერთად კვლავ გაძლიერდეს ბრძოლა სოციალისტური ქონების გატაცების, მექრთამეობის, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევა წინააღმდეგ.

პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა დამანაშავეობისა და სამართალდარღვევის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლისათვის. დიდია პრაქტიკული დახმარება, რომლებსაც პარტიული და საბჭოთა ორგანოები უწყვეტ პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებს. გაძლიერდა კონტაქტი და კოორდინაცია ადმინისტრაციული ორგანოების ყველა რგოლის მუშაობაში.

ყოველივე ამან განაპირობა გარკვეული მიღწევები კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში. 1971 წლის პირველ ნახევარში აღინიშნება დანაშაულის მნიშვნელოვანი შემცირება, განსაკუთრებით კი მაიაკოვსკის, დმანისის, გურჯაანის, სიღნაღის, ვანის, თერჯოლის, აბაშისა და ქარელის რაიონებში. აგრეთვე ქ. თბილისში, ზუგდიდში, ჭიათურაში და აფხაზეთის ასსრ-ში.

მიუხედავად ამისა, პროკურატურის მუშაობაში ბევრი ნაკლია. ზოგიერთ რაიონში დანაშაულთა რაოდენობა გაიზარდა. იმ ქალაქებისა და

რაიონების პროკურორები, სადაც დანაშაულის რაოდენობა გაიზარდა, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მათი მიზეზების ღრმად შესწავლას, გამოავლინონ დანაშაულთა ზრდის მიზეზები და განახორციელონ სისტემატური ხასიათის ქმედითი ღონისძიებანი“.

მომხსენებელი ანალიზს უკეთებს რესპუბლიკაში მომხდარ სხვადასხვა დანაშაულობას და აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამ პერიოდთან შედარებით ორჯერ შემცირდა გაუხსნელ მკვლელობათა რიცხვი.


როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მრავალი ღონისძიება განხორციელდა საგამომძიებლო აპარატის მუშაობის, გამოძიებასა და მოკვლევაზე საპროკურორო ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ამ უბანზე ჯერ კიდევ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია.

მომხსენებელი ამის საილუსტრაციოდ ასახელებს ცალკეულ ფაქტებს. 1971 წლის 25 იანვარს გარდაბნის რაიონის სოფელ დიღომში მცხოვრებ ს. მ.-ს სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილ იქნა ქალაქის ყუთებში მოთავსებული 1080 კოლოფი ხიზილა, რომლის საერთო წონა 151 კგ-ს შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას ჰქონდა ხიზილალის სპეკულაციის მიზნით შეძენის მონაცემები, საქმე არ აღიძრა, დაუყოვნებლივ არ გატარდა ღონისძიებანი დანაშაულის გასახსნელად. მილიციის მუშაკებს ს. მ.-ს ოჯახის წევრებიც კი არა დაუკითხავთ იმის გასარკვევად, თუ რა პირობებში შეიძინეს ხიზილა. რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ არ შეასრულა რაიონის პროკურორის ამხ. გ. მდიენიშვილის მითითება საქმის დაუყოვნებლივ აღძვრისა და ს. მ.-ს დაპატიმრების შესახებ. ს. მ.-ს მიმართ საქმე აღიძრა ამ მითითებიდან ერთი თვის ვაგლის შემდეგ.

კომპლექსური შემოწმების დროს ხშირად გლინდება შემთხვევები, როცა აშკარად უსაფუძვლოდ საქმე აღძრული არ არის, ხოლო ზედამხედველ პროკურორს ამაზე რეაგირება არ მოუხდენია.

სერიოზული ნაკლოვანებებია იმ მასალების შემოწმების საქმეში, რომლებიც სატრანსპორტო



შემთხვევებს ეხება. ზოგიერთ პროკურატურაში არ არის აღძრული საქმე ადამიანის მსხვერპლთან ან დასახირებასთან დაკავშირებული შემთხვევების გამო, თუმცა ამის კანონიერი საფუძველი არ არის. საქმეთა აღძვრა ხდება დიდი დაგვიანებით, არ ტარდება შემთხვევის ადგილის, ტრანსპორტის დათვალიერება და სხვა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებანი, გადაწყვეტილებებს იღებენ არასწორად და ნააღრვავად.

გამოძიება ხშირად წარმოებს უგეგმოდ. პროკურორები ჯეროვან კონტროლს არ უწყევენ გამომძიებელთა მუშაობას, რასაც შედეგად ვადების დარღვევა მოსდევს.

მარტივი საქმე ტაბილოვის ბრალდებისა, რომელიც სამსახურებრივ დაუდევრობაში იყო მხილებული, გაქიანურდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურაში. ნაცვლად იმისა, რომ მიედით საჭირო ზომები საქმის დროული დამთავრებისათვის, ოლქის პროკურატურამ საქმე შემდგომი გამოძიებისათვის ზნაურის რაიონის პროკურატურას გაუგზავნა. წინასწარი გამოძიება ორ წელს გაგრძელდა.

ვადის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი უხარისხო გამოძიებაა. რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილებამ დიდი მუშაობა ჩატარა ამ ხაზით და კვლავ სერიოზული ღონისძიებათა განხორციელება ევალება. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საპროკურორო ზედამხედველობას, გამოძიებასა და მოკვლევას შინაგან საქმეთა ორგანოებში.

გაუმჯობესდა მუშაობა წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის პროცესში დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლისა და მათი აღკვეთის ღონისძიებათა განხორციელებისათვის. მაგრამ როგორც სპეციალურმა შემოწმებამ ცხადყო, ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა, როცა ირღვევა კანონის მოთხოვნა გამოძიების პროცესში დანაშაულის გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი გარემოებების შესწავლის შესახებ. ბევრი წარდგინება თავისი ხარისხით არ უბასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს, არ არის დაწესებული ჯეროვანი კონტროლი მთავანხილავზე.

საინტერესო იყო ორატორის გამოხვლა მოხსენების იმ ნაწილში, როცა ის შეეხო დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ჩაბმის აუცილებლობას და იმ მუშაობას, რომელიც ჩატარებულია არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით.

ა. ტაკიძე შეეხო მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხს. საქართველოს მს რესპუბლიკის პროკურორი ხაზს უსვამს, რომ ამ ხაზით ჩატარებული მუშაობა ხარისხობრივად

გაუმჯობესდა, მხილებული და დაპატიმრებულია მექრთამეთა არა ერთი ჯგუფი.

ქ. ქუთაისის პროკურატურამ დააპატიმრა № 4 ტრესტში მოკალათებულ დამნაშავეთა ჯგუფი, რომლებმაც უკანონოდ ბინების გაცემისათვის რამდენიმე ათეული ათასი მანეთი აიღეს ქრთამის სახით, რესპუბლიკის პროკურატურამ გამოიძია ქ. რუსთავის „ლითონკონსტრუქციის“ ქარხნის ყოფილი დირექტორის მალრადის და სხვათა საქმე, რომლებმაც ბინების გაცემისას 29000 მანეთი აიღეს ქრთამის სახით. უმაღლესმა სასამართლომ დამნაშავეები მკაცრად დასაჯა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მექრთამეობასთან ბრძოლას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. იგი საშიში დანაშაულია და მის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა მიმდინარეობდეს. რესპუბლიკის პროკურატურაში შეიქმნა მექრთამეობასთან ბრძოლის ოპერატიული ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ხაზით მუშაობის ორგანიზაციას.

მომხსენებელმა ხაზგასმით ილაპარაკა პროკურატურის მიერ სასამართლოებში ჩატარებულ მუშაობაზე.

მოხსენების დასასრულს ა. ტაკიძემ რწმენა გამოთქვა, რომ ადმინისტრაციული ორგანოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით, ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით ყველაფერს გააკეთებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის პროკურორმა მ. არღუნმა ილაპარაკა ოლქის პროკურატურის მუშაობის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე, და აღნიშნა, რომ მთელი კოლექტივის მუშაობა მიმართული იქნება ნაკლოვანებათა გამოსწორებისაკენ.

აჭარის ასსრ პროკურორის მოადგილემ ა. მეგრელიძემ აღნიშნა, რომ აჭარის ასსრ პროკურატურამ გარკვეული მუშაობა გასწია მექრთამეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ შემუშავებული პერსპექტიული გეგმის შესაბამისად შემუშავდა ანალოგიური გეგმა. მიმდინარე წელს სამინისტროებსა და უწყებებში შემოწმდა მექრთამეობის შესახებ მიღებული სიგნალების რეაგირების მდგომარეობა. განხორციელდა ღონისძიებანი ამ საქმეში საზოგადოებრიობის მობილიზაციისათვის.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორმა ზ. ბასივილიამ კოლეგიას გააცნო ოლქის პროკურატურის მუშაობა აღნიშნულ პერიოდში და აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ აქვს აღვლილი სისხლის სამართლის საქმეთა უხარის-



ხო გამოძიებას, სავამოძიებო ვადების დარღვევას, სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ შეწყვეტის ფაქტებს, არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლო ორგანოების საქმიანობაზეც.

წითელწყაროს რაიონის პროკურორმა ა. ფირსმანიშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა უკანონოდ დაკავებისა და დაპატიმრების არცერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი. დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი საპატიმრო ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა შრომით მოწყობას და იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

ქ. ფოთის პროკურორმა ა. ჩხტარაშვილმა აღნიშნა, რომ პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების შედეგად მიმდინარე წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა შემთხვევები, არ ყოფილა მკვლელობის, ყაჩაღობის, გაუპატიურების არცერთი შემთხვევა. ქალაქის პროკურატურაში არ არის უკანონოდ აღძრული არცერთი საქმე.

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების გამგეს ვ. ასეიშვილს მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ არადამაკ-

მაყოფილებელია სამინისტროებისა და უწყებების შემოწმების ხარისხი. იგი უფრო ეფექტური უნდა იყოს.

კოლეგიაზე გამოსული ყველა ორატორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას. საქართველოს სსრ პროკურორის უფროსმა თანაშემწემ ა. ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება ნაკარნახევია ცხოვრებით, ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებით.

იქ, სადაც პროკურორი ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკი თავის სიმალეზე დგას, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას ექნება ქმედითი ხასიათი და არა ზერელე, მოჩვენებითი, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ქ. თბილისის პროკურორმა შ. ლეუვაძემ, ახალციხის რაიონის პროკურორმა ა. მერაბიშვილმა, ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის პროკურორმა ნ. ბაიდაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ხ. ქაჭიაამ.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. მაისურაძე.

განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება.

ლ. შანტურიძე

### ქართველი ადვოკატების სხდომა

საიუბილეო დღეებში საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიას ესტონელი ადვოკატები ეწვივნენ.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მუშაობაზე სტუმრებს ესაუბრა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. დავითაია.

ოფიციალური ვიზიტის შემდეგ ესტონელი სტუმრები მიიღეს ოქტომბრის, 26 კომისიის, კიროვის და ორჯონიკიძის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატებმა.

ესტონელი სტუმრები გაეცნენ თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს; დაესწრნენ საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლისა და ქართველი მომღერალი ქალის ნ. ტულუშის კონცერტებს.

ბევრი თბილი და ტკბილი სიტყვა ითქვა გამოსამვიდობელ საღამოზე. შთაბეჭდილებების ალბომში ესტონელმა სტუმრებმა შემდეგი სიტყვები ჩაწერეს:

„ძვირფასო ქართველო მეგობრებო და კოლეგებო! თქვენთან გატარებულ დღეებში ჩვენ ვიგრძენით თქვენი სულის კეთილშობილება და თქვენი გულწრფელი მეგობრობა. უღრმესი მადლობა შესანიშნავი მიღებისათვის. იგი საძულადოდ დარჩება ჩვენს გულებში, როგორც ნათელი გამოხატულება ქართველი და ესტონელი ხალხის ურღვევი მეგობრობისა. ნახვამდის, ესტონეთში შეხვედრამდე!“

ნახვამდის მეგობრებო! კეთილი იყოს ჩვენს გაცნობა და დამეგობრება.

რ. თაღლაკვაძე

## საბჭოს დაუშენებელი სსრ-ში

გაიშარა რესპუბლიკის პროკურატურასთან არსებული დამნაშავეობის აღკვეთის საბჭოს დამფუძნებელი სსრ-ში.

საბჭოს ძირითადი ამოცანაა შეისწავლოს სამართალდარღვევის მიზეზები, გამოარკვიოს კანონის დარღვევის ხელშემწყობი პირობები და გარემოებანი. საბჭოს უფლება აქვს გაეცნოს სამინისტროებსა და უწყებებში არსებულ მასალებს, რათა გარკვიოს მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს კანონიერების დარღვევას და შეიმუშაოს ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად. თავისი მუშაობის მსვლელობისას საბჭო შეამოწმებს დასახულ ღონისძიებათა შესრულებას, იმ ვალდებულებათა დროულ და ხარისხობრივ განხორციელებას, რომლებიც სამინისტროებსა და უწყებებს აკისრიათ დამნაშავეობის აღკვეთის საქმეში. საჭიროების შემთხვევაში საბჭო წარდგინებს შეიტანს სადირექტივო ორგანოების წინაშე დამნაშავეობის აღკვეთისა და მისი აღმოფხვრის საკითხებზე. საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს კანონიერების დარღვევის უშუალო მიზეზების აღმოფხვრის მიზნით.

საბჭოს შემადგენლობაში 23 წევრია: მ. ა. კვესელავა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შ. ზ. ბერიანიძე — კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, თ. ნ. გორდელაძე — საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი, გ. ტ. ტყეშელაძე — ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ვ. ა. შარაშენიძე — პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის იურიდიული ბიუროს გამგე, ა. გ. ბაინდუჩაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ა. ფ. ბეგიაშვილი — ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, ი. დ. ვაბიძაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკისა და მეცნიერული ათეიზმის კათედრის გამგე, ა. ა. ავალიშვილი — კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე, გ. მ. დოლიძე — უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მინისტრის მოადგილე, ვ. მ. ქვანახია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე, რ. მ. კვი-

შინაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის განყოფილების გამგე, მ. კ. მადრაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ნ. რ. წათაძე — ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, უ. პ. ობოლაძე — განათლების მინისტრის მოადგილე, ა. ნ. ფრანგიშვილი — ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ნ. ა. ფოფხაძე — საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბ. კ. თათარიშვილი — გავით „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე, გ. ა. საყვარელიძე — პედაგოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, გ. ა. კილიაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, ი. ი. შუკაიძე — საავტომობილო გზების მინისტრის პირველი მოადგილე, ა. გ. ჩხარტიშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის გამგე, თ. გ. შავგულიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, ვ. ი. შადური — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, გ. გ. გოლუთიანი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, გ. ი. ძიბახაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

საბჭო აერთიანებს აგრეთვე ფართო აქტივს, რომლის შემადგენლობაში შედიან თვალსაჩინო ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი.

საბჭოს პირველი სსრ-ში მიქმდნა ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობის საკითხის განხილვას.

საბჭოს წევრებმა გ. ტყეშელაძემ, ნ. ნათაძემ, უ. ობოლაძემ, გ. ძიბახაშვილმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი და წარადგინეს წინადადებანი პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ სამუშაოთა ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისა და აღმინისტრაციულ ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში მათი დანერგვისათვის.

ლ. კვციანი



# ნეკროლოგი

## ა. ი. ბართია



გარდაიცვალა სკკპ წევრი 1989 წლიდან, დეაწლმოსილი იურისტი ალექსანდრე ილარიონის ძე ბართია.

ა. ი. ბართია დაიბადა 1904 წელს გეგეკორის რაიონის სოფ. ლეხანდრავოში, გლეხის ოჯახში. შრომით საქმიანობაში ჩაება 1924 წლიდან, ამავე წელს შევიდა კომკავშირის ოიგებში.

1938 წლიდან 1951 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროს რევიზორად, 1952 წლიდან გარდაცვალებამდე კი იყო საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

ამხ. ა. ი. ბართია 1941 წლიდან 1944 წლამდე იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში. საბრძოლო დავალებების სანიმუშოდ შესრულებისათვის გამოცხადებული აქვს მრავალი სადღობა და დაჯილდოვებულია 5 საბრძოლო მედლით.

ნაყოფიერად მუშაობდა ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის. იყო გულისხმიერი ადამიანი. დამსახურებული პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა კოლექტივში.

ა. ი. ბართიას ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1971 წლის მესამე
   
 ნომერში დაშვებული შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი	არის	უნდა იყოს
2	11	КОЛХОЗНИКОМ	КОЛХОЗОВ
14	სქოლიო	გ. პ. ორჯონიკიძე	გ.კ. ორჯონიკიძე
47, 49, 51	1	კოლმეურნეთა	კოლმეურნეობათა
62	9, 12	ფსიქიკურ	ნებელობით

6 7/83



ფანი 50 კპკ.

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Министерства Юстиции Грузинской ССР